პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 228 (2574)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- გერმანიაში უმუშევრებს უმცირებენ დახმარებას. — 100 ათასი მუშის დემონსტრაცია.
- ვარშავაში დახურეს მელითონეთა კავშირი.
- დასავლეთ უკრაინის პროფკავშირთა საოლქო ყრილობა.
- ინგლისის კომპარტია კიცხავს მექსტონს.
- პოლიციის პროვოკაცია სამხრეთ-სლავიაში.
- მბეჭდავთა კავშირის ხელმძღვანელობის განახლება.
- სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობა.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

გადამწყვეტი ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობას

მშრომელი მასების კულტურული ჩამორჩენილობა, რაიც ძველ წყობილების ერთ-ერთ მავნე მემკვიდრეობითი ნაშთს წარმოადგენს, უდიდეს დაბრკოლებებს ჰქმნის სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარების საქმეში. ამიტომ პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასების კულტურულ-აღმზრდელობითი საკითხებს. ამ საკითხთა შორის კი წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდ დაბრკოლებებს ჰქმნის სოციალისტური მშენებლობის თითქმის ყველა დარგში ის გარემოება, რომ მშრომელი მასების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, მოკლებულია ელემენტარულ საშუალებას უშუალოდ გაეცნოს პარტიისა და ხელისუფლების დადგენილება-განკარგულებებს და ისარგებლოს ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის თვითშეგნების გაღრმავება-გაფართოებისათვის.

თავის თავად ისმება კითხვა, რა კეთდება ჩვენში ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად? უნდა გადაჭრით ითქვას, რომ საქ. კომპარტიის უკანასკნელ ყრილობამდე ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ კეთდებოდა. თუმცა ყრილობისა და საქართველოს კომპ. ცეკას სათანადო დადგენილების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა გამოცოცხლდა, მაგრამ ეს არ კმარა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ჯერ კიდევ ბევრგან შეუწყნარებელ დაუდევრობას აქვს ადგილი, ეს, სხვათა შორის, ნათლად ცხადჰყო ამ საკითხზე მოწვეულმა სპეციალურ თათბირმა. ეს უნდა აღინიშნოს არა მარტო საერთოდ ყველა ჩვენი საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანოების შესახებ, არამედ იმ კულტურულ-განმანათლებელ ორგანოების შესახებაც კი, რომელნიც მოწოდებულნი არიან უშუალოდ უხელმძღვანელონ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას. ეს მდგომარეობა მოსათმენი არაა. საჭიროა ფიცხელი და გადამწყვეტი ხასიათის ღონისძიებათა მიღება, რათა მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად ფართოდ გაიშალოს, რათა ის გადაიქცეს უაქტივეს საჭირბოროტო ამოცანად, რომლის გადაწყვეტაშიაც უახლოეს მონაწილეობას მიიღებს მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა.

პარტია ამ მხრივ იძლევა გარკვეულ დავალებებს, რომელნიც შესრულებულ უნდა იქნან განსაზღვრული დროის განმავლობაში: როგორც პოლიტგანმანათლებელ ორგანოებმა, ისე პროფკავშირებმა, კოოპერაციამ, კომკავშირმა და სხვ. უნდა გააცხოველონ მუშაობა, რათა სამი წლის განმავლობაში ბოლო მოეღოს ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარობას. ამასთანავე პარტიისა და კომკავშირის, უმეტეს პროფესიონალურ ორგანოების წევრთა შორის, კოლმეურნეობის წევრ გლეხთა, წვევანდელთა და ცვალებადელთა შორის, ყველა ქალაქებში, სამრეწველო რაიონებში, ოზურგეთისა და ყოფ. რაჭის მაზრებში წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა აღმოიფხვრას ერთი წლის განმავლობაში. თავის თავად ცხადია, რომ მუშაობის იმ ტემპით, რომელიც ჩვენ დღემდე გვაქვს ამ დარგში, პარტიის ხსენებულ დირექტივის წარმატებით შესრულება შეუძლებელია. საჭიროა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა გადაიქცეს არა მარტო სახელმწიფოებრივ, უწყებრივ საქმეთ, არამედ უდიდეს საზოგადოებრივ ამოცანადაც. ამ მიზნით უნდა გამოიძებნოს მუშაობის ახალი მეთოდები და ფორმები. რათა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში აქტიურად ჩაებას მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, თვითეული საბჭოთა მოქალაქე, რომელმაც იცის წერა-კითხვა და რომელიც შესძლებს ამ ცოდნის სხვისთვის გაზიარებას. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ ჩვენი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების მიერ გადადგმული ნაბიჯები. მაგალითად, ქალაქ ხარკოვის საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალითაც ცხადდება წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეთა მობილიზაცია 18—50 წლამდე. მობილიზაციაქმნილ მოქალაქეებს შრომის ბეგარის სახით ევალებათ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას ერთი წლის განმავლობაში მოანდომონ 216 საათი. ამ მიზნით ხარკოვის ქალაქის საბჭომ კიდევაც გამოჰყო საგანგებო კომისია, რომლის განკარგულებაშიაც იმყოფებიან მობილიზაციით გაწვეული მოქალაქეები. ისინი კი, ვინც სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო ვერ შესძლებს უშუალო მონაწილეობის მიღებას წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში, გადაიხდიან განსაზღვრულ თანხას სპეციალურად ამ მიზნისათვის.

ხარკოვის საქალაქო საბჭოს ნაბიჯი უთუოდ ერთ-ერთ საყურადღებო და მიზანშეწონილ ფორმად უნდა ჩაითვალოს წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. საქართველოს დიდმა ქალაქებმა და, პირველ ყოვლისა, თბილისის საბჭომ მთლიანად და სავსებით უნდა გამოიყენოს ხარკოვის მაგალითი.

ქალაქის საბჭოებთან ერთად თვითეულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციამ უნდა დასვას თავის წინაშე საკითხი რა გააკეთა მან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, როგორი მატერიალური და იდეური მონაწილეობა მიიღო ამ საკითხის გადასაჭრელად და აქედან შესაფერისი პრაქტიკული დასკვნა უნდა გააკეთოს.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ მარტო პოლიტგანმანათლებელი ორგანოები, რაც უნდა აქტიობა გამოიჩინონ მათ, ვერ შესძლებენ პარტიის დირექტივის შესრულებას. ყველა უნდა გაიმსჭვალოს იმ შეგნებით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა თვითეული მშრომელის მოქალაქეობრივ მოვალეობას წარმოადგენს.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაარსებისათვის საქართველოში

გლეხური მეურნეობის მასიური კოლექტივიზაციის და მისი ტემპის დაჩქარების საქმეში სამანქ.-სატრაქტორო სადგურებს განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების იდეამ და მათი მუშაობის პრაქტიკამ ახალი ფურცელი გადაშალეს თანამედროვე სოფლის მეურნეობის მშენებლობაში.

სამ.-სატრ. სადგური არის ის ენერგეტიული ბაზა, სადაც თავმოყრილია მექანიკური და ტეხნიკური წევის ძალები, რომელნიც აკმაყოფილებენ მის ირგვლივ მყოფ და მასთან ხელშეკრულებით გაერთიანებულ მოსახლეობას.

სადგურში თავმოყრილი უნდა იქნას არა ნაკლებ 50 ტრაქტორისა ყველა საჭირო მისაბმელი იარაღ-მანქანით, ლაკომობილებით, სალეწი მანქანები, მანქანების სათადარიგო ნაწილების საწყობები და სხვადასხვა სახის სახელოსნოები.

ამ სადგურში თავმოყრილი მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოყენებისა და მათი შეკეთების სწორად დაყენებისათვის, სადგური უზრუნველყოფილი უნდა იქნას კვალიფიკაციური ტეხნიკოსებით და მუშებით. სადგურმა, რომ სწორად შეასრულოს თავისი როლი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში, საჭიროა მისი უზრუნველყოფა აგრონომიული ძალებით და სოფლის მეურნეობის კვალიფიკაციური მუშაკებით.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ორგანიზაციის დროს აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ იმ რაიონის ბუნებრივ-ეკონომიური პირობები, სადაც ვფიქრობთ მის მოწყობას. უპირველესად აქ უნდა გავითვალისწინოთ ადგილის რელიეფი, რომ მანქანის გამოყენება შესაძლებელი იყოს და, რაც მთავარია, ხელსაყრელი მინდვრის ფართობის, რომლის რაოდენობა უნდა იყოს არა ნაკლებ 30 ათასი ჰექტარისა. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ეს მიწები სახელმწიფო ფონდს კი არ უნდა შეადგენდეს, არამედ გლეხობის სარგებლობაში უნდა იყოს და ამ გლეხობის გაერთიანების საფუძველზე უნდა მოხდეს სადგურის ორგანიზაცია. ამის გარეშე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების იდეა მთელი თავის შინაარს კარგავს.

ყოველივე ამ პირობის გათვალისწინების შემდეგ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ შემდეგ საკითხებზე:

1. სადგურის მოწყობის შემდეგ როგორი სოციალური და სამეურნეო ეფექტი შეიძლება მიღებულ იქნას მის სამოქმედო რაიონში; 2. სოფლის მეურნეობის საერთო (და სადღისოდ კი სასაქონლო ნაწილში) შემოსავლის მოსალოდნელი გადიდების გამორკვევა; 3) ამას თან უნდა მოყვეს ერთდროული ხარჯების გამოანგარიშება და 4) სათანადო ეკონომიური ანალიზის შემწეობით ამ წამოწყების რენტაბელობის შესწავლა. ამასთან, თავის თავად ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ რა მონაწილეობას მიიღებს გლეხობა სამ.-სატრაქტორო სადგურების მოწყობაში.

აი ყველაფერი ის, რაც ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ სამ.-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციის დროს.

ზემოხსენებული მოთხოვნების დაცვით შესაძლებელია თუ არა ჩვენში სამ.-სატრ. სადგურების მოწყობა და სად?

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩვენში სავსებით შესაძლებელია სატრ.-სამ. სადგურების მოწყობა, ამისათვის მოგვეპოვება ყველა ამ მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი რაიონი.

მხოლოდ აქ იბადება საკითხი: იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რომლებიც გვაქვს, სად უნდა იქნას სამ.-სატრაქტორო სადგური პირველ რიგში მოწყობილი? ჩვენის აზრით, სრულიად მიზანშეწონილია და სწორი ის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ **საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოსაწყობად პირველ რიგში ყველაზე უფრო კარგი ობიექტიური, ტეხნიკური და სხვა პირობები არის: გორის ოლქის გომის რაიონში და კახეთის ოლქის შირაქის და ალაზნის ველებზე.**

1. გორის ოლქს, სახელდობრ გომის რაიონს ბუნებრივ-ეკონომიური პირობები სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოსაწყობად სავსებით შესაფერისი აქვს, რადგან ეს რაიონი წარმოადგენს ტიპიურ მემინდვრეობის რაიონს; მისი მოცულობა დაახლოვებით უდრის 30 ათას ჰექტარს ვარგისი მიწით, რომელიც სავსებით გამოსაყენებელია თავის ქიმიური და ფიზიკური თვისებებით ტრაქტორით დასამუშავებლად. მეურნეობათა რაოდენობა რაიონში, წინასწარი გამოანგარიშებით შეადგენს 6.500-ს, ხოლო მოსახლეობის რიცხვი—33.400, აქედან 92 პროც. სცხოვრობს და მუშაობს ადგილობრივ, დანარჩენი კი მიდის ქალაქებში. აშკარაა, რომ მუშა-ხელით ეს რაიონი უზრუნველყოფილი იქნება.

ხსენებული რაოდენობის ვარგის მიწიდან 95,8 პროც. უჭირავს სახნავს. აღსანიშნავია შემდეგი: გომის რაიონში საბალახოების უქონლობის გამო მუშა-საქონლის შენახვა სჭირს და ეს რაიონი კიდევაც განიცდის მის ნაკლებობას. ამ მიზეზით მიწების ნაწილი დაუმუშავებელი რჩება გლეხობას. ეს გარემოება გვკარნახებს ამ რაიონში მექანიკური გამწევი ძალის შეტანას. სოციალ-ეკონომიური პირობებიც შესაფერისად ჩაითვლება, რადგან რკინის გზის მთავარი მაგისტრალი გადის ამ რაიონის ცენტრში, რომელიც აკავშირებს მას როგორც აღმოსავლეთ ნაწილის, ისე დასავლეთ ნაწილის ქალაქებთან.

გლეხობის მეტად საგრძნობი ნაწილი ამ რაიონში უინვენტაროა და მას კოლექტივიზაციისაკენ დიდი მისწრაფება ახასიათებს. ამ რაიონში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ ღარიბ-საშუალო გლეხობას სავსებით დაამუშაოს მიწები და ამით გაადიდოს საერთო შემოსავალი. ეს კი ერთ-ერთი მთავარი პირობაა კულაკების ეკონომიური გავლენის მოსასპობად. ვინაიდან ეს რაიონი წარმოადგენს ქართლში ხორბლეულის მხრივ ყველაზე უფრო სასაქონლო რაიონს, ამიტომ სამეურნეო ეფექტი აქ უფრო მეტი იქნება, თუ ამ რაიონში სადგურს მოვაწყობთ.

კერძოდ აღსანიშნავია, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგური მეტად გაადვილებს საქართველოს შაქრის ჭარხლის ქარხნის ნედლეულით უზრუნველყოფას და მისი სრული დატვირთვით მუშაობას.

2. კახეთის ოლქის შირაქის და ალაზნის ველებზე სამ.-სატრაქტორო სადგურების მოწყობა მიზანშეწონილია. აქ სახნავად გამოსაყენებელი მიწების რაოდენობა უდრის 40-50 ათას ჰექტ.; ამ დასამუშავებელ მიწების რელიეფი სრულიად ეგუება ტრაქტორის მუშაობის ხასიათს.

ნიადაგების ქიმიურ-ფიზიკური თვისებები სავსებით ხელსაყრელია მოსავლიანობის გასადიდებლად. ამ ნიადაგების აგრონომიული გამოკვლევანი მოწმობენ, რომ, თუ კი აქ მიწა თავის დროზე და სათანადოდ დამუშავდება, რაც მოსახერხებელია სადგურის საშუალებით,—მოსავალი მიაღწევს 120—130 ფუთამდე ჰექტარიდან. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ რაიონში თემური მიწადსარგებლობის ტრადიციები ჯერ კიდევ ძლიერია, რაც საგრძნობლად აადვილებს სატ.-სამ. სადგურის მუშაობას. თემური მიწათ-სარგებლობის მოსპობა და გლეხობის სადგურთან მასიურად გაერთიანება, საუკეთესოდ შეიძლება სამ.-სატ. სადგურის მოწყობით,

ამ რაიონის გლეხობის მეტ ნაწილს 163 პროც. არ გააჩნია ინვენტარი, რაც გვკარნახებს იქ მექანიკური გამწევი ძალის შეტანას. თავის მხრივ აქაური გლეხობა დიდი მისწრაფებას იჩენს კოლექტიურ გაერთიანებისაკენ და მზად არიან გაიღონ თავისი წვლილი სადგურის დაარსებისათვის. მხედველობაში გვაქვს კახეთის საოლქო კომიტეტის განზრახვა ამ საქმისათვის გაიღოს ადგილობრივად 150 ათასი მან.

შირაქის ველზე სამ.-სატრაქტორო სამანქანო სადგურის მოწყობით გაერთიანდება 18.000 მეურნეობა. სადგურის მუშაობის წყალობით ყოველწლიურად მივიღებთ 4200000 ფ. ხორბლის მოსავალს. ამავე დროს, ამ რაიონში მემინდვრეობის პროცესების განსაზოგადოებასთან ერთად, შესაფერის გადაჭრას პოვებს მეორე დიდი დარგი ჩვენი მეურნეობისა—მესაქონლეობა, მესაქონლეობა, რომელსაც ჩვენი მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სადგურის მუშაობის წყალობით დადგება გაჯანსაღების გზაზე. იგი მჭიდროდ დაუკავშირდება მემინდვრეობას; გამოყენებულ იქნება მემინდვრეობაში მიღებული საკვები ცხვრისათვის, მემინდვრეობასთან დაკავშირებული მეცხვარეობა კი შესაძლებელია კოლექტიურ საფუძველზე განვითარდეს, და ამას ხელს შეუწყობს სადგურის მოწყობა.

ამნაირად, სამ.-სატრ. სადგურის მოწყობით გორის ოლქში (გომის რაიონი) და კახეთის ოლქში (შირაქის და ალაზნის ველები) მივიღებთ დიდ სოციალურ-ეკონომიურ და სამეურნეო ეფექტს. აქ ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, თითქოს ჩვენში სხვაგან არ იყოს სამ.-სატ. სადგურებისათვის შესაფერი რაიონები, მაგრამ მოსაწყობათ გათვალისწინებული ორი სადგურიდან უპირველესად ერთი უნდა მოეწყოს გორის ოლქში, მეორე კახეთის ოლქში, თუ კი გამოვალთ მიზანშეწონილობის თვალსაზრისიდან.

აგრ. ბ. მესხი.

მუკდენის მთავრობა ნანკინის პოლიტიკის წინააღმდეგ

ჩჟან სიუე-ლიანი ნანკინისაგან მოითხოვს ჩინეთ-საბჭ. კონფლიქტის დაჩქარებით მოგვარებას

ძალაში შევიდა საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმება

ჩინეთ საბჭ. კავშირის კონფლიქტი

ჩან-სუე-ლიანი და ნანკინის მთავრობა

პეკინი, 1 ოქტომბერი. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო ნანკინიდან იუწყება, ჩან-სუე-ლიანმა ნანკინის მთავრობას აცნობა, **რომ საჭიროა სასწრაფოდ მოგვარდეს საბჭოთა კავშირთან ჩამოვარდნილი კონფლიქტი** და საგარეო საქმეთა მინისტრად, ვან-ჩენ-ტინის ნაცვლად, ველინგტონ კუ დაინიშნოს. (ადს).

ტოკიო, 1 ოქტომბერი. როგორც მანჯურიიდან იუწყებიან, მანჯურიის არმიების მთავარ სარდლებად დანიშნული **ჩან-სუე-ლიანი და ჩან-ძო-სიანი** (გირინის გუბერნატორი) ერთხელაც არ ყოფილან საზღვრებზე **ან ხარბინში და არ მიუტოვებიათ თავიანთი დედა-ქალაქები—მუკდენი და გირინი**. მათ არ გაუკეთებიათ არც ერთი ისეთი განცხადება, რომელიც ადასტურებდეს იმას, რომ ისინი ნანკინის პოლიტიკას იზიარებენ. პირიქით, **ჩან-ძო-სიანი ჩან-სუე-ლიანზე უფრო აშკარად გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას ნანკინის იმ პოლიტიკით**, რომელსაც იგი ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში იცავს (ადს).

დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობა

ტოკიო, 2 ოქტომბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, 30 სექტემბერს სუმბეის საკონცენტრაციო ბანაკი ინახულა გერმანიის კონსულმა შტობემ. ამ დღეებში კონსულს განზრახვა აქვს ინახულოს ის პატიმრები, რომლებიც შტაბში იმყოფებიან.

სუმბეის ბანაკში გადაიყვანეს 100-ზე მეტი პატიმარი, რომლებიც წინად მოთავსებული იყვნენ მექანიკური სახელოსნოების კლუბში. ხარბინში გადაიყვანეს ყველა ის პატიმარი, რომელიც იმყოფება საპატიმროში მანჯურიის სადგურზე, აგრეთვე ამ საპატიმროს მოსამსახურეთა მთელი შტატი. (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების ახალი დაპატიმრება

ტოკიო, 1 ოქტომბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, სადგურ მუზედუზე, მიზეზის განუმარტებლად, დააპატიმრეს ხარბინის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელი, რომელიც ჩინეთის ხელისუფლების ნებართვით, დატოვებული იყო ხარბინში იმისათვის, რომ დახმარებოდა გერმანიის საკონსულოს საბჭოთა ხელმოკლე მოქალაქეთათვის შემწეობის აღმოჩენის დროს.

სადგურ მანჯურიიდან ხარბინში ჩაყვანილი საბჭოთა 69 მოქალაქე საპყრობილეში გადაგზავნეს. სხვა სადგურებიდან ჩაიყვანეს 12 საბჭოთა მოქალაქე. (ადს)

შანხაი, 1 ოქტომბერი. გაზეთები იუწყებიან, რომ სადგურ მანჯურიაში დაპატიმრებული 57 საბჭოთა მოქალაქე ხარბინში გადაიყვანეს. (ადს)

ტოკიო, 1 ოქტომბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობით საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი, თუმცა არა სრული, მაგრამ ყოველმხრივ შემოწმებული ციფრები. სუმბეიშ ბანაკში იმყოფება 1.161 საბჭოთა მოქალაქე, რომელთაგან 11 ბავშვია; საპყრობილეში ზის 82 კაცი, რომელთაგან 7 ქალია; აწამეს 35 კაცზე მეტი; ცემისა და ჭრილობებისაგან გარდაიცვალა 3 კაცი, გაძევებულ იქნა — 354, უგზო-უკვლოდ დაიკარგა—26, მოკლულ იქნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე—5. ნაცემ მოქალაქეთა რიცხვი უთვალავია. (ადს)

ჩინეთის ჯარის გახრწნა

ტოკიო, 1 ოქტომბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, ჩინელ ჯარისკაცთა შორის დისციპლინა ეცემა. სადგურ ირკეტში 200 ჩინელმა ჯარისკაცმა მატარებელი № 114 სამი საათის განმავლობაში შეაჩერა იმისათვის, რომ, უფროსის ბრძანების წინააღმდეგ, ვაგონებში ჩამსხდარიყვნენ (ადს).

საბერძნეთ-საბჭ. სავაჭრო შეთანხმება

ათინა, 1 ოქტომბერი. 28 სექტემბერს მინისტრთა საბჭომ დაადგინა—ჩასთვალოს 25 ივნისიდან ძალაში შესულად სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირთან. (ადს).

უმუშევრებს დახმარებას უმცირებენ

ბერლინი, 1 ოქტომბერი. ბევრს ეცადნენ, მაგრამ დღემდე ვერ შეთანხმდნენ მთავრობის პარტიები უმუშევართა დახმარების შემცირების საკითხში. შტრეზემანმა წინადადება შეიტანა — მთავრობის პარტიებმა გადასდონ მთავარი სადაო საკითხის, სახელდობრ, დაზღვევის გადასახადის გადიდების საკითხის გადაჭრა, იმ დრომდე, სანამ მოგვარდებოდეს ფინანსიური რეფორმა, რომელიც იუნგის გეგმასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს. (ადს).

ბერლინი, 1 ოქტომბერი. კომპარტიის მოწოდებით, ლიუსტენგარტენში გაიმართა მუშების საპროტესტო დემონსტრაცია უმუშევართა დახმარების შემცირების წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100 ათასმა მუშამ. მუშებმა ფაბრიკები და ქარხნები მუშაობის დამთავრებამდე დასტოვეს. დემონსტრაციას მუშათა მასიური დემონსტრაციის ხასიათი ჰქონდა. მიტინგმა მიიღო დეპეშები, რომლებშიაც გერმანიის კომპარტიის ც. კ-ი. ესალმება ავსტრიის პროლეტარიატს. მისასალმებელი დეპეშების მიღებას მხურვალე ტაშით შეხვდნენ მიტინგის მონაწილენი. ბერლინის მუშები თავიანთ მისალმებაში სრულ სოლიდარობას უცხადებენ ავსტრიის მუშებს. დემონსტრანტებს რამდენჯერმე დაესხა თავს პოლიცია, რომელიც აპატიმრებდა მუშებს.

საპროტესტო დემონსტრაციები უმუშევართათვის დახმარების შემცირების წინააღმდეგ გაიმართა აგრეთვე ესენში, ჰამბურგში, ხემნიცში, ჰალეში, ლეიპციგში და კენიგსბერგში. (ადს).

მუშათა პარტიის ყრილობაზე

ბრაიტონი, 2 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ყრილობაზე კენჭის ყრით უარჰყვეს დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წევრების **ბროკუეისა და გოსიპის** წინადადება იმის შესახებ, რომ შესწყდეს ინდოელი რევოლიუციონერების გასამართლება მირუტში. როსიპმა განაცხადა,—ბრალდებულთა ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ მათ პროფკავშირი მოაწყვეს.

პარტიის წესდების განხილვის დროს ბევრმა დელეგატმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ აღმასკომს, ადგილობრივი ორგანიზაციების გარეშე, პარტიაში წევრთა მიღების ნება მისცემოდა. ამ გზით პარტიაში შედის ბევრი შეძლებული, რომელნიც არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს ადგილობრივი ორგანიზაციის წინაშე. ამასთან ერთმა ორატორმა განაცხადა: „ჩვენს პარტიაში საკმაოდ არიან კარიერისტები“-ო.

ამის შემდეგ აღმასკომმა განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვა გადადებულია შემდეგი წლისათვის. (ადს).

ბრაიტონი, 1 ოქტ. მუშათა პარტიის ყრილობამ მოისმინა უმუშევრობის საქმეთა მინისტრის ტომასის მოხსენება. ტომასი შეეხო უმუშევრობის წინააღმდეგ განზრახულ ზომებს, მაგრამ ახალი მას თითქმის არაფერი უთქვამს. მან აღნიშნა პრობლემის გადაჭრის უდიდესი სიძნელენი და განაცხადა, რომ მარტო 4.000 უმუშევრისათვის სამუშაოს მისაცემად ერთი წ. განმავლობაში საჭიროა 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ამიტომ, მისი აზრით, ხარჯები მიმართულ უნდა იქნან „მრეწველობის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ“.

დასასრულ ტომასი შეეხო მეორეხარისხოვან სიძნელეებს, მაგრამ არაფერი უთქვამს უმუშევრობის შემცირების პერსპექტივებზე მახლობელ მომავალში. (ადს).

ინგლისის კომპარტია კიცხავს მექსტონს

ბრაიტონი, 2 ოქტომბერი. კომპარტიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია: ბრაიტონის ყრილობაზე შეტანილი მუშათა დამოუკიდებელი პარტიის წინადადება იმის შესახებ, რომ მოწესრიგდეს ბავშვებისათვის დახმარების გაცემის სისტემა, წარმოადგენს მხოლოდ მანევრს; ამ მანევრის მიზანია თავიდან აიცილონ ბრძოლა ისეთი ხელფასისათვის, რომელიც საშუალებას მისცემდა მუშებს, რომ თავი ერჩინათ თავის ოჯახებთან ერთად.

განცხადება მკაცრად ჰგმობს მექსტონს, რადგან იგი თავის სიტყვაში ცდილობდა გაემართლებინა ფეიქართა ლიდერები, რომლებიც დასთანხმდნენ ხელფასის შემცირებას.

განცხადება აღნიშნავს, მუშათა დამოუკიდებელ პარტიას არსებობის საშუალებას იმიტომ აძლევენ, რომ იგი ემსახურება მუშების გასულელების საქმეს. (ადს).

პოლიციის პროვოკაცია სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 1 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიაში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა „ახალი არალეგალური ორგანიზაციის“ შესახებ. ცნობის მიხედვით, კომუნისტების ჯგუფი ვითომ ემზადებოდა საფოსტო განყოფილების სალაროს ექსპროპრიაციისათვის ბელგრადის სადგურზე. დააპატიმრეს 40 კაცი. ერთი მათგანი მოჰკლეს, ვითომ იმის გამო, რომ გაქცევა დააპირა. (ადს).

დოვგალევსკის თათბირი ჰენდერსონთან

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 1 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„როცა დამთავრდა დოვგალევსკის საუბარი ჰენდერსონთან, ჰენდერსონმა გამოაცხადა, რომ მიღწეულ იქნა შეთანხმება მოუგვარებელი საკითხების მოწესრიგების პროცედურის, აგრეთვე პროპაგანდის შესახებ, ამასთან ამ საკითხების მოწესრიგება მოხდება მხოლოდ სრული დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ელჩების დანიშვნის შემდეგ.

მოსაწესრიგებელია შემდეგი საკითხები: ორივე მთავრობის დამოკიდებულება 1924 წლის ხელშეკრულებისადმი; სავაჭრო ხელშეკრულება; პრეტენზიები და კონტრ-პრეტენზიები (მთავრობისა და კერძო ვალები); ინტერვენციის და სხვა მიზეზების გამო წარმოშობილი პრეტენზიები; ამ პრეტენზიებთან და კონტრ-პრეტენზიებთან დაკავშირებული ფინანსიური საკითხები; მეთევზეობის საკითხები; წინად დადებული ხელშეკრულებების და კონვენციების საკითხი.

ამჟამად ადგენენ სათანადო დოკუმენტს ორივე მთავრობისათვის წარსადგენად.

ჰენდერსონმა იმედი გამოსთქვა, რომ დოკუმენტი მზად იქნება ხელმოსაწერად დოვგალევსკის გამგზავრებამდე, პარასკევს. შეთანხმება ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას დაამტკიცებს ინგლისის პარლამენტი“ (ადს).

დასავლეთ უკრაინის პროფკავშირთა საოლქო ყრილობა

პოლონეთის სოციალისტური პარტიის მარცხი

ვარშავა, 2 ოქტომბერი. იმ მიზნით, რომ მოეხდინათ პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და უკრაინელი სოციალ-დემოკრატების კავშირის დემონსტრაცია, ლვოვში მოწვეულ იქნა დასავლეთ უკრაინის პროფკავშირთა საოლქო ყრილობა.

ყრილობის ორგანიზატორმა, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრმა ჟულავსკიმ ხელოვნურად შეარჩია ყრილობის შემადგენლობა და დელეგატებად მხოლოდ პროფკავშირთა მოხელეები გავიდნენ. მაგრამ ლვოვში მისულმა პროფკავშირთა მემარცხენე ფრთის 62 დელეგატმა მოიწვია კონფერენცია. ამ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს მოთხოვნებს პოლიტიკურ და პროფესიონალურ საკითხებში, კერძოდ მოწოდებას საბჭოთა კავშირთან ომის მომზადებისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

შემდეგ ლვოვში კიდევ ჩავიდა მემარცხენე ფრთის მომხრე 60 დელეგატი, ასე რომ ლვოვის 20 დელეგატთან ერთად მემარცხენე ფრთის მომხრეთა ჯგუფი 142 კაცამდე ავიდა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებმა კი უკრაინელ ესდეკებთან ერთად შეკრიბეს მხოლოდ 70 დელეგატი, რომელთა ნაწილი კონფერენციის გახსნაზე არ გამოცხადდა.

ჟულავსკი ერთი მუჭა თავისი თანამოაზრეებით მოხვდა მემარცხენე ფრთის მომხრეებით გავსილ დარბაზში. მან გამოიწვია პოლიცია, რომელმაც გაანთავისუფლა დარბაზი. დარბაზიდან გაძევებულ დელეგატებს შეუერთდნენ დასავლეთ უკრაინის კომპარტიის დროშით მოსულ მუშათა ჯგუფები.

გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტმა დეპუტატებმა როხიაკმა და გავრონმა. მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც გაფანტა პოლიციამ და დააპატიმრა რამდენიმე კაცი.

ყოველივე ეს ამტკიცებს პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და უკრაინელი ესდეკების გავლენის დაცემას დასავლეთ უკრაინის მუშებს შორის. (ადს).

იაპონია და ჩინეთი

იაპონიის პრეტენზიები მანჯურიაზე

ტოკიო, 1 ოქტომბერი. გაზეთი „ნიპხონ“-ი ეხება ამერიკის კაპიტალის მონაწილეობას ლიენშანის ნავთსადგურის აგებაში და სწერს: „ეს პროექტი წარმოადგენს ამერიკის ტრადიციული პოლიტიკის ლოღიკურ განვითარებას. ამერიკა ცდილობს წყნარი ოკეანე ამერიკის ტბად გადააქციოს და ამისათვის ეძებს დასაყრდენს მანჯურიაში. იაპონიის პოლიტიკა ჩინეთში აქტიური უნდა იყოს. სიდეხარა კი მოლოდინის პოლიტიკას მისდევს. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მინისტრს—აუხსნას მთელ მსოფლიოს, რომ იაპონიის დასტურის გარეშე არც ერთ ქვეყანას არ უნდა მიეცეს მანჯურიაში ეკონომიურად დამკვიდრების უფლება. ეს პრინციპი უნდა ჩავაგონოთ არა მარტო ნანკინს და ჩან-სიუე-ლიანს, არამედ ამერიკასაც. (ადს).

ოპოზიცია უნდობლობის ვოტუმს ამზადებს

ვარშავა, 2 ოქტომბერი. სეიმის წრეების ცნობებით, ოპოზიციონურმა ფრაქციებმა დაადგინეს: სეიმის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე სვიტალსკის მთელ მთავრობას უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადონ. სეიმის თავმჯდომარე პოლ. სოციალისტი დაშინსკი ადასტურებს ხმას იმის შესახებ, რომ მზადდება უნდობლობის ვოტუმი. (ადს.)

მდგომარეობა ჩინეთში

შიმშილობა ჩინეთში მილიტარისტების მტაცებლობის შედეგია

ვაშინგტონი, 1 ოქტომბერი. ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოებამ უარი განაცხადა დამშეულ ჩინელებისთვის დახმარების აღმოჩენაზე. უარს ასაბუთებენ იმით, რომ საზოგადოების კომისიამ, რომელიც ჩინეთში იყო გაგზავნილი, გამოარკვია, რომ შიმშილობა ჩინეთში წარმოადგენს მილიტარისტთა მტაცებლობისა, ძარცვა-გლეჯისა, რკინის გზების ნგრევისა და სხვ. შედეგს. ნანკინის მთავრობა არც კი შეეცადა მოეწყო დამშეულთა დახმარება, ხოლო დამშეულთა სასარგებლოდ შეგროვილი თანხები პროვინციის მილიტარისტებმა მიითვისეს. კომისიის მიერ შეკრებილი მასალა გამოქვეყნებულია. (ადს)

სამხედრო აკადემიის 20 მსმენელის დასჯა სიკვდილით

ტოკიო, 1 ოქტომბერი. როგორც ნანკინიდან იუწყებიან, ჩან-კაი-შის მოკვლის განზრახვასთან დაკავშირებით, სიკვდილით დასაჯეს სამხედრო აკადემიის 20 მსმენელი. (ადს)

ექსტერიტორიალობის უფლების დასაბუთება

შანხაი, 1 ოქტომბერი. როგორც „შინბაო“ იუწყება, საბჭოთა სამი მოქალაქის სიკვდილით დასჯას ამერიკის, ინგლისის და იაპონიის ელჩები იყენებენ იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ჩინეთში შეუძლებელია ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმება. (ადს)

კომუნისტური ჯარის წინსვლა

ლონდონი, 1 ოქტომბერი. „დეილი მეილ“-ის გონკონგელი კორესპონდენტის ცნობით, კომუნისტურმა ჯარმა აიღო შანჩანი, ფუძიანის სამხრეთით. (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობა

ამხ. დობროვოლსკის მოხსენება მრეწველობის და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოს სხდომაზე

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოს სხდომაზე ამხ. **დობროვოლსკიმ** გააკეთა მოხსენება სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქონლის საერთო ბრუნვა 1928—29 წლის პირველ ნახევარში უდრიდა 74 მილიონ მანეთს, რაც 2,9 პროცენტით აღემატება წარსული წლის პირველ ნახევრის ბრუნვას. საბჭოთა კავშირიდან გატანილი საქონლის საერთო ღირებულებამ მიაღწია 40.335.000 მანეთს (1105, 7 პროც. შარშანდელთან შედარებით, ხოლო შემოტანილი საქონლის ღირებულებამ—33.570.000 მანეთის (98,7 პროცენტი). საგრძნობლად შემცირდა საკვები პროდუქციის გატანა სპარსეთში, გაიზარდა სამრეწველო საქონლის გატანა. ასე, მაგალითად, ხეტყე, შარშანდელთან შედარებით გატანილ იქნა 362 პროცენტი, მანქანები და მათი ნაწილები—244 პროცენტი, ელექტრო-მოწყობილობა—134 პროც. და სხვ.

სპარსული საქონლის შემოტანა, 1927 — 28 წელთან შედარებით, შემცირდა 1,3 პროცენტით. ეს შემცირება უმთავრესად შეეხება საკვებ პროდუქციას. სამაგიეროდ გადიდდა ნედლეულის და ნახევრად დამუშავებული პროდუქტების შემოტანა (130,8 პროცენტი 1927—28 წელთან შედარებით), განსაკუთრებით აბრეშუმის პარკის (617 პროცენტი) და სხვ. (ადს).

მელითონეთა პროფკავშირის დახურვა

ვარშავა, 2 ოქტომბერი. ხელისუფლებამ დახურა მელითონე მუშების პროფკავშირი. პოლიცია საბუთად იმას ასახელებს, რომ პროფკავშირის არსებობა „საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მყუდროებას“.

ამხ. რომანოვი—რუსეთის შრომის კომისარი

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა—ამხ. მ. მ. რომანოვი დანიშნოს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისრად. (ადს)

სხვადასხვა

● **რეფორმისტების მორიგი ღალატი.** ვენის და ქვემო ავსტრიის მეტყავეთა გაფიცვა, რომელიც სექტემბერში დაიწყო, პროფკავშირების რეფორმისტ ხელმძღვანელებმა ჩაშალეს. რეფორმისტი ხელმძღვანელები დათმობაზე წავიდნენ მრეწველთა მიმართ.

● **საქონლის შესყიდვა ამერიკაში.** როგორც „ამტორგ“-ი იუწყება, 1928—29 სამეურნეო წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიძინა 109 მილიონი დოლარის საქონელი, შარშანდელი 91 მილიონი დოლარის ნაცვლად.

● **ბაქოში ჩავიდა** საფრანგეთ-სპარსეთის ნავთის კომპანიის თავმჯდომარე ბატინი. ხსენებული კომპანია აწარმოებს ნავთის **საგამომძიებო სამუშაოებს** ნევირ-ხარიანში. ბატინიმ „აზნევტ“-ის გამგეობის წევრები ინახულა.

● **მაცუდა მუკდენში.** მუკდენში ჩავიდა იაპონიის კოლონიების მინისტრი მაცუდა. მოელიან, რომ იგი ინახულებს ჩან-სიუე-ლიანს და დაათვალიერებს ფუშუნის საბადოებს. (ადს).

● **გრიგალი.** ლუჩუს კუნძულებს (მდებარეობენ კიუ-სიუს სამხრეთით) გადაუარა გრიგალმა, რომელმაც დაანგრია ბევრი სახლი და გაანადგურა რამდენიმე მოტორიანი ნავი. არის ადამიანის მსხვერპლი. (ადს).

● **ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა.** ლონდონის ბირჟაზე გაძლიერდა ყოველგვარი ფასიანი ქაღალდის გაყიდვა, გარდა მთავრობის ობლიგაციებისა. დაეცა აქციები, რომელსაც ყოველთვის დიდი ფასი ჰქონდათ. ზარალი მილიონებს უდრის. განაგრძობენ ინგლისიდან ოქროს გატანას. (ადს).

ჯილდოები სოციალისტურ შეჯიბრებაში

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა შემოიღოს იმ მუშაკების, წარმოებების, წამოწყებების, ამქრების, სახელოსნოების, აგრეთვე ბრიგადების და ჯგუფების დაჯილდოება, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების დროს რაიმე გაუმჯობესებას მიაღწევენ. ჯილდოების მისაცემად დაარსდება შეჯიბრების ხელისშემწყობი ფონდები ათ პროცენტიანი ანარიცხებიდან და იმ ეკონომიიდან, რომლებსაც წარმოება მიიღებს სოციალისტური შეჯიბრების წყალობით სამეურნეო წლის განმავლობაში. ეს ფონდები მოხმარდება ჯილდოების გაცემას და სამრეწველო პროპაგანდის საჭიროებას.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს დაევალათ — ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაონ და გამოსცენ ამ დადგენილების გამოყენების დაწვრილებითი ინსტრუქცია. (ადს).

მბეჭდავთა კავშირის ხელმძღვანელობის განახლება

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. დაიხურა მბეჭდავთა კავშირის ც. კ.-ის პლენუმი. კავშირის ც. კ.-ის თავმჯდ. ამხ. ბორშჩევსკის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი აღნიშნავს, რომ პრეზიდიუმმა ვერ შესძლო მკაფიო პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, რომ მისი მუშაობის ტემპი ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებას. ამის გამო კავშირმა ვერ შეასრულა პარტიისა და პროფკავშირთა მე-8 ყრილობის მიერ წამოყენებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანები.

პლენუმმა დაადგინა—გაანთავისუფლოს ც.-კ-ის პრეზიდიუმის წევრთა მოვალეობისაგან ამხ. **ბორშჩევსკი, უზიგოვი და გენდელმანი.**

კავშირის ყირიმის განყოფილების ყოფილი თავმჯდომარე მიხაილოვი გაფლანგვისა და გახრწნისათვის გამორიცხულ იქნა კავშირის ც. კ-ის პლენუმის შემადგენლობიდან. კავშირის ც. კ-ის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ვარნოვიცკი.

ც. კ-ის თავმჯდომარის არჩევა შემდეგი პლენუმისათვის გადაიდო (ადს).

საექსპორტო გეგმის შესრულება ა.-კავკასიაში

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე ამხ. ბრასოვმა გააკეთა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საექსპორტო გეგმის შესრულების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1929 — 30 წლის 10 თვის განმავლობაში საექსპორტო გეგმა შესრულებულ იქნა 70 პროცენტით. სულ გატანილია 14,4 მილიონი მანეთის საქონელი. ამრიგად, **საექსპორტო დავალებათა შესრულების შედეგი არადამაკმაყოფილებელად უნდა ჩაითვალოს.**

ამხ. ბრასოვის აზრით, გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად აიხსნება დამამზადებელი მუშაობის სუსტ განვითარებით ექსპორტის ძირითადი საგნების დარგში. სუსტად იქნა გამოყენებული თამბაქოს მეურნეობის, მეფრინველეობის, მეხილეობის, თევზის მრეწველობის და სხვათა საექსპორტო შესაძლებლობანი. **საექსპორტო თათბირების მუშაობაც რაიონების უმრავლესობაში არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. არადამაკმაყოფილებელია ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის მუშაობაც.** მან ვერ მოახერხა საექსპორტო საქონლის ნომენკლატურის განსაზღვრა, ვერ მოაგვარა საექსპორტო პროდუქციის გადამუშავების საქმე და ვერ გაუწია სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი დამზადებას და საექსპორტო ვალდებულებათა შესრულებას.

1929—30 წლის გეგმის შესასრულებლად კოლეგიამ დაადგინა, სთხოვოს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, მიიღოს საჭირო ზომები საექსპორტო თათბირების მუშაობის გასაუმჯობესებლად. საექსპორტო თათბირების მოვალეობაა—გაუწიონ ხელმძღვანელობა და კონტროლი საექსპორტო მუშაობას.

კოლეგიას შეცდომად მიაჩნია პოლიტიკა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, რომელიც შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების წინააღმდეგ, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობას არ მისცა დამოუკიდებელი დამზადების ნება. **კოლეგიამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ჩარიცხოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობა ერთ-ერთ ძირითად დამამზადებლად ყველა იმ რაიონში სადაც კოოპერაცია ვერ ასდის დამზადების საქმეს.**

მეფრინველეობის, მეთევზეობის, მეხილეობის, მებაღეობის და სხვ. პროდუქციის ექსპორტის განვითარების უზრუნველსაყოფად, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა—გაითვალისწინოს კოლექტიური მშენებლობის მაქსიმალური განვითარება საექსპორტო მუშაობის ამ დარგში.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის აპარატი საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური მუშაკებით. მისი აზრით, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა და საექსპორტო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ამ სამუშაოსთვის კვალიფიციური კადრების მომზადება, განსაკუთრებით დაწინაურებული მუშებიდან. (ადს).

ქართული ტერნაწილების მანევრები

მანევრების მსვლელობა

პირველ ოქტომბერს დღის პირველ საათისათვის „წითლებმა“ გადალახეს მდინარე მტკვარი სოღანლუღთან და დაიწყეს შეტევა „ლურჯების“ წინააღმდეგ, რომლებსაც დაკავებული ჰქონდათ თრიალეთის მთების შემდეგი რაიონი: შავნაბადა—ხატის თელეთი—სანერგე.

„წითლები“ ქვეითი ჯარის და არტილერიის გარდა იყენებდნენ ჯავშნოსნებს, რომლებმაც ორჯერ მიიტანეს იერიში „ლურჯებზე“.

„ლურჯები“ მამაცად იგერიებდნენ თავდასხმას და სრული წესრიგით იხევდნენ უკან შავნაბადა-ტაბახმელის მიმართულებით.

პირველ ოქტომბერს დილის 5 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე სწარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა თრიალეთის მთაზე.

4 საათზე როგორც „წითლები“, ისე „ლურჯები“ წვიმისა და განსაკუთრებით სქელი ნისლის გამო, რომელმაც დაჰფარა თრიალეთის მთები, იძულებულნი იყვნენ შეეჩერებინათ საომარი მოქმედება. „წითლებმა“ დაიხიეს მირზოევის თელეთისაკენ, „ლურჯებმა“—ტაბახმელა-წავკისისაკენ.

გუშინ, დილის 8 საათიდან, კვლავ დაიწყო ბრძოლა, „წითლები“ გადავიდნენ შეტევაზე, „ლურჯები“ იცავდნენ ტაბახმელას აღმოსავლეთის მხრივ და, ამავე დროს, იხევდნენ უკან და ეძებდნენ ხელსაყრელ პოზიციებს კოჯორის მიმართულებით.

დღეს მოსალოდნელია „წითლების“ და „ლურჯების“ ბრძოლა კოჯორის უღელტეხილზე.

2 ოქტომბრის ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო ავიაციამ.

სოფ. ტაბახმელას მიდამოებში

„ბრძოლა“ შესწყდა.

„ლურჯები“ სრული წესრიგით იხევენ უკან ტაბახმელა-წავკისის მიმართულებით.

წვიმს, ჰქრის ქარი და ცივა. კოჯორის მხრიდან მოდის სქელი ნისლი, რომელიც თანდათან ფარავს მთებს და დაბლობებს. მალე ნისლმა დაჰფარა თრიალეთი, კოჯორის მიდამოები და თბილისი.

არაფერი არა სჩანს, მოძრაობა ძნელდება. ყველა ამას ზედ ერთვის ტალახი, რომელშიაც ადამიანი მუხლებამდის იფლობა.

„ლურჯები“ თავს იყრიან სოფ. ტაბახმელაში. ერთ-ერთ მოზრდილ სახლში მოთავსდა შტაბი და პოლიტგანყოფილება.

ჯარი თანდათან მატულობს, სოფელი ივსება არმიელებით, ცხენოსნებით, ფურგონებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯარი მრავლად არის სოფლად, წესრიგი საუცხოვოა.

ამინდი ძალიან ცუდია, ამისთანა ამინდზე იტყვიან გლეხები—„ძაღლი გარეთ არ გაიგდებაო“.

არმიელები ყოჩაღად არიან, მამაცად უმკლავდებიან ქარს, სიცივეს და ტალახს.

შუაღამის მოახლოებისას სოფელი მიწყნარდა. არ ეძინათ მხოლოდ გუშაგებს და მორიგეებს, რომლებიც სდარაჯობდნენ ბანაკს.

გათენდა და „ლურჯების“ ბანაკიც აიშალა.

მზემ ამოჰყო თავი გომბორის მთებიდან და უხვად მოჰფინა სხივები კოჯორის მთებს. გამოჩნდა თეთრად მოელვარი კავკასიონი და ამაყი ყაზბეგი. ცაზე არ მოსჩანდა არც ერთი ღრუბელი.

ბრძანების თანახმად „ლურჯებს“ დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინათ პოზიციები ტაბახმელას აღმოსავლეთით „წითლების“ იერიშის მოსაგერიებლად.

არმიელნი ძალიან მოიქანცნენ ორი დღის უძილობით და განუწყვეტელი მუშაობით ფრონტზე და ზურგში, მაგრამ, ამ დილით ყველანი მხიარული სახით და მამაცი ნაბიჯით მიეშურებოდნენ პოზიციებისაკენ.

დილის 8 ნახ. საათზე „ლურჯებმა“ დასტოვეს ტაბახმელა და გაემართნენ აღმოსავლეთით პოზიციების დასაკავებლად. გავცდით სოფელს, გავიარეთ სამ კილომეტრამდე. გამოჩნდა შავნაბადას მთა, რომლის წვერზე აღმართულია ძველი ეკლესია.

ჩვენ ვიმყოფებოდით მაღლობზე 430,2. აქედან მშვენივრად მოსჩანს თბილისი, ავჭალა, გარე-კახეთი და ბორჩალო თავისი ლამაზი ველებით და მთებით.

ვიხედებით იქითკენ, სადაც იმყოფებიან „წითლები“. თვალი მოვკარით არმიელთა ერთს ჯგუფს, რომლებიც ფრთხილად მოძრაობდნენ და დაკვირვებით ათვალიერებდნენ არე-მარეს. ვიცანით ეს არმიელები: ალბად „წითლები“ მალე გამოჩნდებიან, რომ უკვე გამოუგზავნიათ წინ მზვერავები.

ე. ხუციშვილი.

სიმაღლე 430,2.
2 ოქტომბერი.

უდიდესი მიღწევა

ამხ. ფრუნზეს სახელობის ტერიტორიალური დივიზიის მანევრები წარმატებით მიმდინარეობს. როგორც „წითლები“, ისე „ლურჯები“ საუკეთესოდ ასრულებენ სარდლობის მიერ მიცემულ გეგმას.

გამოცდას დივიზია ბრწყინვალედ აბარებს.

დიდი განსხვავებაა საკადრო და ტერიტორიალური ნაწილების მანევრებს შორის. საკადრო ნაწილებში სამხედრო მეცადინეობა მიმდინარეობს ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ. ცვალებადი წითელი არმიელები კი ყაზარმაში არიან მხოლოდ წელიწადში ერთ თვეს, რაც, უეჭველია, თავის გავლენას ახდენს ტერიტორიალურ ნაწილების სამხედრო მომზადებაზე.

მიუხედავად ამისა, ცვალებადი წითელ არმიელები მანევრებზე იჩენენ სამხედრო საქმის საუკეთესო ცოდნას და სათანადო გამოცდილებას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ცვალებადელების საუკეთესო ამტანობა და გამძლეობა. დივიზიის ნაწილებმა, დაწყებული ავჭალის ბანაკიდან, გაიარეს საკმაოდ დიდი მანძილი ფრიად ცუდ პირობებში და დაუსვენებლად ჩაებნენ სამხედრო ოპერაციებში. ცვალებადელნი არ იმჩნევდნენ დაღლილობას და პირნათლად ასრულებდნენ ამა თუ იმ ამოცანას.

„ბრძოლის“ წარმოება ცვალებადელებს მთელი ორი დღის განმავლობაში უხდებოდა ტალახში, სიცივეში, წვიმის ქვეშ. ამანაც არ იქონია მათზე არავითარი გავლენა, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ მანევრების გეგმა, ცუდი ამინდის გამო, არ ყოფილა დარღვეული; ყოველი ოპერაცია მიმდინარეობდა იმ საათებში, როგორც იყო გათვალისწინებული სარდლობის მიერ.

2 ოქტომბერს დილით დავესწარი „ლურჯების“ ნაწილების გასვლას პოზიციებზე. არც წინა ღამით, არც პირველ ოქტომბერს „ლურჯებს“ არ დაუსვენიათ, არ უძინიათ. შეუძლებელი იყო ძილი და დასვენება წვიმაში. მაგრამ, „ლურჯები“ გავიდნენ პოზიციებზე სიმღერით, მხიარულად, ოხუნჯობით.

არ შეფერხებულა მანევრებზე არც პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა. სოფლებში იმართებოდა გლეხების საერთო კრებები, მიტინგები. წითელ არმიელთა შორის სწარმოებდა პოლიტმუშაობა. საერთოდ ნაწილების პოლიტორგანოები მუშაობდნენ დამაკმაყოფილებლად.

მანევრების პირველმა ორმა დღემ გამოააშკარავა ცვალებად წითელ არმიელთა საუკეთესო სამხედრო მომზადება, რაც თავდებია იმის, რომ ტერიტორიალური დივიზია წარმოადგენს საკმაოდ მომზადებულ სამხედრო ერთეულს.

ე. ხუციშვილი.

ტაბახმელა, 2 ოქტომბერი.

„დროშა“ № 18
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის დამზადება

გორისა და კახეთის ოლქების შეჯიბრების შედეგების შემოწმება.--ორივე ოლქმა პურის დამზადების გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა.--კახეთის ოლქში კომკავშირი დიდ როლს თამაშობს პურის დამზადების საქმეში.--მარტო კომკავშირის ინიციატივით 15 სექტემბრამდე 10.000 ფუთი ხორბალია დამზადებული.

წინადადება გორის ოლქს

გურჯაანი (საკ. კორ.), 2 ოქტომბერი. კახეთის ოლქში 30 სექტემბრისათვის მთელი გეგმა შესრულებულია დიდი გადაჭარბებით. დამზადებულია კოოპერატივებში: ხორბალი—157.750 ფუთი, ქერი—28.393 ფუთი, სულ 186.143 ფუთი. საკრედიტო ამხანაგობებში კონტრაქტაციით დამზადებულია: ხორბალი—20.000 ფუთი, ქერი—3.622 ფ., თავისუფალი დამზადებით: პური—66.575 ფუთი, ქერი—9.912 ფ., სულ პური—86.575 ფუთი, ქერი—13.534 ფ., სულ ხორბლეული—100.109 ფუთი. საბჭოთა მეურნეობაში დამზადებულია—21.000 ფუთი ხორბალი და 5.000 ფუთი ქერი, სულ—26.000 ფუთი. დღიდან კამპანიის დაწყებისა 30 სექტემბრამდე ჩათვლით დამზადებულია: ხორბალი—265.325 ფუთი, ქერი—46.924, სულ—312.252 ფუთი.

ამრიგად პურის დამზადება ოლქში შესრულებულია 131,7 პროცენტით. გთხოვთ დაგვინიშნოთ ადგილი გორის საოლქო აღმასკომთან შეჯიბრების შედეგების შესამოწმებლად. ჩვენ სასურველად მიგვაჩნია შეჯიბრების შემოწმება მოხდეს კახეთის ოლქში ქვემო - მაჩხაანში დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით და ღარიბ და საშუალო გლეხობის მონაწილეობით.

დ. აფციაური.

დავალება შესრულებულია 104 პროცენტით

გორი, 2 ოქტომბერი. 1 ოქტომბრამდე დამზადებული პური მთელი წლიური დავალების 104 პროცენტს შიადგენს.

ცხოვრებაშვილი.

კომკავშირი პურის დამზადების ფრონტზე

(კახეთის ოლქი)

კომკავშირის კახეთის ოლქის ორგანიზაციამ პურის დამზადების კამპანიაში შესძლო გაეკეთებია ის, რაც წარსულ წლებში არ გაკეთებულა.

კომკავშირის უშუალო მონაწილეობით კახეთის ოლქში პურის დამზადებამ ფართო ხასიათი მიიღო. ვერც კულაკების გამოსვლამ და ვერც ზოგიერთი ანტი-საბჭოთა ელემენტების ხელის შეშლამ ამ საქმეში მიზანს ვერ მიაღწია. ფხიზლად მოდარაჯე კომკავშირელები პარტიისაგან დავალებულ ამოცანას ამ კამპანიაში ღირსეულად ასრულებენ.

ა.ლ.კ.კ. ოლქკომის მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით კომკავშირის უჯრედების მიერ უნდა შეგროვილიყო 10.000 ფუთი ხორბლეული.

უჯრედებში ჩატარებულ იქნა მოხსენებები პურის დამზადების შესახებ. უჯრედებს გამოჰქონდათ დადგენილებები პურის კოლექტიურად შეტანის შესახებ. მაგალითად აფენის, ახმეტის, ჯოყოლის და სხვა უჯრედებმა დაადგინეს, რომ თვითეულ კომკავშირელს თავის ოჯახის წევრების გარდა შემოეტანათ ცალკე ორ-ორი ფუთი ხორბალი. ეს დადგენილება შესრულებული იქნა.

მთავარი ყურადღება მიქცეული იყო იქითკენ, რომ პურის დამზადება ჩატარებულიყო სწრაფი ნაბიჯით, ამავე დროს მთელი მშრომელი გლეხობა დარაზმულიყო პარტიის ხაზის ირგვლივ და შეუწყვეტელი იერიშები მიეტანა კულაკების წინააღმდეგ. ამ მიზნით კომკავშირის მიერ ჩატარებული იქნა მშრომელ გლეხთა კრებები, სწარმოებდა აგიტაცია - პროპაგანდა. მაჩხაანის, აფენის და ახალ-სოფლის თემებში გლეხობასთან ერთად ჩატარდა საზეიმო სხდომები. ამავე სხდომაზე მოხდა ერთმანეთის გამოწვევა შეჯიბრებაში პურის მეტი რაოდენობით ჩაბარებაზე. ასეთი გამოწვევით მაჩხაანში შეგროვდა 160 ფუთი, ახალ-სოფელში—200 ფუთი, ბაისუბანში—100 ფუთი, ფშაველში ერთ სხდომაზე შეგროვდა 400 ფუთი ხორბალი. კომკავშირმა პარტორგანიზაციასთან ერთად მოაწყო წითელი ქარავნები პურის შესაგროვებლად სხვადასხვა თემებში, რამაც საუკეთესო ნაყოფი მოგვცა. მაგალითად სიღნაღის კომკავშირმა წითელი ქარავნების საშუალებით ერთ დღეს შეაგროვა 500 ფუთი ხორბალი. აფენში კომკავშირლებმა მოაწყვეს კოლმეურნეობის წევრებთან, გლეხობასთან და პიონერებთან გაერთიანებული წითელი ქარავნები (ურმები, დროშები, ტრაქტორების გამოტანა და მფრინავი მიტინგები) რამაც შედეგად მოგვცა 400 ფუთი ხორბლის დაგროვება. ასეთივე ქარავნები მოეწყო ახმეტში, მაჩხაანში, ახალ სოფელში და სხვაგან.

ხოდაშნის თემმა გეგმა შესრულა ორი ვაგონის გადაჭარბებით, მაჩხაანში მოცემულ საკონტროლო ციფრს — დაგროვილმა ხორბლეულმა ბევრად გადააჭარბა, შაშიანის თემში გადაჭარბებული იქნა 40 პროც.-ით. ყოველიკე ამ საქმიანობაში კომკავშირის ორგანიზაციები დაუღალავად მუშაობდენ. ამ დიდ კამპანიის მიმდინარეობაში შეუნელებელი ბრძოლა სწარმოებდა კულაკებისა და ანტი-საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ კამპანიის ჩაშლას. ადგილი ჰქონდა პურის გადამალვის შემთხვევებსაც, რასაც კომკავშირელები მაშინვე ააშკარავებდნენ. მაგალითად ხოდაშნის კულაკებმა გადამალეს პური. გადამალული 120 ფ. პური აღმოაჩინა კომკავშირის უჯრედმა და გადასცა კოოპერატივს. მაჩხაანში კულაკები შეეცადნენ სახ. ორგანოების მოტყუებას. მათ მიწით დატენილი ტომრების ჩაბარებით უნდოდათ ფართლის გამოტანა, მაგრამ კომკავშირის ფხიზელი მეთვალყურეობით კულაკების აფერისტობა გამომჟღავნებულ იქნა.

გარდა ზემოხსენებულისა კომკავშირის უჯრედების ყურადღება მიქცეული იყო იქითკენ, რომ ჩარჩ-ვაჭრებს ქურდულად არ გაეპარებინათ პური. ასეთი შემთხვევებიც იყო: მაგალითად ზემო-ხოდაშნის თემში კომკავშირმა დააკავა 40 ფუთი ხორბალი, წითელ წყაროს კომკავშირელებმა ღამით დააკავეს სამი ფურგუნი ხორბალი. ასეთივე შემთხვევები იყო ზემო-ქედის და სხვა თემებში. კომკავშირმა სულ ჩარჩ-ვაჭრებს დაუჭირა 1.500 ფ. ხორბალი და 250 ფუთი ქერი.

ბაკურციხის თემში კომკავშირის ორგანიზაციის მიერ აღმოჩენილ იქნა საკრედიტო ამხანაგობის მიერ პარტიის ხაზის დამახინჯება, რაც გამოიხატა იმაში, რომ საკრედიტო ამხანაგობამ პურის დამზადების დროს 200 ფუთი ხორბალი მისცა ხმა ჩამორთმეულ კულაკებს.

სიღნაღის თემის ერთ-ერთ სოფელში ჩარჩ-ვაჭრებმა მოინდომეს პურის ფარულად გატანა. პურით დატვირთულ ურმებს ზევიდან ნახშირი დააყარეს, მაგრამ გაჩხრეკის შემდეგ ნახშირს ქვეშ აღმოჩნდა რამოდენიმე ოცეული ფუთი ხორბალი, რომელიც ჩამორთმეულ და გადაეცა კოოპ. ორგანოებს.

პურის დამზადების კამპანიაში იყო ნაკლიც, როგორც მაგალითად: „მსუბუქი კავალერიის" სრული უმოქმედობა (გამონაკლისის გარდა). ადგილი ჰქონდა ზოგიერთ კომკავშირლების მიერ პურის ჩაუბარებლობასაც. ასეთი კომკავშირელები გაიძახოდნენ „ჩვენ გვინდა პური ძვირად გავყიდოთო". ლაგოდეხის თემში ორმა კომკავშირელმა გადამალა პური. ისინი გაიძახოდნენ „სახლები უნდა ავაშენოთ და პური ძვირად უნდა გავყიდოთო — მთავრობა ძალიან ცოტას იძლევაო" და სხვ. კალინოვკის კოლექტივმა გადამალა 200 ფუთი პური. ეს იცოდნენ კომკავშირლებმა და არ გამოაჩინეს — ხელი დააფარეს. ასეთ ულირს კომკავშირლების წინააღმდეგ ორგანიზაცია სათანადო ზომებს ღებულობდა.

მთლად კახეთის ოლქში უნდა დამზადებულიყო 301.000 ფ. ხორბალი. კომკავშირის ხაზით კოლექტიურად უნდა დამზადებულიყო 10.000 ფ. ხორბალი. საერთო ხაზით კახეთის ოლქში 15 სექტემბრამდე დამზადებულ იქნა 235.712 ფ. ხორბალი, კომკავშირის ორგანიზაციის მიერ დაგროვილ იქნა 8.319 ფ. ხორბალი. კომკავშირელთა ოჯახებიდან საერთოდ ჩაბარებულია ხორბალი 11.532 ფ. (6 თემს ჯერ კიდევ ცნობები არ წარმოუდგენია). როგორც ვსთქვით ეს რაოდენობა დამზადებულია 15 სექტემბრამდე. თუ მივუმატებთ ამ რაოდენობას, რაც მას შემდეგ დამზადდა, ცხადი იქნება ყველასათვის, რომ საკონტროლო ციფრს დიდად გადაჭარბებს.

არქო.

შემოდგომის თესვა

შემოდგომის თესვა ყველგან წარმატებით ვერ მიმდინარეობს.--სას.-სამ. ორგანიზაციების დახმარება და ხელმძღვანელობა სუსტია

ზემო - იმერეთში ზოგ რაიონს თესლი ჯერ კიდევ არ მიუღია, გორის ოლქის მთელ რიგ რაიონებში სათესლე მასალა ჯერ კიდევ გაუწმენდავია. ტრაქტორები და სას.-სამ. იარაღები ბევრგან შეუკეთებელია, ზოგან მიზანშეწონილად ვერ არის გამოყენებული.

დაუყოვნებლივ მოვსპოთ შემოდგომის თესვის შემაფერხებელი მიზეზები.--სას. სამ. ორგანიზაციებმა ყველა ძალები თესვისაკენ უნდა მიმართონ

მანქანა-იარაღების განაწილება

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ შემოდგომის თესვისათვის მიიღო და ადგილებს გაუნაწილა 136 ტრიერი,—5.295 გუთანი, 811 ფარცხი და 107 სათესი მანქანა. აღნიშნული ინვენტარი განაწილებულია შემდეგნაირად: ახალქალაქის მაზრას მიეცა 200 ცალი სხვადასხვა ტიპის გუთანი, 64 ფარცხი, 7 სათესი მანქანა, ახალციხის მაზრას—170 გუთანი, 49 ფარცხი, 7 სათესი მანქანა, გორის ოლქს—672 გუთანი, 97 ფარცხი, 18 სათესი მანქანა, 19 ტრიერი, კახეთის მაზრას—845 გუთანი, 161 ფარცხი, 53 სათესი მანქანა და 57 ტრიერი. თბილისის მაზრას—67 გუთანი, 116 ფარცხი, 21 სათესი მანქანა და 44 ტრიერი. ზუგდიდის მაზრას — 225 გუთანი, 58 ფარცხი; ოზურგ. მაზ.—200 გუთანი, 21 ფარცხი და 2 ტრიერი ლანჩხუთის რაიონისათვის. სენაკის მაზრას—270 გუთანი და 64 ფარცხი. ქუთაისის ოლქს—995 გუთანი, 85 ფარცხი. აჭარისტანს—262 გუთანი და 50 ფარცხი, სამხრეთ-ოსეთს—240 გუთანი, 43 ფარცხი და 3 ტრიერი. შირაქის საბჭოთა მეურნეობას მიეცა 8 ცალი ტრიერი, ხოლო კულარის მეურნეობას 3 ცალი ტრიერი.

განაწილებული იარაღ-მანქანები უკვე გადაიგზავნა ადგილებზე.

თესვის ჩამტარებელ რესპ. კომისიაში

„სოფლის კავშირი" თავის დროზე არ აწვდის თესლს ადგილებს

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ საკმაო დროა, რაც დაამტკიცა მიღებულ თესლის ადგილებს შორის განაწილების გეგმა, მაგრამ ზოგიერთ რაიონებს ჯერაც არა აქვთ მიღებული კუთვნილი სათესლე მასალა.

თესლის მიწოდება ადგილებისათვის დავალებული აქვს „სოფლის კავშირს", რომელსაც გეგმა დღემდე არ შეუსრულებია მთლიანად.

ასე, მაგალითად, ქუთაისის, ზესტაფონის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის რაიონებს ჯერ არ აქვთ მიღებული მათთვის გადადებული სათესლე მასალა.

კახეთის ოლქში დაიწყო თესვა

თესვის ჩამტარებელ ცენტრ. კომისიაში მიღებული ცნობებით, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთის ოლქში, თესვა უკვე დაიწყო.

მთელ აღმოსავლეთ საქართველოში თესვის კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ — გლეხთა აქტივი, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები და სხვ.

მავნებლებთან საბრძოლველად

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს შორის გასანაწილებლად თესვის ჩამტარებელმა ცენტრ. კომისიამ შეიძინა და ადგილობრივ გადაგზავნა 50 ტონა შაბიამანი და 3 ნახევარი ტონა ფორმალინი. ეს წამლეულობა მოხმარდება თესლის გაწმენდას, ბელლის და მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. წამლობის ჩასატარებლად აღმ. საქართველოს რაიონებში დაგზავნილია—100 ტეხნიკოსი და ინსტრუქტორი.

99.500 მანეთი თესვისათვის

შემოდგომის თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით რესპუბლიკანურმა კომისიამ სათანადო ორგანოებიდან დამატებით გამოითხოვა — 99.500 მანეთი.

ტრაქტორების მაქსიმალურად გამოსაყენებლად

რომ ტრაქტორები მაქსიმალურად იქნენ გამოყენებული, ადგილებზე გაგზავნილია ინსტრუქტორები, რომელთა ხელმძღვანელობით ყოველ თვითეულ ტრაქტორისათვის გამომუშავებული იქნება ცალკე საწარმოო პროგრამა და მოეწყობა სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებზე მომუშავეთა შორის.

თესვის კამპანია გორის ოლქში

რამდენიმე დღის წინად შემოდგომის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით გორის ოლქის თესვის ჩამტარებელ კომისიამ მოიწვია გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრენ საკრედიტო ამხანაგობების თავმჯდომარეები, აგრონომები, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის რწმუნებული და სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირზე მოსმენილი იქნა სასოფლო საბჭოების და ადგილობრივ თესვის ჩამტარებელ კომისიების თავმჯდომარეთა მოხსენებები ადგილებზე თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

კავთისხევი

თესვის გეგმა სოფლის საბჭოს მიერ დამტკიცებულია. სათესლე მასალა ურიგდება კოლმეურნეობებს და ღარიბებს გლეხებს. განზრახულია დაითესოს 1800 ჰექტარი, აქედან უკვე მოხნულია 1300 ჰექტარი. რაიონში არჩეულია 21 აგრორწმუნებული. მთიან ადგილებში ეხლა სწარმოებს რწმუნებულების არჩევა. ტრიერების გამოსაყენებლად შედგენილია კალენდარული გეგმა და ისინი სავსებით დატვირთულნი არიან. კონტრაქტაცია კოლექტივებში ჩატარებულია 100 პროც., ის ადგილები რომლებიც აქამდე ყამირად იყო დარჩენილი და მათი მფლობელნი ქალაქებში ცხოვრობენ, დასამუშავებლად გადაეცა ჯგუფურ გაერთიანებებს. ხელშეუხებელ სათესლე ფონდის შესაქმნელად გამოყოფილია რამდენიმე ნაკვეთი მიწა. თესვის კამპანიას თავის ძალს აჩენს ის გარემოება, რომ კავთისხევს დღემდე არ ყავს აგრონომი. ღარიბებს გლეხების ნახევარზე მეტს მუშა-საქონელი არ ყავს, ვისაც ყავს, მათი საქონელიც დაავადებულია თურქულით. თესლის მოწამვლა დაწყებულია. საჭიროა კიდევ ერთი ტეხნიკი, რომ რაც შეიძლება მეტი თესლი იქნეს მოწამლული.

სურამი

დასათეს ფართობის 70 პროცენტი უკვე მოხნულია. არჩეულია 12 აგრორწმუნებული. საწარმოო თათბირი მოწვეული იყო სამჯერ. თათბირზე განხილული და დამუშავებული იქნა თესვის გეგმები. სურამის ახლო მდებარე მიწები, რომელნიც დღემდე დაუთესავი რჩებოდა, აღრიცხულია და ისინი დასამუშავებლად გადაეცემა ღარიბებს გლეხებს. თესლის მოწამვლა სუსტად სწარმოებს. კონტრაქტაცია ჩატარებულია გადაჭარბებით. დაარსებულია რამდენიმე წითელი ბეღელი. სათესლე ფონდის შესაქმნელად გამოყოფილია ცალკე დასათესი ადგილები.

ხოვლე

გეგმით განზრახულ დასათეს ფართობის ნახევარზე მეტი უკვე დახნულია. გასულ წელთან შედარებით ნათესების ფართობი გაფართოებული იქნება 6 პროცენტით. სწარმოებს ყანებში პრიმიტიულ სასუქების გატანა. საკმაო მანქანები რომ იყოს, ყველა მწკრივად დათესავდა ყანებს, რადგან გლეხები გრძნობენ მწკრივად ნათესის უპირატესობას. ფორმალინი ცოტაა. აგრონომი ვერ სწვდება რაიონს და ამიტომ აგრონომიული მუშაობა მოისუსტებს. 300 კომლს მუშა-საქონელი არ ყავს. დიდი მოთხოვნილებაა საკვებ ბალახების თესლზე.

წითელი ქალაქი

საწარმოო თათბირი მოწვეული იყო სამჯერ, მაგრამ ერთხელ შესდგა მხოლოდ. რაიონში მოწყობილია მოძრავი ტრიერები. კონტრაქტაცია ტარდება მხოლოდ კოლექტივებში.

შინდისი

კოლმეურნეობათა ცენტრი ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებს. თბილისში ჩასულებს მარტო დაპირებებით ისტუმრებენ. თესვა რამდენიმე სოფელში უკვე დამთავრებულია, თესლის მოსაწამლავად კი ინსტრუქტორები ეხლა იგზავნებიან.

გორი

აგრომინიმუმი სათანადოთ ვერ ტარდება. სოფ. რეხაში 3 წლის წინად დაგროვილი ნაკელი დღესაც არაა გატანილი ყანებში. დიდი მოთხოვნილებაა ტრიერებზე და სარკვევ მანქანებზე.

ქარელი

მანქანა იარაღები რაციონალურად ვერაა გამოყენებული. ქარელის საკრედიტო ამხ. ბას დღესაც შეუკეთებელი აქვს 3 ტრაქტორი. წითელი ბეღლები მოწყობილი არაა.

ტყვიავი

ზოგიერთ სოფლებში მუშაობა უგეგმოთ სწარმოებს. თესვასთან დაკავშირებით მოწვეულ თათბირებზე მხოლოდ მოხსენებებს ისმენენ და არ იმუშავებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს მუშაობის გასაცხოველებლად.

მეჯვრისხევი

შეკეთებელი სახელოსნოს მუშაობა ძალიან მოისუსტებს. საჭიროა იარაღების შეკეთება ჩქარა სწარმოებდეს. რაიონში იგზავნება ადგილობრივ პირობებთან შეუფერებელი მანქანები, ტრიერების მუშაობას აფერხებს ღვედების უქონლობა. აგრომინიმუმის გასატარებლად არავითარ ზომებს არ იღებენ.

ადგილებიდან მოხსენების მოსმენის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა მიწადმოქმედების კომისარიატის რწმუნებული აგრონომი **რ. ნიჟარაძე.** ის ვრცლად შეეხო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ გორის ოლქი წარმოადგენს ხორბლეულის მეურნეობის ძირითად კუთხეს, სადაც თესვის საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

მოხსენებით გამოირკვა, რომ რაიონების დათვალიერების დროს აღმოჩენილი იქნა მრავალი დეფექტები. ასე მაგალითად: სურამში, ხაშურში, გომსა, კავთისხევსა და გოგჯაურთისა, ქარელსა, ძეგვსა და დირშში ტრიერების დიდი უმრავლესობა შეუკეთებელია და საწყობებში ყრია უქმად.

ადგილი აქვს შემდეგ დაუდევრობასაც: ბორჯომის საბჭოს კუთვნილი ტრიერი 6 თვეა გდია გორის საწყობში და დღესაც არაა შეკეთებული. რაიონებში მანქანებს ხერხიანად არ უვლიან, რის გამო მანქანები ხშირად ფუჭდება და ნადგურდება. მეჯვრისხევში საუკეთესო სალეწი, სამკელი და მკონავი მანქანები, რომელნიც რამდენიმე ათასი მანეთი ღირს, გარეთ ყრია და წვიმაში ფუჭდება.

თესვის კამპანიას ადგილებზე არა აქვს გეგმიანი ხასიათი და განზრახული ღონისძიებები არ ტარდება თავის დროზე. ადგილობრივი დამთესი კომისიები სუსტად მუშაობენ. შემდეგ მომხსენებელმა თათბირს განუმარტა და გააცნო ის ღონისძიებები რომლებიც საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა გორის ოლქის დამთეს კომისიის თავმჯდომარე ამხ. ცხოვრებაშვილი, რომელმაც თათბირს მოუწოდა ენერგიული მუშაობისაკენ თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

თესვას სანიმუშოდ ჩავატარებთ

(წერილი კახეთიდან)

წელს პურის კარგმა მოსავალმა კახეთში და კერძოდ ქიზიყში გლეხობა გამოიყვანა უნუგეშო მდგომარეობიდან. ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო კლიმატიურმა პირობებმა და აგრეთვე მაზრის ხელისუფლების მიერ საამისო მზადების ამომწურავად ჩატარებამ. ქიზიყის გლეხობას ღრმად სწამს, რომ მიმდინარე შემოდგომის თესვის კამპანია გამოიღებს წარსულთან შედარებით უკეთეს ნაყოფს და ამით წახალისებული აღტაცებით ეგებება შემოდგომის თესვას. კახეთის თესვის საოლქო კომისია—წელს ითვალისწინებს შემოდგომის ხნულის გაფართოებას 15 პროცენტით და მოსავლიანობის გადიდებას 9 პროცენტით. წნორის წყალის (ქიზიყი) გლეხობამ დაადგინა თესვის საოლქო კომისიის ნორმას გადააჭარბოს და ნათესი სივრცე გააფართოოს 25 პროცენტით და მოსავლიანობა კი გაადიდოს 11 პროცენტით. წნორის წყალის სათემო თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიის გეგმის მიხედვით 15 აგვისტოდან მოეწყო ოთხი მოძრავი ტრიერი სათესლე ხორბლის გასარკვევად. ტრიერებზე მუშაობენ ფასიანი მომუშავენი, აგრეთვე მიმაგრებული არიან კომკავშირელები და გლეხთა ახალგ. სკოლის მოწაფეები ფართე ახსნა-განმარტების ჩასატარებლად. იყო შემთხვევა, რომ ტრიერს მოსახლეობა გაურბოდა. მაგ. სოფ. ჯუგაანში ნარინდიანთ უბანში გლეხებმა განაცხადეს: „თქვენ ტრიერს იმიტომ გვითმობთ უფასოთ, რომ ამით გინდათ გაიგოთ ჩვენი პურის რაოდენობა და შემდეგ შეგვაწეროთ"-ო. ცხადია, რომ ამას სარჩულად კულაკების გამხრწნელი აგიტაცია ედო. ეს აზრი მალე იქნა გაფანტული. ეხლა გლეხებს სწამთ, რომ ხელისუფლება მისთვის ზრუნავს და მის ინტერესს იცავს. კულაკებმა ამ შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწიეს. დღემდე დახარისხებულია თემში მთელი სათესი მასალის 15 პროცენტი.

გამოყოფილია აგრორწმუნებულები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კომისიები, მოეწყო თემის სამ ცენტრში აგრორწმუნებულთა გადასამზადებელი ხუთდღიური კურსები. ამ კურსებზე ჩაბმულნი არიან გარდა აგრორწმუნებულებისა კომკავშირის წევრები და სხვ. აქტიური გლეხები. მეცადინეობა სჩანს დიდ ნაყოფს გამოიღებს, გლეხობა მას დიდი ხალისით შეხვდა.

გარდა ამისა აგრო-კულტურული ღონისძიებების გატარების მიზნით, თემის საბჭოს და საზოგადო ყრილობაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება აგრომინიმუმის გატარების შესახებ. შემოდგომის თესვის სათემო კომისიის გეგმის მიხედვით წელს მთელი სათესლე მარაგის 45 პროც. უნდა დახარისხდეს ტრიერებით, 35 პროც. უნდა მოიწამლოს ფორმალინით და შაბიამნის ხსნარით, 7 პროცენტი დაითესოს მწკრივად. გარდა ამისა, თემში არსებული 9 კოლმეურნეობაში 100 პროცენტით გატარებული იქნება აგრომინიმუმები.

სათესლე ხორბლის მოწამვლა უკვე დაიწყო უბნებში. წნორის სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხ-სთან მოეწყო იარაღ-მანქანების გასაქირავებელი პუნქტი. პუნქტი უმნიშვნელო ფასებში გასცემს გუთნებს, მწკრივად მთესველებს, კბილებიან და თეფშებიან ფარცხს, ტრიერებს და სხვა საჭირო იარაღებს.

გარდა ამისა, შემოდგომის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით გლეხკომის ინიციატივით ჩამოყალიბდა 45 ღარიბი გლეხისაგან შემდგარი მიწის კოლექტიურად დამუშავებული ამხანაგობა. არსებულ კოლექტივების გამსხვილების მიზნით მოხდა 4 კოლმეურნეობის გაერთიანება ორ მსხვილ კოლექტივში. დანარჩენები გაიზარდნენ 15—20-დან 40—65 წევრამდე, მასიური ლტოლვაა აგრეთვე ჯგუფურ შენაერთების ჩამოყალიბებისაკენ. ამ მოძრაობას აბრკოლებს საკმაოდ გრძელვადიანი კრედიტის უქონლობა, სულ განაწილებული იქნა ჯგუფური განაერთების და ღარიბთა არტელებისათვის 3.500 მან. გრძელვადიანი სესხი მუშა საქონლის შესაძენად.

თემის საკრედიტო ამხანაგობის ხაზით მომარაგებულია 5.000 ფუთი სათესლე მასალა, რის გაცემა უკვე დაიწყო.

შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმას წნორის სათემო კომისია ბრწყინვალედ შეასრულებს. ამას დღემდე კლიმატიური პირობებიც ხელს უწყობს. ხელშემშლელი პირობა ამ საქმეში მხოლოდ ის არის, რომ თემში არსებულ სათეს სივრცეს ვერ გასწვდებიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებანი, ამიტომ საჭიროა დროზე აღრიცხული იქნეს კულაკების საწარმოო საშუალებანი და თუ ისინი ხმარებაში არ იქნებიან შემოდგომის ხვნის პერიოდში, იძულებითი წესით უნდა გამოვიყენოთ ღარიბთა მეურნეობაში. ეს ღონისძიება კიდევ უფრო უზრუნველყოფს შემოდგომის თესვის, ამ დიდ და მეტად სერიოზულ გეგმის უნაკლოდ შესრულებას.

[illegible]

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

კულაშის „რაინდები"

სამტრედიის რაიონის კულაშის თემის მოსახლეობა სამი წელია იბრძოდა საკითხის მოსაგვარებლათ ძველ ადგილზე დაეტოვებიათ ბაზარი, თუ ახალზე გადაეტანათ.

ორი ორიენტაცია იყო და ორი ჯგუფი: ერთი ძველ ადგილს ჩემულობდა, მეორე ახალ ადგილს სოფლის ბოლოში. გადაწყდა, რომ ბაზარი ახალ ადგილას გადაეტანათ, მაგრამ გადატანილ ბაზარს ძველი ბაზრის მომხრეთაგან არავინ გაყოლია. ამიტომ მოხდა ისე, რომ ამ ხალხს ძალით მიერეკებოდნენ ახალ ბაზრისაკენ. სანამ ასე გრძელდებოდა დავა ძველსა და ახალს შორის, ამასობაში არ ეძინა კულაშის მილიციასაც.

გახშირდა შემთხვევები ძალადობისა. მოსახლეობას ძალით ერეკებოდენ ახალი ბაზრისაკენ, ხშირად აპატიმრებდენ კიდეც. ბოლოს დაპატიმრებითაც არ დაკმაყოფილდნენ და „საბაზრო დავა" საბაზრო ვაჭრობათ გახადეს, დაიწყეს ქრთამის მოთხოვნა და აღებაც კი. მაგალითად: მილიციონერმა **ნოე კვანტალიანმა** დააპატიმრა ვინმე დავით **ბოთერაშვილი,** ხოლო დაპატიმრებულის მამას **აბრამს** თავისი ამხანაგი მილიციონერი **თენგიზ შენგელია** მიუგზავნა მოციქულათ, რომ შენ შვილს ისე არ გავანთავისუფლებთ, თუ 50 მანეთი არ გადაიხადეო. დიდი ვაჭრობის შემდეგ 10 მანეთად მორიგდნენ და ეს თანხა მიიღეს კვანტალიან-შენგელიამ ქრთამათ ბოთერაშვილისაგან.

„ძველები" არ სცხრებიან, მაგრამ არ სცხრება კულაშის თემაღმასკომის თავმჯდომარე (ჭიჭიკო) **ისიდორე ხურცილავაც.** რაც არ უნდა დაჯდეს, ის მოითხოვს ბაზრის ახალ ადგილზე გადატანას. ხურცილავა სახუმარო კაცი არაა: მისი სურვილი თემისთვის კანონი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დარბევა, ცემა-ტყეპა, დაპატიმრება, დამუქრება და ვინ იცის კიდევ რა. ძველი ბაზრის მომხრეებმა სამართალს ქუთაისსა და თბილისში დაუწყეს ძებნა: აირჩიეს დელეგაცია და გაგზავნეს ხსენებულ ქალაქებში. ყველა ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ 24 აგვისტოს კულაშში ჩავიდა ქუთაისის საოლქო პარტკომის მდივანი ამხ. **ვ. დარახველიძე** და პროკურორი **ი. გვასალია.** მათ შეაგროვეს მასალები, დაკითხეს ხალხს და აღუთქვეს: 28 აგვისტოს დავბრუნდებით და საქმეს საბოლოოთ მოვაგვარებთო.

ამ დროისათვის დანიშნულ ადგილას ძველი ბაზრის ყველა მომხრეებმა მოიყარეს თავი. ეს ამბავი არ იამა აღმასკომის თავმჯდომარეს ხურცილავას, მან არც აცხელა, არც აცივა, მიუხტა შეკრებილ ხალხს, დატუქსა ისინი და დააპატიმრა ივანე და ერისტო **შენგელიები,** რომელთაც მეთაურობას სწამებდა. არც შეკრებილნი შედრკენ: მთელი კრება სატუსაღოსთან გამოცხადდა და მოითხოვა ხურცილავასაგან—ან ყველანი დაეპატიმრებია ან შენგელიებიც გაენთავისუფლებია, როგორც უდანაშაულონი. ამის ვამო ხურცილავა სამტრედიის რაიკომს მიპართავს:

„არალეგალური კრება მომიწყვეს და ეხლა დაპატიმრებულ მეთაურთა განთავისუფლებას მოითხოვენო".

სამტრედიის რაიკომი მიხვდა, რომ შუადღისას, შუა ბაზარში ასე მასიურათ არალეგალურ კრებებს არავინ აწყობს და ამიტომ გაანთავისუფლებია დაპატიმრებული შენგელიები, მაგრამ ვაი, ასეთ განთავისუფლებას! ივანე და ერისტო შენგელიებს „თავმოყვარეობაშელახულმა" ხურცილავამ იქავე უთხრა:—**„მიდიხართ, მაგრამ სად წამიხვალთ, მიწასთან გაგასწორებთო".**

ეს იყო 28 აგვისტოს შუადღისას. ხოლო საღამოთი ერასტი შენგელია სტუმრებს გაჰყვა მეზობლათ. ღამით დაბრუნდა შინ შელვინიანებული. გზაზე მას „პრალიოტკამ" ამოუარა, რომელშიაც ისხდნენ ხურცილავა და ორი შეიარაღებული პირი — გიგაური და ნინოშვილი. „პრალიოტკა" დაუპირდაპირდა თუ არა შენგელიას, გაჩერდა, გადმოხტა ხურცილავა, მიუახლოვდა შენგელიას და დაახალა რევოლვერი. დაჭრილი შენგელია გამოედევნა ხურცილავას, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა და „პრალიოტკის" ცხენის მოსართავს ჩასჭიდა ხელი თავის შესამაგრებლად. ამ დროს „პრალიოტკიდან" გადმოიხედა გიგაურმა და დაჭრილ შენგელიას კიდევ მიაყოლა რამდენიმე ტყვია. ერისტო შენგელია იქვე დაეცა უსულოთ.

მკვლელები არ დაბნეულან, მოკლულ შენგელიას ჯიბიდან ამოართვეს დატენული დანა, იქვე დააგდეს და მოსულ ხალხს განუცხადეს: „ასე ტყუილ-უბრალოთ შემოგვაკლა თავი ამ უბედურმაო".

მკვლელებმა საქმე მალეს, მაგრამ საქმემ თავი არ დაიმალა, პირიქით, მან ახადა ფარდა ყველა იმ უმსგავსოებებს, რომელიც სისტემატიურად ხდებოდა ამ რაიონში. ხურცილავას ყავდა მთელი „შაიკა", რომელიც ტერორქვეშ აყენებდა ყველას.

მიმდინარე წლის ივნისში ღარიბ გლეხს კ. შენგელიას მოპარეს 26 ქათამი. ბოროტმოქმედი ბაზარშივე დაიჭირა ყარაულმა, რომელმაც ქურდი ქათმებით მიუყვანა აღმასკომის თავმჯდომარეს. ქურდმა იმ ღამესვე მოახერხა „გაქცევა", ხოლო 26 ქათმიდან აღმასკომის თავ-რე ხურცილავამ ნაწილი დაუკვლევინა და ქეიფი გადაიხადა, ნაწილიც ფულად აქცია, გაჰყიდვინა. ქათმის პატრონ გლეხმა შენგელიამ გაიგო ეს და მიმართა აღმასკომის თავმჯდომარეს, მაგრამ ხურცილავამ ჯერ სიცილი დაიწყო, მერე განრისხდა, ხოლო შემდეგ 6 მანეთი გადაუგდო გლეხს და გაისტუმრა.

ხურცილავასი და კომპანიის პრაქტიკიდან გზა და გზა პირდაპირ იშვიათ კურიოზებს ხვდებით. მარტო კულაშიდან ცაკის წევრის გაგზავნის ისტორია რათა ღირს? საქართველოს საბჭოების მეხუთე ყრილობაზე დელეგატათ არჩეული იყო **რაფაელ შალელაშვილი,** პროფესიით ქვის მტეხელი მუშა. ამას ადასტურებს უჯრედის ოქმიც, მაგრამ ხურცილავას არ მოსწონს მუშა შალელაშვილი, ვაი თუ ცენტრში თქვას რამე ხურცილავას „კაიკაცობაზე", ამიტომ სარგებლობს იმ შემთხვევით, რომ **შალელაშვილის** გვარი ძალიან ჩამოგავს შამელაშვილისას და რაფაელ შალელაშვილის ნაცვლად საქართველოს საბჭოების მეხუთე ყრილობაზე გზავნის **ბინო შამელაშვილს** ყოფილ ვაჭარსა და სპეკულიანტს, რომელიც თბილისიდან უკვე ცაკის მანდატით და „ზნაჩოკით" ბრუნდება კულაშში. ეს კულაშელი „აშორდიაც" დიდი მოხერხებით სარგებლობს ყალბი მანდატით, თავისი ძმა კაცის ხურცილავას მეოხებით, იგი სათავეში უდგება კოლექტივს, რომელშიც ღარიბი ებრაელების ნაცვლად კოლექტივში თავს უყრის თავისივე მსგავს ვაჭრებსა და სპეკულიანტებს.

ხურცილავას უჯრედი და კომკავშირიც ისევე ჰყავდა დაშინებული, როგორც ღარიბი მოსახლეობა.—„ნეტა სად არის ერთი მაგარი კორესპონდენტი"—გაიძახოდნენ კომკავშირელები, ხოლო უჯრედის მდივან ახობაძის შიში თუ სანამდე მიდიოდა, ამას თუნდა ის გარემოებაც მოწმობს, რომ პარტწმენდის დროს პარტკანდიდატ ხურცილავას დახასიათების მიცემაც ვერ გაუბედეს და ეს მაშინ, როცა ამ ყმაწვილს გამწმენდი კომისიის მასალების მიხედვით ალექსანდროვის ბანდაში ბოლშევიკთა მიტინგის დახვრეტაში აქტიური მონაწილეობის ბრალდება ჰქონდა წაყენებული, როგორც ყოფილ გვარდიელსა და ბანდიტს.

კულაშში შექმნილ უმსგავსო მოვლენათა შესახებ ზოგი რამ ცნობები „კომუნისტი"-ს ფურცლებზეც იყო მოთავსებული. ხურცილავას „რაინდობა" ნაწილობრივ კიდეც იყო აღნიშნული.

ქუთაისის საოლქო პარტიული კომიტეტი და ცენტრ. საკონტრ. კომისია ენერგიულად შეუდგნენ საქმის გამოკვლევას. ეჭვი არ არის, რომ კულაშში ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრი სხვა რამეც აღმოჩნდება. მაგრამ საკითხავია, სად იყვნენ დღემდე ადგილობრივი კომუნისტები, სად იყო რაიონის კომიტეტი, სად იყო სოფლის მოწინავე ელემენტები. კულაში ხომ არც ისე მიყრუებული, „უძაღლო" კუთხეა. როგორ მოხდა, რომ ხურცილავას და მისი ამქრების ბნელი საქმეები დღემდე გამოუმჟღავნებელი იყო? კულაშის სამწუხარო ისტორიაში მარტო ხურცილავა არ აგებს პასუხს. მასთან ერთად პასუხი უნდა აგონ იმ რაიონულ ორგანოებმაც, რომელნიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ კულაშის თემს, დანაშაული უნდა გაიზიარონ მათაც, ვის თვალწინაც მიმდინარეობდა ამ თემის ყოფა-ცხოვრება.

მეგრი.

რა ხდება კახეთის ტრესტში

კახეთის საოლქო აღმასკომთან არსებობს სამეურნეო საწარმოო ტრესტი. მის გამგებლობაში შედის მთელი ოლქის მრეწველობა, როგორც არის ტყის, მემინდვრეობის, ვენახების, მესაქონლეობის წარმოება და სხვა. გამონაკლისს შეადგენს რამოდენიმე საბჭოთა [illegible] და ტყის ექსპლოატაციის მცირე ნაწილი. ტრესტის საქმიანობაში სუფევს სრული ქაოსი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტრესტს თითქმის სრულიად არ მოეპოვება სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. თანამდებობები დანაწილებულია „ძმა-ბიძთა" შორის, რომელნიც კარგ განწყობილებაში არიან საქმის სათავეში მდგომ ამა თუ იმ პირთან. აიღეთ ამ ტრესტის რომელიც გნებავთ საბჭოთა მეურნეობა და დაინახავთ, რომ არც ერთს მათგანს არამც თუ სათავეში, არამედ თანამშრომლათაც კი არ ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტები. მეურნეობათა სათავეში მოქცეული არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შესაძლებელია სხვა დარგში გამოსადეგი იყვნენ, მაგრამ ნაკლები წარმოდგენა აქვთ როგორც საბჭოთა მეურნეობის დანიშნულებაზე და ამოცანებზე, ისე იმ დარგზე, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ.

ამიტომ ადგილი აქვს მრავალ უთავბოლობას. მაგალითად, კაჭრეთის მეურნეობის საჭიროებისათვის შეიძინეს გერმანული და ხევსურული ჯიშის ძროხები, რომელნიც სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდენ ადგილობრივი კლიმატიური პირობების გამო. ეს ძროხები დაუჯდათ ერთი ათად, ხოლო მოყვანისთანავე ისინი ამოხოცვის გზას დაადგნენ და ტრესტი იძულებული შეიქნა ამ ძროხების დიდი ნაწილი გაეყიდა სახორცედ გურჯაანის კოოპერატივზე და სხვებზე. ძროხების შეძენის მიზანი იყო ფერმის მოწყობა.

ამ ჟამად ფშავლის სახერხი ქარხანა, რომელმაც ფრიად საჭირო სამსახური უნდა გაუწიოს აუარებელ მოსახლეობას, უკვე დიდი ხანია რაც თითქმის სდგას — მუშაობს თვეში მხოლოდ სამ თუ ოთხ დღეს. გლეხობას, რომლისათვის ზედმიწევნით საჭიროა ტყის მასალა, უხდება მისი პრიმიტიული წესით დამზადება; ის ჩაცვენილია ხუროების ხელში, მას ხე-ტყე ძალიან ძვირად უჯდება და ამასთან იგი იძულებულია საჭირო მასალა შორი მანძილიდან მოიტანოს. პირობები კი ქარხნის მუშაობისათვის მეტად ხელსაყრელია. გარდა ამისა, დაბა ლაგოდეხშიც სახერხი ქარხანა გაჩერებულია და ისეა დანგრეული, რომ მას ქარხნის ნასახიც კი აღარ ეტყობა.

ტრესტის მიერ დადებულია აუარებელი ხელშეკრულებები სხვადასხვა **დაწესებულებებთან შეშის, თივის,** მორის, ღვინის ჩაბარებაზე. გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი ამ ხელშეკრულებებს 50 პროცენტითაც ვერ შესრულებს. ამის მაგალითები მრავალი იყო და არის.

ჭიპრის საბჭოთა მეურნეობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა ტრანსპორტობის გამო. წარსულ შემოდგომაზე შეიძინეს მუშა საქონელი. ახლა, ზაფხულზე, როდესაც საქონლის შენახვა ადვილია, თითქმის მთელი საქონელი 100 პროცენტით შრომის უნარ მოკლებულია; მოუვლელობის გამო ზოგს კისერი გაუფუჭდა, ზოგს ფეხი მოსტყდა და ზოგიც სხვა ავადმყოფობითაა დაავადებული.

საბჭოთა მეურნეობები ძალიან სუსტად არიან გლეხობასთან დაკავშირებული, მაშინ, როცა მათ კულტურა უნდა შეიტანონ სოფლის მეურნეობაში.

სახერხი ქარხნები, როგორც ვსთქვით, სულს ღაფავენ. ნედლი მასალა არ აქვთ, გამსაღებელი და მიმწოდებელი პუნქტები არ გააჩნიათ, ხოლო თუ ასეთები არსებობენ სადმე, იქ თითქმის არაფერი არ მოიპოვება. ხარჯები კი ამ სახერხ ქარხნებს დიდ ძალი აწევს, როგორც ჭიპრისას, ისე ფშავლისას. მუშები მოკლებულნი არიან საშუალებას არამც თუ შეიტანონ რამე გაუმჯობესება ამ ქარხნების მდგომარეობაში, არამედ აანაზღაურონ მიღებული ხელფასი.

ტრესტს განზრახული ჰქონდა როგორც არსებული პირობების გაუმჯობესება, ისე მრავალი ახალი წამოწყების შექმნა, როგორც არის, მაგალითად, ფშავლის სახერხი ქარხნის სათანადოდ გადაკეთება, აქვე წისქვილის აგება, ჭიაურში ზეთსახდელ ქარხნის აგება, ლაგოდეხის სახერხი ქარხნის აღდგენა, შირაქის მეურნეობაში მემინდვრეობის გაფართოება, ბადიაურის წისქვილის ამუშავება, მაგრამ ნამდვილად ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ. ფინანსიური დარგის სათავეში მდგომ პირის მეოხებით ანგარიშის წარმოების და თანხების სწორი განაწილებაზე ლაპარაკი ზედმეტია. წლობით არის გაუნაღდებელი თანხები, ახალი ავანსების გაცემა ხდება იმის მიუხედავად, წაღებული ავანსი დაფარულია თუ არა. პროდუქციის რაოდენობის გამორკვევას სჯობია ნუ შეუდგებით, ვინაიდან მოგვიხდება ხელახალი დავთრების გახსნა. შირაქის მეურნეობასთან არსებობს ცხენთსაშენი, რომელიც ყოველ წლიურად იძლევა დიდ დეფიციტს და ამასთან სრულიად არ ასრულებს თავის დანიშნულებას, როგორც არის გლეხობაში აჯილღების გაყვანა და ამ საშუალებით მათი ცხენის ჯიშის გაუმჯობესება.

საწარმოო კომისიები თითქმის არც ერთ მეურნეობასთან არ არსებობენ, და თუ არსებობენ, მხოლოდ ქაღალდზე. მუშის ინიციატივას გასაქანი არ ეძლევა.

ადგილი ჰქონდა ასეთ მაგალითს: ტრესტის ერთი თანამშრომელი მისცეს პასუხისგებაში და ბრალდებად, სხვათა შორის, წაუყენეს: 1. კოოპერატივის შენობის აგება და სათანადო კოოპერატივთან შეთანხმებით განყოფილების გახსნა მეურნეობის საჭიროებისათვის. აქ აღსანიშნავია, რომ აქ მუშაობს 90 კაცზე მეტი, ადგილობრივ მეურნეობის ხარჯზე კვებით. 2. მეურნეობისათვის რადიოს დადგმა. 3. საყინულის გაკეთება და დაახლოებით 600 ფუთი ყინულის ჩადება (დაჯდა 140 მ.). ეს საყინულე დიდ მოგებას მისცემს აქვე კოოპერატივის არსებობის გამო. 4. სახერხ ქარხნის გარშემო ღობის შემოვლება და სხ. საჭიროა ამ საქმის გადათვალიერება და მაშინ გამოაშკარავდება ინტრიგები და ტრესტის ზოგიერთ მუშაკის უვიცობა. შესაძლებელია ამ თანამშრომელს სხვა რაიმე დანაშაული ჰქონდეს, ხოლო ზემოდ ჩამოთვლილ „ბრალდებების" წაყენება აბსურდულია, მეტი რომ არა ვსთქვათ.

საერთოდ ტრესტის საქმეები აწეწილია. იქ სრული უთავბოლობა სუფევს. მდგომარეობის გამოსარკვევად და გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ უნდა იქნას ზომები მიღებული.

იმის შესახებ, თუ რა ზომები არის საჭირო ამ დაწესებულების სწორ გზაზე დაყენებისათვის — ამაზე შემდეგ. ჩვენ შევეხებით განსაკუთრებით თუ როგორ და რა პირობებში წარმოებულ უნდა იქნეს საერთოდ და კერძოდ კახეთის სინამდვილეში ტყის მეურნეობა და მისი რაციონალური ექსპლოატაციის პირობები.

მეტყევე.

საქმის გაჭიანურების იშვიათი ნიმუში

ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითები წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ დაგვიანებით, უყურადღებოთ და ბიუროკრატიულად უდგება სახელმწიფოს ზოგიერთი აპარატი საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების, ამ შემთხვევაში საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება-განკარგულებების ცხოვრებაში გატარების საქმეს. ეს ხდება იმ დროს, როდესაც მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება მიქცეულია ბიუროკრატიზმის და ყოველივე უმსგავსოების წინააღმდეგ ბრძოლის უფრო მეტად გაძლიერებისაკენ, საბჭოთა აპარატის ყველა საფეხურის გაჯანსაღებას მასასთან დაახლოვების მიზნით.

საბჭოთა ხელისუფლების მთელი აპარატი ამჟამად ჩაბმულია ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპის გატარებისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ამ მუშაობის ნაყოფიერ შედეგებს უზრუნველყოფენ საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ გაძლიერებული ბრძოლის წარმოება იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რაც ხელს უშლის ხელისუფლების ზოგიერთ ორგანოებში საქმის ნორმალურ მსვლელობას.

ცნობილია, რომ ამჟამად მიმდინარეობს პურის დამზადების კამპანია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სათანადო ორგანო გაორკეცებულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს ამ მხრივ, ჩვენ ვხედავთ ბევრ დეფექტს, რაც დაშვებულ იქნა ამა თუ იმ ორგანოების დაუდევრობით და უყურადღებობით. აი ამის მაგალითები:

1. ა წ. 17 მაისს შავი ზღვის სანაპიროს გზას სამმართველოს უფროსი ამხ. კაციტაძე უგზავნის საქ. სახკომსაბჭოს დეპეშას—აფხაზეთისათვის გაგზავნილ პურით დატვირთულ 30 ვაგონის თავის დროზე ჩაუბარებლობის შესახებ. აღნიშნული ვაგონები, როგორც დეპეშა გადმოგვცემს, მთელი კვირაობით სდგას სად. ზუგდიდში, რითაც მოსალოდნელია დიდი ზარალი, რის გამო ამხ. კაციტაძე ითხოვდა სასწრაფოდ ზომების მიღებას. სახკომსაბჭო ამ დეპეშას უგზავნის 18 მაისს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს სასწრაფოდ ზომების მისაღებათ და საკითხის გამოსარკვევად, მიუხედავად იმისა, რომ სახკომსაბჭომ სამჯერ გაუგზავნა მუშგლეხინს წინადადება ხსენებული საკითხის დაჩქარებით მოგვარების შესახებ, მან დღესაც არ იცის რა მდგომარეობაშია ეს საკითხი, ვინაიდან მუშგლეხინი სდუმს და არავითარ პასუხს არ იძლევა.

2. 5 ივლისს საქ. სახკომსაბჭო უგზავნის საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს აფხაზეთის სახკომსაბჭოს მომართვას წინადადებით, რომ წარმოადგინოს დასკვნა 1925 წ. სტიქიურ უბედურებათა შედეგების სალიკვიდაციოდ ამ ბანკის მიერ გაღებული სესხის ჩამოწერის შესახებ. ამ უბრალო საკითხის გარშემო სახკომსაბჭოს მიერ გაგზავნილ იქნა რამდენიმე შეკითხვა, რაზედაც სას. სამეურნეო ბანკიდან დღემდე არ არის პასუხი მიღებული.

3. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს სახკომსაბჭომ დაავალა სასწრაფოდ წარმოედგინა დასკვნა სანავე კუნძების დასამზადებლად სხვადასხვა ჯიშის ხეების განსაზღვრის შესახებ. მიუხედავად რამდენიმეჯერ მოგონებისა, მიწსახკომს პასუხი ჯერ რაც არ გაუცია.

4. საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატს საქ. სახ. კომისართა საბჭომ ა. წ. 26 აპრილს დაავალა წარედგინა მისთვის დასკვნა სავეტერინარო დარგისათვის კრედიტების გაღების შესახებ, რაც დღემდე, მიუხედავად მრავალი მოგონებისა, შესრულებული არ არის.

ამავე მოექცა იგივე ფინსახკომი სახკომსაბჭოს დავალებას—აბასთუმნის სავაჭრო ტუჯების შემოსავლის 15 პროცენტით ანარიცხების ახალციხის სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტში შეტანის შესახებ, ეს საკითხი აღძრულ იქნა ა. წ. 11 აპრილს, ფინსახკომს გაეგზავნა რამდენიმე მოგონება, მაგრამ ყოველივე ამან უშედეგოთ ჩაიარა.

5. ა. კ. სახკომსაბჭოს ა. წ. 28 თებერვლის დადგენილების თანახმად, საქ. სახკომსაბჭომ ა. წ. 7 მარტს დაავალა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს სათანადო დასკვნის წარმოდგენა ახალციხე-ახალქალაქის წყალთა ოლქის მმართველობის მოქმედებაზე და შეედგინა 1928—29 წ. სამუშაო გეგმა. მას შემდეგ თითქმის 6 თვემ განვლო და, მიუხედავად არა ერთი მოგონებისა, წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოთხოვნილი მასალები დღემდე არ წარმოუდგენია.

6. საქ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 26 იანვრის დადგენილებით, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა წარმოედგინა თავისი მოსაზრებანი ა. კ. სფსრ-ში საცდელ-საბინაო მშენებლობის შესახებ. დავალების შემდეგ თითქმის ერთმა წელმა განვლო მაგრამ ს. მ. უ. ს-ის მიერ არავითარი პასუხი დღემდე წარმოდგენილი არ არის.

ყველა ეს მაგალითი, სხვათა შორის, ნათლად ამტკიცებს ჩვენი აპარატის წმენდის აუცილებლობას—მისი მოქნილობის და გაჯანსაღების მისაღწევად, რის გარეშე წარმოუდგენელია იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც აქვს პარტიას და ხელისუფლებას.

ა. ანთიძე.

კოოპერატივი საწველ ფურად გადააქციეს

(ფოთი)

ფოთის „მუშკოოპი" ამჟამად განიცდის ფინანსიურ კრიზისს. რატომ? ფოთის „მუშკოოპს" აქვს საბაზისო საწყობი და 15-ღე სავაჭრო პუნქტი. 1) ფოთის „მუშკოოპის" საბაზისო საწყობის გამგე ბუხჰალტერიის გარეშე აძლევს საქონელს სავაჭროს გამგეებს; საბაზისო საწყობის გამგე თითონ აწარმოებს „მუშკოოპი"-ს მისამართით მიღებულ ყველა საქონლის კალკულაციას.

დასაშვებია თუ არა ეს?

ვართ თუ არა დაზღვეული ბოროტმოქმედებისაგან?

2) „მუშკოოპი"-ს სავაჭროებს (გარდა 2 თუ 3 სავაჭროსა) არც ერთს არ გააჩნია ა.-წ. 1-ლ აგვისტოსათვის დავალიანების სწორი ნაშთი ბუღალტერიასთან შეფარდებული; საბაზისო საწყობისა და პურის ფქვილის საწყობის გამგეებს სრულებით არ იციან დავალიანების ნაშთი ა. წ. 1-ლ აგვისტოსათვის; ბუღალტერიასა და გამგეობას არ მოუთხოვია სწორი ანგარიში სამი თვის განმავლობაში ხორცის სავაჭროს გამგე ქორქოძელს სახელმწიფო ბანკის ფოთის განყ. მავლობაში მოასწრო 1.500 მან. გაფლანგვა.

ვისი უყურადღებობით მოხდა ეს? 3) კოოპერატივმა ააგო ფურნე ყოველგვარ გეგმის გარეშე, რაზედაც დაიხარჯა 25.000 მან., რაც ინჟინერისა თუ ტეხნიკოსის მიერ არც ერთხელ ყოფილა დათვალიერებული; ფურნე დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა სრულებით გამოუსადეგარი — (არ ხურდება).

4) ფართლის სავაჭროს გამგე **მაჩკალოვი,** რიგ გარეშე ნისიად აძლევს დეფიციტიან საქონელს სახელმწიფო ბანკის ფოთის განყ გამგეს **ა. ფრიდმანს,** რომელსაც აქვს კოოპერატივის ვალი 250 მან., „მუშკოოპს" აქვს გაცემული ნისია **20.000** მანეთამდე; მათ შორის 2.200 მანეთი საეჭვო, ე. ი. ჩამოსაწერ ვალებათ არის „მუშკოოპი"-ს გამგეობისაგან ცნობილი. მერე იცით ვინ არის ის პირები, რომლებსაც „მუშკოოპი" ვალების ჩამოწერას უპირებს?

1) **ვარლამ ნაჭყეპია,** რომელმაც ფოთის მილიციის უფროსის მოადგილედ ყოფნის დროს ფულები გაფლანგა და სამსახურიდან მოხსნეს, ეხლა კი ისევ საპასუხისმგებლო ადგილას მსახურებს; მასზე ირიცხება კოოპ. ვალი 119 მან.

2) **ათანასე მაკალათია,** სამიკიტნოს პატრონი, რომელსაც 4 კაცი ჰყავს დაქირავებული; მასზე ირიცხება კოოპ. ვალი 258 მან.

3) **კინწურეიშვილი ვანო,** სამიკიტნოს პატრონი, მუშების ყულეფით ააგო ძვირფასი სახლი; მასზე ირიცხება კოოპ. ვალი 269 მან. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; როგორც ვხედავთ, ვაჭრებსაც ზორბად უსარგებლიათ „მუშკოოპი"-დან. დანარჩენი ვალების დიდი უმრავლესობა ირიცხება პასუხისმგებელ პირებზე, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ ვალების გადახდა.

რამდენიმე წლობით დავალიანებები აქვთ შემდეგ პირებს:

1) **ი. ბალათურიას** — 6.775 მან., 2) **ვ. გოგოლაძეს,** (სასადილოს პატრონს) — 7.000 მან.,

3) **ე. ართილაყვას და გ. სვანიძეს,** რომლებმაც კოოპ. მსახურობის დროს გაფლანგეს 900 მან., გარდა ამისა მათზე ირიცხება — 302 მან.

4) **ვასილ გვასალიას** — 425 მან.,

5) **კოსტა კიკეფელიძეს** — 410 მან.,

6) **მიხა ბარამიას** — 186 მან.,

7) **სევერიან მუავანაძეს** — 163 მან.,

8) **რაჟდენ ქორჩილავას** — 117 მან.,

9) **ვასო ქადიეშვილს** — 65 მან.,

ეს მოვიყვანე სანიმუშოდ. 20.000 მან. ვალებიდან 10 პროც. თუ 15 პროც.-ზე მეტი მუშებზე არ მოდის.

გამგეობა არ ივიწყებს ქალებსაც, მაგ.: **ლიუბა მილორავას** მართებს კოოპერატივის 40 მან.-დე. რა უფლებით ეძლეოდა საქონელი ნისიად ამ ხალხს? ყველა ზემოაღნიშნული არის თუ არა გამგეობის უთაობის ნაყოფი?

გვჯერა, რომ ადგილობრივი პარტორგანოები მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას ფოთის „მუშკოოპს" და ძირფესვიანად გასწმენდენ გამგეობას, ბუღალტერიას და „მუშკოოპი"-ს კომუჯრედის შემადგენლობას უთაო ელემენტებისაგან.

კალმოსანი.

გაკოტრებულ ვაჭრების თავშესაფარი

(ზუგდიდი)

არსებობს დასავლეთ საქართველოს მესაქონლეთა კოოპერატიული ამხანაგობა ეგრედწოდებული „მეჯოგე", რომელიც შედის სოფლის კავშირის ქსელში და ემსახურება სას.-სამეურნეო კოოპერაციას. ამხანაგობა „მეჯოგე"-ს გამგეობა მუშაობს ახალ სენაკში. გამგეობის წევრად ითვლება: პ. ნადარეიშვილი, თურქია და ნიკოლოზის ოფიცერი ქ. გვაჯავა. „მეჯოგე"-ს აქვს განყოფილებები სხვა მაზრებში და მათ შორის ზუგდიდის მაზრაშიაც. „მეჯოგე"-მ გახსნა ზუგდიდში წითელი სასადილო, რომელშიაც მოაწყვეს ჩვენი შეურიგებელი მტრები: 1) სპირდონ გორგოშია—გაკოტრებული ვაჭარი საარჩევნო ხმის უფლება წართმეული, 1924 წლის ბანდიტურ გამოსვლების აქტიური მონაწილე, 2) ნიკო თოლორაია—გაკოტრებული ვაჭარი, საარჩევნო ხმის უფლება წართმეული; 3) რაჟდენ მესხია და ერასტი ადამია გაკოტრებული ვაჭრები და ხმის უფლების არამქონენი. ამ გარემოებას რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები, მაგრამ „მეჯოგე"-ს გამგეობა ყურსაც არ იბერტყავს.

სასადილოში მოკალათებულ ყოფილ ვაჭრებს თვეში ფორმალურად ეძლევა 50 მანეთი თითოს და სურსათ-სანოვაგე, ხოლო ნამდვილად თითქმის მთელი მოგება მათ ჯიბეში მიდის. ხელშეკრულების თანახმად სასადილო ვალდებულია „მეჯოგე"-ს თვეში [illegible] 150 მანეთი იჯარის სახით. ამასთანავე ყოფილი ვაჭრები სარგებლობენ ყველა შეღავათებით, როგორც კოოპერატორები. „მეჯოგე"-ს გამგეობის წევრმა ნადარეიშვილმა დაავალა სასადილოს მონაგარიშეს, რომ მან იქონიოს სალაროში ორი შემოსავალ-გასავლის საბუთი—ერთი ოფიციალური და მეორე არაოფიციალური. ერთში მონაგარიშემ უნდა გაატაროს ნამდვილი შემოსავალ-გასავლის ცნობები, მეორეში კი შემოსავლის ნახევარი. მონაგარიშეს დავალებული აქვს ოფიციალური ანგარიში უჩვენოს ფინინსპექტორს. სათანადო ორგანოებმა რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა გააძევონ კოოპერაციის სახელით მოსარგებლე კომბინატორები და სასტიკად უნდა დასაჯონ მათი მფარველ-წამხალისებელნი.

ზუგდიდელი მეხი.

გამოძახილი წერილებზე

ბრალდებები არ დადასტურდა

„კომუნისტი"-ს 15 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით „უხეში ადმინისტრატორი". კორესპონდენცია შეეხებოდა საქ. ადგილობრივ ტრანსპორტის უფროსს ამხ. **მაღრაძეს,** რომელსაც ავტორი უყენებდა ბრალდებას ხელქვეითებისადმი უხეშად მოპყრობასა და სახაზინო ბინების უწესოდ გამოყენებაში.

როგორც გამოირკვა, კორესპონდენცია აგებულია პირად მოტივებზე და ამხ. მაღრაძეს მიმართ წაყენებული არც ერთი ზემოხსენებული ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება.

წ. კ. უცოდინარობა-სოციალისტური მშენებლობის მტერია

წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია დააჩქარებს სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესრულებას

უახლოეს წელში წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში გაივლის 14.695 კაცი

სოციალისტური შეჯიბრება წ. კ. უცოდინარობის აღმოსაფხვრელად

თბილისის პოლიტგანი სოც. შეჯიბრებაში იწვევს აჭარისტანის და ქუთაისის საოლქო პოლიტგანებს

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის აღმოფხვრის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების ცხოვრებაში საუკეთესოდ გატარების მიზნით, თბილისის პოლიტგანმა გადასწყვიტა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს აჭარისტანის რესპუბლიკის პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო და ქუთაისის საოლქო პოლიტგანი.

თბილისის პოლიტგანი თავის მხრივ მომავალ სამოსწავლო წლისათვის წ.-კ. უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში მიზნად ისახავს გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეთა სალიკვიდაციო სკოლების გახსნას წინ წაუმძღვარებს ფართე მოსამზადებელ მუშაობას; მთელი მოსამზადებელი მუშაობა თბილისის ოლქში დამთავრდება ა. წ. 10 ოქტომბრამდე.

სალიკვიდაციო სკოლების მუშაობის სათანადოთ წარმართვისათვის მოწვეული იქნება რაი-პოლიტგანის საოლქო კონფერენცია, რომელიც ყოველმხრივ განიხილავს და დაამუშავებს სალიკსკოლების მუშაობის საკითხებს.

ოლქის ხუთი თემის მოსახლეობაში სავსებით აღმოფხვრილი იქნება წერა-კითხვის უცოდინარობა.

წ.-კ. უცოდინარობის და მც. მცოდნეთა სკოლები სავსებით და დროულად იქნება უზრუნველყოფილი სასწავლო საგნებით.

მიღებული იქნება ყოველგვარი ღონისძიება სალიკვიდაციო სკოლებში (უცოდინართა და მც. მცოდნეთა) მეცადინეობაზე მსმენელთა მთელი ასი პროცენტით დასწრებისათვის.

რაიონის ფარგლებში არსებულ საბაზო სკოლებთან მოეწყობა მეთოდიური ბიურო-სალიკსკოლების ხელმძღვანელთათვის.

სპეციალურად ქალებისათვის გაიხსნება 20 სალიკვიდაციო სკოლა (ამათში თურქ და ხევსურ ქალებისათვის).

საზოგადოებრივი მუშაობის დატვირთვის წესით უნდა მოხდეს მთელი ოლქის ფარგლებში 700 კულტურული ძალის გამოყენება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმეში და უსასყიდლოთ მათ მიერ 2.500 წერა-კითხვის უცოდინართათვის წერა-კითხვის შესწავლა.

შემოღებულ და ფართედ გაშლილ იქნება წერა-კითხვის უცოდინართათვის ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლების მეთოდი.

სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმულ გლეხთა შორის წარმოებული იქნება აგრო-პროპაგანდა. ამ მიზნით სკოლებთან მოეწყობა აგრო-წრეები, ჩატარდება მოხსენება-საუბრები და სხვ.

სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმულ გლე- სალიკვიდაციო სკოლების მუშაობაში შეტანილი იქნება ანტირელიგიური მომენტები.

წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია პროფკავშირების წევრთა შორის

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით აშენებს სოციალიზმს. ამ საქმეში მუშათა კლასი ღარიბ გლეხობას ემყარება და მჭიდრო კავშირი აქვს საშუალო გლეხობასთან. უკვე გვაქვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმით დასახულ უდიდეს ამოცანების განხორციელებას მეტის - მეტად აძნელებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული ჩამორჩენილობა, კერძოდ წერა - კითხვის მცოდნეობის დაბალი დონე.

წერა - კითხვის უცოდინარობა მუშათა კლასში, მეტადრე მუშათა კლასის ახალ ფენებში, ძლიერ აფერხებს ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებით განხორციელებას. წერა-კითხვის უცოდინარობა მოჯამაგირეებში, ღარიბ გლეხებში, კოლექტიურ მეურნეობათა მუშებში ასუსტებს მათ ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ და აფერხებს მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა შექმნის ამოცანის განხორციელებას.

თვითონ მასებმა კულტურული ლაშქრობა გამოაცხადეს წერა - კითხვის უცოდინარობის მოსასპობად, თავისი კულტურული დონის ასამაღლებლად.

მასების ასეთი აქტივობა იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ კულტურულად გათვითცნობიერდენ უპირველესად ყოვლისა, მშრომელნი, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ. მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ წელიწადში შევასწავლოთ წერა - კითხვა ყველა ინდუსტრიალურ მუშებს, ხოლო ორ წელიწადში — საბჭოთა მეურნეობის მუშებს და აგრეთვე სეზონურ მუშებს, რომლებმაც წერა - კითხვა არ იციან.

საქ. პროფკავშირების საბჭომ და საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა ურთიერთ შორის დასდეს ხელშეკრულება, რომლის ძალით კისრულობენ ვალდებულებას მიიღონ ზომები ამ უდიდესი ამოცანის განსახორციელებლად, რისთვისაც უნდა გაიხსნას წერა - კითხვის შესასწავლი სკოლების საკმაო რიცხვი და ერთწლედი პირველდაწყებითი სკოლები უფროსი ასაკის მუშებისთვის (ყოფ. მცირემცოდნეთა სკოლები) და მოეწყოს მუშების სათანადო საზოგადოებრივ — პოლიტიკური აღზრდა.

პროფსაბჭო და განსახკომი აუცილებელ საჭიროდ სცნობენ წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის გეგმიანად დაყენებას ერთი მთლიანი გეგმის მიხედვით, ძალებისა და სახსრების გაერთიანებას და ყველა იმ ორგანიზაციების თვითმოქმედების გაღრმავებას, რომლებიც წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში მონაწილეობას იღებენ. პროფსაბჭო და განსახკომი ვალდებულებას კისრულობენ მიიღონ საჭირო ზომები, რომ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე პროფკავშირებმა და განათლების განყოფილებებმა შეთანხმებულად და საერთო ძალებით აწარმოონ ეს მუშაობა. ამ მიზნით ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებს ევალება დასდვან განათლების განყოფილებასთან სათანადო ხელშეკრულება წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში საერთო მუშაობის თაობაზე.

პროფკავშირებმა კონტროლი უნდა გაუწიონ სკოლების თავის დროზე და საკმაო რაოდენობით გახსნის საქმეს, წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ გადადებული სახსრების პირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვას და მათი უფრო მიზანშეწონილი გამოყენებას.

პროფკავშირები, ადგილობრივად დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით, ვალდებულებას კისრულობენ მისცენ სახალხო განათლების ორგანოებს სახსრები, რაც საჭიროა წერა - კითხვის უცოდინარობის სრულიად მოსასპობად ერთი წლის განმავლობაში შემდეგი პროფკავშირების წევრთა შორის: ხის დამმუშავებელთა, მეტყაველთა, მელითონეთა, მბეჭდავთა, ქიმიკოსთა, მკერავთა ადგ. ტრანსპორტზე მომუშავეთა, კავშირგაბმულობის, ხელოვნების, მედსანშრომის, განათლების მუშაკთა, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების, ფეიქართა, სამთომადნო, სურსათ - გემოვნების, კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა შორის, და აგრეთვე წერა - კითხვის უცოდინარობის 50 პროცენტით მოსასპობად შემდეგი კავშირების წევრთა შორის: აღმშენებელთა, სახალხო კვების და სას.-სამეურნეო და ტყის მუშების.

კავშირების წევრთა შორის წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საჭიროებისათვის პროფკავშირებმა უნდა გაიღონ საერთოდ საქართველოში 200.000 მან. ამ თანხაში შედის აგრეთვე ხარჯები კავშირების მცირემცოდნე წევრთა სწავლებაზედაც.

განათლების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები კისრულობენ ვალდებულებას შეასწავლონ პროფკავშირების ყველა წევრებს წერა - კითხვა ამ ხელშეკრულებაში დათქმულ ვადებში, მათ შორის: ერთი წლის ვადაში — ყველა ინდუსტრიალურ მუშებს, საბჭოთა მეურნეობის მუშების და მოჯამაგირეების 50 პროცენტს და სახალხო კვების დარგის მუშების 40 პროცენტს, რისთვისაც დამატებით გადადებული უნდა იქნეს ამ საქმისთვის საჭირო სახსრები.

საქ. პროფსაბჭო და განსახკომი კისრულობენ ვალდებულებას შეამოწმონ თავისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და დაავალონ ამ ორგანოებს შეასრულონ მათ წინ მდგარი შემდეგი ამოცანები:

სახალხო განათლების ორგანოები პასუხისმგებელი და ვალდებული არიან: ა) შეარჩიონ კარგად მომზადებული მასწავლებლები; ბ) უზრუნველყონ სკოლები და მოსწავლეთა ჯგუფები სასწავლო სახელმძღვანელოებით და საგნებით; გ) გაუწიონ — მასწავლებლებს სათანადო ინსტრუქცია, რომ აუცილებლად შემოიღონ სკოლის დავთრებში მოსწავლეთა ჩაწერა და მიაწოდონ ფაბქარხკომებს ინფორმაცია სკოლების მუშაობის მდგომარეობაზე; დ) შესაფერისად დააყენონ სამოსწავლო მუშაობა, უზრუნველყონ სასწავლო პროგრამების წარმატებით შესრულება და მიიღონ ზომები, რომ შემცირდეს იმ მუშების რიცხვი, რომლებიც სკოლებში სწავლებას თავს ანებებენ; ე) მოახდინონ სკოლების სწორი კლასობრივი შევსება და სწორად გაანაწილონ მოსწავლენი ცალკე ჯგუფებათ; ვ) სკოლების მუშაობა შეუფარდონ ცვლებით მუშაობას საწარმოებში, შეძლების დაგვარად დაუახლოვონ სკოლები მუშების საცხოვრებელ ადგილებს; ზ) მოსწავლეთა გამოშვების დროს მოაწყონ ფართო საზოგადოებრივი კონტროლი; თ) შესაფერი მოხსენებებით გამოვიდენ საპროფკავშირო ორგანიზაციების სხდომებზე და მუშათა კრებებზე.

თავის მხრით პროფკავშირები პასუხისმგებელი და მოვალენი არიან: ა) თავის დროზე და დაუბრკოლებლივ მისცენ სკოლებს საჭირო სახსრები; ბ) მიიღონ მონაწილეობა სკოლების შევსებაში; გ) თვალყური ადევნონ და კონტროლი გაუწიონ სკოლებში და ჯგუფებში მოსწავლეთა წესიერ სიარულს და სხვ.

—:—

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ პროფკავშირთა წევრებს შორის.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამჟამად თბილისში ითვლება 2.160 წერა-კითხვის უცოდინარი კავშირის წევრი (35 წლის ჰასაკამდე) და 3.000 მცირე მცოდნე. მაზრებში წერა-კითხვის უცოდინარია 5.200 კაცი და მცირე მცოდნე—4.335 კაცი, სულ მთელ საქართველოში წერა-კითხვა არ იცის 7.360 კავშირის წევრმა, მცირე მცოდნეა—7.335 კაცი.

შემუშავებული გეგმის თანახმად, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კავშირის წევრთა მთელ ამ რაოდენობას შორის უნდა მოხდეს უახლოესი წლის განმავლობაში.

პრეზიდიუმმა დაავალა კავშირებს მიიღონ ყოველგვარი ზომები გეგმის მთლიანად შესასრულებლად. კერძოდ, კავშირებს წინადადება მიეცათ დაჩქარებით გაიღონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხები.

დამატებითი სკოლების გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ

ამჟამად საქართველოში ითვლება80.000 წ.-კ. უცოდინარი 11—14 წლის ჰასაკის ბავში,—მათ შორის წ.-კ. უცოდინარობის მოსასპობად იხსნება 250 დამატებითი სკოლა

პირველი საფეხურის სკოლების სიმცირის გამო, ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ათასი ბავში რჩება სკოლის გარედ. ამჟამად მთელს რესპუბლიკაში ითვლება 80.000 წერა-კითხვის უცოდინარი ახალგაზრდა. ეს ახალგაზრდები უმთავრესად არიან 11—14 წლ. ჰასაკისანი და ისინი, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, უკვე ეწევიან მეურნეობას.

რომ ამ ახალგაზრდობამ შესძლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში გარკვევა და თავის შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება, საჭიროა პირველ რიგში მათში აღმოიფხვრას წერა-კითხვის უცოდინარობა, საჭიროა მათი მომზადება ახალი ცხოვრებისათვის.

ამ მიზნით განათლების კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გახსნას ორწლიანი დამატებითი სკოლების ქსელი. დამდეგ სასწავლო წლიდან 5 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში უნდა გაიხსნას 250 ასეთი სკოლა.

ამ ფრიად მნიშვნელოვან მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პედაგოგიურმა სასწავლებლებმა, პედტეხნიკუმებმა და პედგანხრიანმა ათწლედებმა.

ყოველმა მათგანმა ახალი-სასწავლო წლის დასაწყისიდანვე უნდა მოაწყოს ჰასაკგადაცილებულთათვის თითო დამატებითი სკოლა და ამ სკოლებისათვის გამოიყენონ საკუთარი შენობები, აღჭურვილობა და სასწავლო ხელსაწყოები.

დამატებით სკოლებში პედაგოგიური მუშაობა ეკისრება სათანადო სასწავლებლის უფროსი ჯგუფის მოსწავლეებს—პედაგოგიკისა და მეთოდიკის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

გარდა იმისა, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება ჰასაკგადაცილებულთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, იმავე დროს პედტეხნიკუმის და პედგანხრიან ათწლედების მოსწავლეებს საშუალებას მისცემს აწარმოონ პრაქტიკული მუშაობა და მიიღონ საჭირო გამოცდილება.

დამატებით სკოლებში შემოსული ახალგაზრდობა რომ არ მოწყდეს მეურნეობას, ამიტომ ამ სკოლებში მეცადინეობა იწარმოებს სალამოობით. მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის, დამატებითი სკოლებას ჯგუფები უნდა დაიყოს წრეებად და ჯგუფებად, რომლებზედაც მიმაგრებულნი იქნებიან პედსასწავლებლის მოსწავლე-პრაქტიკანტების კოლექტივები.

პედსასწავლებლებს ევალებათ დაჩქარებით შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას, მოსახლეობაში ჩაატარონ შესაფერი კამპანია, გამოარკვიონ თავიანთ რაიონში ჰასაკგადაცილებულთა რაოდენობა და შეადგინონ საორგანიზაციო-პედაგოგიური მუშაობის ზოგადი გეგმა.

ამ დარგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტურ შეჯიბრებას. საჭიროა პედსასწავლებლები მთელი ძალღონით შეეცადონ დამატებითი სკოლების საუკეთესოდ მოწყობას და ჰასაკგადაცილებულთა შორის წერა-კით. უცოდინარობასთან ბრძოლა წარმატებით ჩაატარონ.

ჰასაკგადაცილებულთა წერა-კითხვის შესწავლისა და ამ მიზნით დამატებითი სკოლების გახსნის საკითხების განსახილველად, განათლების კომისარიატი 20 სექტემბერს თბილისში იწვევს პედსასწავლებლების გამგეთა კონფერენციას.

გავაძლიეროთ სამზადისი მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღისათვის

14 ოქტ. გადავაქციოთ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დღესასწაულად

თბილისის მუშები მხურვალეთ გამოეხმაურენ მოსავლის დღეს—მუშებს გამოაქვთ დადგენილება იმუშაონ ზედმეტი საათები კოლექტივიზაციის ფონდის გასაძლიერებლად

მოსავლის დღე გამოვიყენოთ ღარიბი და საშუალო გლეხების ფართოდ ჩასაბმელად კოლმეურნეობებში

თბილისის მუშები ეხმარებიან სოფელს

დეპოში

გუშინ დილით შესდგა თბილისის დეპოს საორთქლმავლო და სამატარებლო გუნდების სახელდახელო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 287 კაცი. მიტინგზე მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გეპნერმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განვითარების მასიური შემოწმება, მოსავლიანობის გადიდება, ნათესების გაფართოება, მშრომელთა მასების ახალი ძალების მობილიზაცია კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გასაძლიერებლად და სხვ. მოსავლის დღის ჩატარებაში სოფლის მშრომელი მოსახლეობას ყოველ მხრივ უნდა დაეხმაროს ქალაქის პროლეტარიატი და უფრო მეტად უნდა განამტკიცოს კავშირი გლეხობასთან.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ბაბუციძემ, დოლიძემ, შევრიოვამ, ვუარაძემ, იმერლიშვილმა, პანამარიოვმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ თბილისის დეპოს მუშებმა დიდის ენტუზიაზმით ჩაატარეს ინდუსტრიალიზაციის დღე; არა ნაკლები აღფრთოვანებით ეგებებიან ისინი მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს.

—ჩვენ, დეპოს მუშებმა ერთხელ კიდევ უნდა დაუმტკიცოთ სოფლის მშრომელ გლეხობას, რომ მათთან ერთად ვართ ყოველგვარ საქმეში, რომელიც მიმართულია სოციალისტური სოფლის აშენებისაკენ, — ერთხმად აღნიშნავდნენ მუშები.

კამათის დამთავრების შემდეგ მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი:

— ვინაიდან არა გვაქვს საშუალება, რომ წარმოებაში 2 საათით ზედმეტი ვიმუშაოთ, ამისათვის კოლექტივიზაციისა და მოსავლის ფონდში შეგვაქვს საორთქლმავლო გუნდის თვითეულ წევრს 1 მან., სამატარებლო გუნდის წევრს—50 კაპ., გარდა ამისა, მოვაწყობთ ექსკურსიებს შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლებში და საკუთარი ძალებით დავეხმარებით გლეხებს მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის წარმატებით ჩატარებაში.

ვაგონების პარკში

გუშინ ნაშუადღევს შესდგა თბილისის დეპოს და სარონოდო პარკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელსაც 1000-ზე მეტი მუშა დაესწრო. მიტინგმა მოისმინა მოხსენება მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის მნიშვნელობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ ერთხმად მიღებული იქნა დადგენილება, რომ თბილისის დეპოს და სარონოდო პარკის მუშა-მოსამსახურენი 5 ოქტომბერს იმუშავებენ ზედმეტათ ორ საათს და თავის გასამრჯელოს, რაც შეადგენს 2.500 მანეთს, შეიტანენ კოლექტივიზაციის ფონდში.

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა შორის

გუშინ ნაშუადღევს ვაგონების შემკეთებელ სამქროში შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გრომოვმა.

მიტინგმა ერთხმად მიიღო დადგენილება რომ ტრამვაის მუშები ზედმეტად იმუშავებენ 2 საათს მოსავლისა და კოლექტივიზაციის ფონდის გასაძლიერებლად.

თამბაქოს ფაბრიკაში

როზა ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს 5 ოქტომბერს იმუშავონ ზედმეტად ორი საათი მოსავლისა და კოლექტივიზაციის ფონდის გასაძლიერებლად.

თბილისის დეპოს მუშები იხილავენ მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარების საკითხს.

საქ. პროფსაბჭო აწყობს ტრაქტორების კოლონას

საქართველოს პროფსაბჭოს გუშინდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების და საშეფო საზოგადოების წარმომადგენლის მოხსენება პროფკავშირების და საშეფო საზოგადოების მონაწილეობის შესახებ მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში.

5 ოქტომბრიდან 14 ოქტომბრამდე ქალაქში წარმოება-დაწესებულებებში და მუშათა კლუბებში გაიმართება მოხსენებები სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და სასოფლო-მეურნეობის უახლოესი ამოცანების შესახებ.

სოფლად, თვითეულ თემში, გაიგზავნება მუშათა ბრიგადები ხუთ-ხუთი კაცის შემადგენლობით (1 კულტმუშაკი, 2 დაზგის მუშა, 1 აგრო-მუშაკი და 1 საბეითლო დარგის მუშაკი). ბრიგადები საგიტაციო მუშაობის ჩატარების გარდა გლეხობას პრაქტიკულ დახმარებასაც აღმოუჩენენ.

კოლექტივიზაციის დღეს საშეფო საზოგადოება 114 სოფელში აპირებს სხვადასხვა კულტურულ დაწესებულების (სკოლები, სას პორტო მოედნები, რადიო და სხვ.) გახსნას.

ამავე დღეს საფუძველი ჩაეყრება ერთ დიდ სატრაქტორო კოლონას, რომელშიც შევა არა ნაკლებ 25 ტრაქტორისა. კოლონასთან მოეწყობა შემკეთებელი სახელოსნოც. რომ კოლონის მოწყობას ნამდვილი მასიური ხასიათი მიეცეს, მიღებული იქნება ყველა ზომები კავშირებში შეკავშირებულ მუშა-მოსამსახურეთა მთელი მასის ჩასაბმათ ამ საქმეში. თითეული კავშირი შეგროვილ თანხებით შეიძენს ტრაქტორს და გადასცემს „პროფკავშირთა კოლონას“. თვითეულ ტრაქტორს მიენიჭება მისი შემძენი კავშირის სახელწოდება.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა გამოცვლა. გამოითქვა აზრი, რომ ბრიგადებში გასაგზავნი მუშა-მოსამსახურენი არჩეული იქნან საერთო კრებებზე და დაბრუნების შემდეგ მათ საანგარიშო მოხსენება გააკეთონ თავისი მუშაობის შესახებ.

გარდა ამისა მიზანშეწონილად იქნას ცნობილი ერთ დღეს მოეწყოს კულტურულ ძალების მობილიზაცია და ამ ძალებით პროვინციალურ ქალაქებსა და დაბებში მოეწყოს საღამოები განსაკუთრებული პროგრამით, რომელზედაც მოწვეული უნდა იქნან გლეხები ახლობელ სოფლებიდან.

საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად პროფსაბჭომ გამოყო კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

როგორ უნდა ჩატარდეს

გლეხთა ექსკურსიები

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩამტარებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ დაადგინა 14 ოქტომბერს მოეწყოს გლეხთა ექსკურსიები სარაიონო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე დასასწრებლად და კოლექტივების, საბჭოთა მამულების და საცდელ სადგურების გასაცნობად.

ექსკურსიების შერჩევა რაიონში ხდება მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩამტარებელ სარაიონო კომისიის მიერ. სდგება ექსკურსიების სია, მუშავდება მარშრუტი და წინასწარ ეცნობება იმ რაიონის კომისიას, სადაც ექსკურსია მიდის, რათა მან მოახდინოს სათანადო განკარგულება ექსკურსანტების შესახვედრად.

იმ დაწესებულებას, რომელიც ღებულობს ექსკურსანტებს, წინასწარ უნდა ქონდეს შემუშავებული გეგმა, თუ რა უნდა გააცნოს მათ და რაზე უნდა მიაქციოს ექსკურსანტების ყურადღება.

ექსკურსიამ უნდა დაათვალიეროს კოლექტივის ბაღი, ვენახი, საღორე, საქათმე და სხვა. ექსკურსანტებს უნდა წაუკითხონ მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით მუშაობს ესა თუ ის ორგანიზაცია, რას ექცევა უმთავრესი ყურადღება და რამდენად შესაძლებელია ამ მუშაობის გამოყენება გლეხურ მეურნეობებში.

დასავლეთ საქართველოს მაზრები და ოლქები გლეხებს აგზავნიან აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ დაწესებულებების გასაცნობად და დასათვალიერებლად: წინანდლის საბჭოთა მამული, ჩუმლაყის სანერგე, ქედის კომუნა, ერთ-ერთი კოლქტივი, სამთავისის კომუნა და მერეთის მამული.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქები და მაზრები გლეხებს აგზავნიან დასავლეთ საქართველოს შემდეგ დაწესებულებებში: სუჯამეთის და საქარის სადგურები, ვარციხის მამული და ჩაქვის მამული.

ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს 200 კაცი (ასი დასავლეთ და ასი აღმოსავლეთ საქართველოდან) ექსკურსია გაგრძელდება ექვს დღეს. ექსკურსიის ხელმძღვანელად აუცილებლად აგრონომი უნდა იქნეს დანიშნული.

გარდაიცვალა პროფ. ა. რაზმაძე

გუშინ, 2 ოქტომბერს, დღის 2 საათზე თბილისში გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ანდრია მეხეილისძე რაზმაძე.

ავადმყოფობის ისტორია

პროფ. რაზმაძე გასულ ზაფხულს ისვენებდა ბორჯომში, სადაც იგი ავად გახდა მუცლის ტიფით. მისი ავადმყოფობა დღითი-დღე რთულდებოდა. 8 სექტემბერს ავადმყოფს აუტყდა ძლიერი სისხლის დენა ნაწლავებიდან. ამასთანავე ავადმყოფობას თან სდევდა პერიტონიტული მოვლენები. ავადმყოფს ექიმობდა პროფ. წინამძღვარიშვილი, რომლის განსაკუთრებული მოვლის წყალობით სისხლის დენა ნაწლავებიდან შეწყვეტილ იქნა. ავადმყოფის გასასინჯად და სამკურნალოდ თბილისიდან სხვადასხვა დროს გაგზავნილ იქნენ საექიმო კომისიები ალადაშვილის, მიქელაძის და სხვათა შემადგენლობით. ექიმთა კონსილიუმის დადგენილებით ავადმყოფი უნდა ჩამოეყვანათ თბილისში, მაგრამ ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ რამოდენიმეჯერ განახლდა სისხლის დენა ნაწლავებიდან, რომლის დროსაც ავადმყოფის მოგზაურობა ყოვლად შეუძლებელი იყო.

უკანასკნელ ხანებში სისხლის დენა შესწყდა და 1 ოქტომბერს გადასწყვიტეს ავადმყოფის თბილისში წამოყვანა. რომ მისთვის მოგზაურობა ნაკლებ საგრძნობი ყოფილიყო, ის ბორჯომიდან წამოყვანილ იქნა სპეციალურად გაგზავნილ სალონ-ვაგონით.

თბილისის სადგურზე ავადმყოფს უკვე გრძნობა დაეკარგა და მისი ვაგონიდან დაძვრა არ შეიძლებოდა. მატარებლის მოსვლიდან ერთი საათის შემდეგ პროფ. რაზმაძე გარდაიცვალა. სადგურზე თავი მოიყარეს განათლების სახ. კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა, თბილისის უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორებმა, სტუდენტებმა და განსვენებულის პატივის მცემლებმა. სადგურიდან განსვენებულის ცხედარი წაასვენეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

დამკრძალავი კომისია

გუშინ გამოყოფილ იქნა პროფ. რაზმაძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე, თავმჯდომარის მოადგილე განათლების სახალხო კომისარი ამხ. დ. კანდელაკი, წევრები: უნივერსიტეტის გამგეობიდან ამხ. მალაქია ტოროშელიძე, პროფ. ნუცუბიძე, პროფ. კეკელიძე, პროფ. მაჭავარიანი, და პროფ. წინამძღვარიშვილი, პედაგოგიური ფაკულტეტიდან: ამხ. ს. ხუნდაძე, მ. ყაუხჩიშვილი და ლ. გოკიელი, პროლეტარულ სტუდენტობიდან ამხ. სალუქვაძე, [illegible] ლომჯარიძე; პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან პროფ. მუსხელიშვილი და პროფ. ზაქარიაძე; [illegible] ამხ. ბ. მაჩაიძე; განათლების მუშაკთა კავშირიდან პროფ. ახვლედიანი; მათემატიკურ საზოგადოებიდან ამხ. ქუპრაძე; თბილისის საბჭოდან ამხ. ვ. ბოლქვაძე და სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო ხელმძღვანელი ამხ. მელაძე.

დამკრძალავი კომისიის სხდომა

გუშინ სალამოთი უნივერსიტეტის შენობაში შესდგა პროფ. რაზმაძის დამკრძალავი კომისიის პირველი სხდომა. კომისიის დადგენილებით სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად შესდგება დღეს, სალამოს 6 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში, ხოლო პარასკევს, 4 ოქტომბერს, სალამოს 8 საათზე უნივერსიტეტის შენობაში. პროფ. რაზმაძის ნეშტი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოსვენებული იქნება შაბათს, 5 ოქტომბერს, დღის 2 საათზე და დაკრძალული იქნება დიდუბის პანთეონში.

დამკრძალავ კომისიაში განათლების სახალხო კომისარიატიდან შემოვიდა განცხადება, რომ გვირგვინის ნაცვლად განათლების სახ. კომისარიატი პროფ. რაზმაძის ხსოვნის აღსანიშნავათ დანიშნავს სამ სტიპენდიას. ასეთივე განცხადება შემოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელიც ნიშნავს ორ სტიპენდიას, და ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან, რომელიც ნიშნავს აგრეთვე 2 სტიპენდიას.

დამკრძალავი კომისია წინადადებას აძლევს წარმოება-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს განსვენებულისადმი თავისი პატივისცემის აღსანიშნავად გვირგვინის ნაცვლად შეიტანონ თავისი წვლილი პროფესორ რაზმაძის სახელობის სასტიპენდიო ფონდის გასაძლიერებლად.

პროფ. რაზმაძის მეცნიერული მოღვაწეობა

პროფ. ა. რაზმაძის სახით მათემატიკური მეცნიერება ჰკარგავს თავის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს. პროფ. ა. რაზმაძე თავისი მეცნიერული შრომებით ცნობილი იყო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც და იგი ითვლებოდა ვარიაციათა აღრიცხვის იშვიათ სპეციალისტად. მათემატიკის ამ ურთულეს დარგში მან წამოაყენა და ბრწყინვალეთ გადასწყვიტა რამდენიმე მეტათ მნიშვნელოვანი ახალი პრობლემა. იგი მუშაობდა აგრეთვე მათემატიკის მრავალ სხვა დარგში. უკანასკნელ ხანებში მან დასაბეჭდად მოამზადა მეტათ მნიშვნელოვანი შრომა ვარიაციათა აღრიცხვის საჰაერო მექანიკაში გამოყენების შესახებ.

პროფ. რაზმაძე არის ჩვენში უმაღლეს სასწავლებლების მოწყობის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. იგი უკანასკნელ დღემდე უსაზღვრო გატაცებით ემსახურებოდა მეცნიერების აღორძინებას და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებას. პროფესორი რაზმაძე გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. იგი იყო 39 წლის. მისი დაკარგვა სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მით უფრო საგრძნობია, რომ მას, როგორც ჯანღონით სავსე ახალგაზრდა მეცნიერს, კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო თბილისის უნივერსიტეტისათვის და, საერთოდ, მათემატიკური მეცნიერებისათვის.

გარდა სამეცნიერო მუშაობისა, პროფ. რაზმაძე უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. გასულ წელს იგი არჩეულ იქნა თბილისის მუშათა და გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს წევრად.

ნ. ტ.

რა მოგვცა 7 საათის სამუშაო დღემ

გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება

საქ. შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ გამოიკვლია იმ წარმოებების მდგომარეობა, რომელშიაც შემოღებულ იქნა 7 საათის სამუშაო დღე.

გამოკვლევამ ნათელყო, რომ 7 საათის სამუშაო დღის შემოღებამ საგრძნობლად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და იმავე დროს გააუმჯობესა ნაწარმოების ხარისხი.

7 საათზე გადასვლის შემდეგ გაიზარდა შრომის ინტენსივობა, მაგრამ მუშაობა ისე მწყობრად სწარმოებს, რომ ამ გარემოებას არ გამოუწვევია უბედური შემთხვევების ზრდა. პირიქით უბედურმა შემთხვევებმა წარმოებაში იკლო.

გამოკვლეული იქნა შემდეგი წარმოებები: პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია—ეს წარმოება 7 საათის სამუშაო დღეზე უნდა გადასულიყო 1 ივლისიდან. მაგრამ ტეხნიკურ მიზეზების გამო გადაყვანილი იქნა 1 სექტემბრიდან. შრომის ნაყოფიერება წინა თვესთან შედარებით გადიდებულია, პროდუქციის ღირსება გაუმჯობესებულია.

მე-5 სტამბაში 7 საათიანი სამუშაო დღე შემოღებულ იქნა 15 ივლისიდან. სამუშაო დღის შემცირებამდე სტამბაში მუშაობდა 127 მუშა-მოსამსახურე, 7 საათის შემოღების შემდეგ კი მუშაობდა 123. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა საშუალოდ 13 პროცენტით. გაუმჯობესდა აგრეთვე პროდუქციის ღირსება და 15 პროცენტით შემცირდა თვითღირებულება. კულტმუშაობა მოისუსტებს, ვინაიდან მუშები ისევ ნახევარ საათს ისვენებენ, რაც საუზმეს უნდება.

მთავრობის კომისიის დადგენილებით ლითონტრესტის სპილენძის სატყეც ქარხანაში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებულ იქნა 1 მაისიდან. მუშების რაოდენობა უცვლელი დარჩა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5,4 პროცენტით, ამასთანავე შემცირდა ნაწარმოების თვითღირებულება. მაგალითად, 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლამდე ქარხნის მიერ დამზადებული სპილენძი ტონა ღირდა 1275 მანეთი და 30 კაპ. ეხლა ღირს 1255 მან.

კულტმუშაობა აქაც მოისუსტებს.

გამოკვლეულ იქნა აგრეთვე ბარიტის წისქვილი, თელავის და ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნები, რომლებშიაც 7 საათის სამუშაო დღის შემოღებამ ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების აწევას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ გამოკვლეულ წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის წელს ხშირია დაავადების შემთხვევები, რაც გამოიწვია დიდმა სიცხეებმა და ზაფხულში გავრცელებულმა სხვადასხვა სენებმა, რამაც ხელი შეუშალა უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

მშენებელ მუშათა საგანგებო ყრილობა

ყრილობის მეოთხე სხდომაზე, 30 სექტემბერს დილით მოსმენილი იქნა მშენებელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. **რივკინის** მოხსენება ც. კ. მუშაობის შესახებ.

ყრილობის მეხუთე სხდომაზე (30 სექტემბერს სალამოს) მოსმენილი იქნა საქ. სახ. საგეგმო კომისიის წარმომადგენელ **ალშიბაიას** მოხსენება მშენებლობის ხუთი წლის პერსპექტიული გეგმის შესახებ და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელ **მელიქ-ნუბაროვის** და შრომის სახ. კომისარის მოადგილე ამხ. **ათოევის** თანამოხსენება ამავე საკითხზე.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ხუთი წლის განმავლობაში მშენებლობაზე საქართველოში უნდა დაიხარჯოს 468 მილიონი მანეთი.

ეს ფართე მშენებლობა მოითხოვს კვალიფიციურ მუშათა დიდ რაოდენობას, რომელიც ჯერ ჯერობით არ მოგვეპოვება. რა ზომებს ღებულობენ ჩვენი მშენებელი ორგანიზაციები ამ საკითხის მოსაგვარებლად და კვალიფიციურ მუშათა ახალი კადრების შესაქმნელად? არავითარს. შრომის კომისარიატის განცხადებით, არც ერთი მშენებელი ორგანიზაცია არ იწუხებს თავს წინასწარ და შრომის სახ. კომისარიატსა და მის ორგანოებს არ აწვდის ცნობებს, თუ რამდენი მუშა დასჭირდება მას მომავალ სეზონში. არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ ამ დარგში პროფკავშირებიც. მართალია, ამჟამად სწარმოებს ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშების მომზადება, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში და თუ მშენებელი და საგეგმო ორგანიზაციები ეხლავე არ შეუდგენ ამ საკითხის მოგვარებას, მშენებლობის გეგმას შესრულება საფრთხეში ჩავარდება. ეს იმდენად დიდი და სერიოზული საკითხია, რომ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეუდგენ მის მოგვარებას.

ყრილობის მეექვსე სხდომაზე, გუშინ დილით, გაიხსნა კამათი მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ირგვლივ. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ყოველი მშენებელი მუშა ზედმიწევნით გაეცნოს ჩვენი მშენებლობის ხუთწლიან გეგმას. გეგმის მთლიანად შესრულების ერთი ძირითადი პირობა არის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება და აღრიცხვაზე აყვანა, რომ მშენებლობის სეზონის გახსნისთანავე შესაძლო გახდეს მუშების გეგმაშეზომილად განაწილება მშენებელ ორგანიზაციათა შორის. ამჟამად ზოგიერთი საალმშენებლო მასალა, რომელიც დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში, კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებს არ მოეპოვებათ, ხოლო კერძო ვაჭრებს-კი თითქმის განუწყვეტლივ აქვთ ამ მასალის საკმაო რაოდენობა. ეს არანორმალური მდგომარეობა დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს.

საჭიროა საბოლოოდ განიდევნოს ჩვენი პრაქტიკიდან მოიჯარადრეობის სისტემა, რომელიც წურბელასავით აზის მშენებლობას და სხ.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. ომაროვის მოხსენება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

მომხსენებელი ახასიათებს სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობას ჩვენი აღმშენებლობის წარმატებისათვის, შეჯიბრების შედეგად მიღებულ მიღწევებს და შეჯიბრების წარსულ პრაქტიკაში შემჩნეულ დეფექტებს.

მაგალითად, აგურის მრეწველობაში შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ პირველი ხარისხის აგურის პროდუქცია 20 პროცენტიდან გადიდებული იქნა 90 პროცენტამდე, მეორე ხარისხის აგური 30 პროცენტიდან შემცირდა—10 პროცენტამდე. ხოლო დაწუნებული აგურის რაოდენობა შემცირებული იქნა 0,5 პროცენტამდე. სამუშაოს გაცდენა (იქვე) 1928 წლის მაისში უდრიდა 4,7 პროცენტს, 1929 წლის აგვისტოსთვის კი შემცირებული იქნა 1,5 პროცენტამდე.

შეჯიბრების ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გაუმჯობესებათა და მიღწევების აღრიცხვა ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. სამეურნეო ორგანიზაციები პირველ ხანებში უნდობლად ეკიდებოდნენ სოციალისტურ შეჯიბრებს და ერიდებოდნენ ამ მიზნისთვის თანხების გაღებას. ეს მდგომარეობა თანდათანობით გამოსწორდა და სამეურნეო ორგანიზაციებმა შეიგნეს, თუ რა დიდი ნაყოფი მოაქვს სოციალისტურ შეჯიბრებას.

კამათის დამთავრების შემდეგ არჩეული იქნა კომისიები, რომლებსაც დაევალა მოხსენებების გარშემო რეზოლიუციების შემუშავება.

არჩევნები

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუცები მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

შემდეგ მოხდა არჩევნები. ცენტრალურ გამგეობაში არჩეულ იქნა 7 კაცი. ამხ. **ნ. ღლონტი, ბ. ომაროვი, თევდორაძე, წერეთელი, იზრაელი, უშაკოვი და სანაია.**

სარევიზიო კომისიაში — 7 კაცი: ამხ. **ვ. ოსიპოვი, მ. ავეტისოვი, გ. ცხოვრებაშვილი, კუპრაშვილი, ლ. ბაიახჩევი, შავგულიძე და დავითაშვილი.**

ამხ. ბ. მაჩაიძის სიტყვა

არჩევნების შემდეგ ყრილობას მიესალმა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. მაჩაიძე, რომელიც შეეხო კავშირის წარსულ მუშაობას და აღნიშნა, რომ მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. მომავალში ამგვარი მდგომარეობა არ უნდა გაგრძელდეს. მშენებელ მუშათა კავშირმა მთლიანად და კავშირის თვითეულმა წევრმა ნათლად უნდა გაითვალისწინოს ის დიდი ამოცანები, რომელიც ისტორიამ დააკისრა ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს და მთელი ძალღონე დასჭიმოს, რომ გადავლახოთ სოციალისტური მშენებლობის გზაზე წამოჭრილი დაბრკოლებები და სიძნელენი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფმუშაკების ახალი კადრების მომზადებას, რომ ამ ძალების საშუალებით სათანადო დონეზე იქნეს დაყენებული საკავშირო მუშაობა.

ამხ. ბ. მაჩაიძის სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

საზოგადოებრივი ტრიბუნალები

საამხანაგო სასამართლოების შესახებ

საბჭოთა სასამართლოს მუშაობის საკმაოთ ხანგრძლივმა პრაქტიკამ ყველასათვის და მით უფრო იუსტიციის მუშაკებისათვის ნათელი გახადა დებულება, რომ სახალხო სასამართლოებში ე. წ. კერძო ბრალდების საქმეების (შეურაცყოფა, ცილის წამება და სხ.) უდიდესი ნაწილის განხილვა ყოველთვის ვერ აღწევს თავის მიზანს.

ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ კერძო ბრალდების საქმეების ვარჩევას სახალხო სასამართლოების დარბაზებში აგვიანდება რამდენიმე თვით და ზოგჯერ წელიწადიც, რაც იმითაც აიხსნება, რომ სახალხო სასამართლოს დიდი დატვირთვის გამო არ შეუძლია პირველ რიგში გაარჩიოს ეს საქმეები. ხშირია შემთხვევა, როდესაც სახალხო სასამართლოში განსახილველად უკვე დანიშნული კერძო ბრალდების საქმე; მრავალჯერ უსაზღვროთ ჭიანურდება, რასაც ბუნებრივად მოსდევს ის შედეგი, რომ ასეთ საქმეებს ეკარგებათ ცხოველმყოფელობა, რომელიც მათ ჰქონდათ წარმოშობის პირველ დღეებში.

გარდა ამისა, როგორც ვიცით, სახალხო სასამართლო დამნაშავეთ ცნობილ პირებს მიმართ იყენებს სისხლის სამ. კოდ. სათანადო მუხლებში გათვალისწინებულ სასჯელის სხვადასხვა ფორმებს: პატიმრობას, იძულებითი მუშაობას, პირობითი სასჯელს და სხ., დღეს საბოლოოთ შეიძლება გამორკვეულათ ჩაითვალოს, რომ სახალხო სასამართლოს განაჩენში აღნიშნული სისხ. სამ. რეპრესიის ზეგავლენა გასამართლებულ პირზე იმ თვალსაზრისით, რათა მან მომავალში კიდევ არ ჩაიდინოს ანალოგიური საქციელი, მეტის მეტათ სუსტია, მაშინ, როდესაც მორალურ აღმზრდელობითი ღონისძიების შეფარდებას დამნაშავის მიმართ მისივე ამხანაგების ფართო წრეში, იმავე წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, სადაც მუშაობს თვითონ, გაცილებით მეტი ეფექტის მოცემა შეეძლო.

კერძო ბრალდების საქმეების უდიდესი ნაწილის წარმოშობა დაკავშირებულია ჩვენი ყოფა-ცხოვრების ჩამორჩენილობასთან, ცხადი უნდა იყოს, რომ მასთან ბრძოლა უფრო მიზანშეწონილი იქნება ჯანსაღ ამხანაგურ ატმოსფერის და საზოგადოებრივ აღმზრდელობითი ზომების მიღების პირობებში.

ამ თვალსაზრისიდან გამოდიოდა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც გასულ წელს გამოსცა დებულება წარმოება-დაწესებულებებთან საამხანაგო სასამართლოების დაარსების შესახებ, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთა, კერძო ბრალდების ერთი ნაწილის საქმეების განხილვა.

რუსეთის საამხანაგო სასამართლოების მუშაობის გამოცდილებამ სავსებით გაამართლა ეს ძირითადი დანიშნულება, რაც, სხვათა შორის, აღნიშნა რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამაც.

საქ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი, რომელსაც დავალებული აქვს წარმოება-დაწესებულებებთან საამხანაგო სასამართლოების ჩამოყალიბება უკვე შეუდგა ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას ჩვენში.

საამხანაგო სასამართლოები ჯერ-ჯერობით არსდება მხოლოდ მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში და შემდეგ თანდათანობით ფართოთ იქნება გავრცელებული მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

როგორი იქნება საამხანაგო სასამართლოს სტრუქტურა?

საამხანაგო სასამართლოს მუშაობა მიმდინარეობს თავმჯდომარის და ორი მორიგე მსაჯულის შემადგენლობით, რომელთაც ირჩევს ფაბრიკა-ქარხნის და სახელმწიფო საზოგადოებრივი დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. თავმჯდომარის და წევრების არჩევა ხდება ექვსი თვის ვადით. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას შეუძლია მოახდინოს თავმჯდომარის ან რომელიმე მსაჯულის უკანვე გამოწვევა, უკეთუ შემჩნეული იქნება, რომ, რომელიმე მათგანი სათანადოთ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ან მან დაკარგა პატივისცემა ამხანაგებს შორის ჩადენილ საქციელის გამო, (ხულიგნობა, შეურაცყოფა და სხ.). საამხანაგო სასამართლოს პირადი შემადგენლობის ძერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობს წამოყენებული კანდიდატი მუშა-მოსამსახურეთა მასებში, რამდენად არის ის განთავისუფლებული ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების გავლენისაგან, არის თუ არა აქტიური, ახალ ყოფა-ცხოვრების მშენებლობისათვის მებრძოლთა რიგებში.

საამხანაგო სასამართლოებს განსახილველათ ექვემდებარება შემდეგი დანაშაულებრივი მოქმედებანი, რომელთაც ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი:

წერილობითი, სიტყვიერი და მოქმედებითი შეურაცყოფა (ს. ს. კ. 174 მუხ.), ბ) ცილისწამება ე. ი. წარმოება-დაწესებულების რომელიმე მუშა-მოსამსახურის მიერ წინასწარი განზრახვით ტყუილი და გამაწბილებელი ხმების გავრცელება, როგორც ზეპირი ისევე ბეჭდვითი გზით, (ს. ს. კ. 175 მ.), ისეთი შეურაცყოფა,რაც მიყენებული იქნება გავრცელებული ან საჯაროთ გამოფენილ ბეჭდვითი ნაწარმოებით ან და საჯაროთ გამოფენილ ბეჭდვითი ნაწარმოებში მოთავსებულ ან ცალკე გამოფენილ ნახატებით, დ) ცემა, დარტყმა, ან სხვა ასეთი ძალადობა, რომელსაც შედეგათ არ მოჰყოლია დაზარალებულის სხეულის რაიმე დაზიანება, ე) ისეთი ხულიგნობა, რომელიც პირველათაა ჩადენილი და არ ატარებს განსაკუთრებულ ცინიკურ ხასიათს და აშკარა უპატივცემლობას საზოგადოებისადმი. (საამხანაგო სასამართლოს არ ექვემდებარება ისეთი საქმე, რომელიც შეიძლება აღიძრას წარმოება-დაწესებულებაში ხელქვეით და ზემდგომ თანამდებობის პირთა შორის).

რუსეთის საამხანაგო სასამართლოების მუშაობის პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ საჭიროა საამხანაგო სასამართლოებისთვის დაქვემდებარებულ იქნას წვრილი ქურდობა, სამოქალაქო საქმეები 20—30 მანეთამდე და სხ.

საამხანაგო სასამართლოში საქმე შეიძლება აღიძრას დაზარალებულის წერილობით ან სიტყვიერი განცხადებით, რომელსაც ღებულობს თავმჯდომარე ან რომელიმე მსაჯული.

საქმეების განხილვა ხდება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე არა სამუშაო დროს. აი როგორ აღწერს რუსეთის იუსტიციის ერთ-ერთი ცნობილი მუშაკი, მოსკოვისა და ლენინგრადის საამხანაგო სასამართლოების სხდომების მიმდინარეობას: „სასამართლო დაკითხავს ყველას, ვინც ამ საქმეზე იქნება დაბარებული, შეეკითხება აუდიტორიას ხომ არავის სურს „დამცველათ“, ან „ბრალმდებლად“ გამოსვლა ამ საქმეზე. შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე მოკლეთ დაახასიათებს ბრალდებულის საქციელს, აღნიშნავს საქმის მნიშვნელობას მუშათა კოლექტივისათვის და ბოლოს აძლევს უკანასკნელ სიტყვას ბრალდებულს. უკანასკნელი სიტყვის შემდეგ სასამართლო შეეკითხება აუდიტორიას, ვის რა ღონისძიების მიღება მიაჩნია საჭიროთ (ერთი ასახელებს ამხანაგურ გაფრთხილებას, მეორე საზოგადოებრივ გაკიცხვას და სხ.), დამსწრეთა აზრის გამორკვევის შემდეგ სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანათ. „საქმეთა განხილვის ასეთი წესი საშუალებას აძლევს საამხანაგო სასამართლოს ნამდვილათ განახორციელოს თავისი ძირითადი დანიშნულება, როგორც მორალური ზეგავლენის ორგანომ“.

როგორც ვხედავთ, საამხანაგო სასამართლოების მუშაობის სფეროდან სავსებით განდევნილია თანამედროვე სახელმწიფოებრივ სასამართლო პროცესის პროცესუალური ელემენტები, არავითარი ოფიციალური პროცედურა, რომელიც ახასიათებს ჩვეულებრივ სასამართლოების მუშაობას არ არის საჭირო საამხანაგო სასამართლოების საქმიანობისათვის.

საამხანაგო სასამართლო იმით განსხვავდება ჩვეულებრივი სასამართლოსაგან, რომ ის უკოდექსოთ მომქმედი სასამართლოა.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მიხედვით საამხანაგო სასამართლოს, დამნაშავეთ ცნობილ მუშა-მოსამსახურეთა მიმართ შეუძლია მხოლოდ საზოგადოებრივი მორალურ აღმზრდელობრივი ხასიათის ღონისძიებათა შეფარდება: ა) ამხანაგური გაფრთხილება, ბ) საზოგადოებრივი გაკიცხვა ზეპირათ, ან პრესაში გამოქვეყნებით და გ) ჯარიმა 50 კ.—10 მან.

რუსეთის საამხანაგო სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაში თავი იჩინა გადახრამ ჯარიმისაკენ, რაც, რასაკვირველია, არანორმალურად უნდა იქნეს მიჩნეული, განსაკუთრებით იმ მუშა-მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც მაღალ ხელფასს ღებულობენ და მათთვის ჯარიმის მაქსიმუმის გადახდაც კი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს; ეს გარემოება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული და სხვა ზომები უნდა იქნეს ფართოთ გამოყენებული და იშვიათ შემთხვევაში მხოლოდ ჯარიმა.

საამხანაგო სასამართლოს გამოტანილი განაჩენი საბოლოოა და მისი განსაჩივრება არსად არ შეიძლება. განაჩენმა უნდა გამოხატოს წარმოება-დაწესებულების მშრომელთა კოლექტივის ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი, ბრალდებულის საქციელის გამო.

იმ შემთხვევაში, როდესაც საამხანაგო სასამართლოს განაჩენიდან სჩანს, რომ მას მიუღია განსახილველად ისეთი საქმე, რომელიც მას არ ექვემდებარებოდა, ან შეუფარდებია ისეთი ღონისძიება, რომლის უფლება დებულების მიხედვით მას არ ჰქონდა; —საპროკურატურო ზედამხედველობას შეუძლია გააუქმოს განაჩენი და საქმე განსახილველად გადასცეს სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობისამებრ.

ასეთია მოკლედ საამხანაგო სასამართლოების სტრუქტურა და მუშაობის ძირითადი მომენტები. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს თუ რამდენათ დიდი მნიშვნელობა აქვს საამხანაგო სასამართლოების ფართოთ გაშლილ მუშაობას მშრომელ მასების ფართე წრეებში ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების აღმოფხვრის ამოცანებისათვის.

ივ. ძაძამიძე.

საქ. ცაკში

წიგნები ეროვნულ უმცირესობათა ყოფაცხოვრების შესახებ

ცაკმა წინადადება მისცა სახელგამს შეუდგეს პოპულიარული წიგნებისა და ბროშურების გამოცემას საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

დელეგატების გაგზავნა საკავშირო თათბირზე

მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიების პასუხისმგებელი მდივნების საკავშირო თათბირზე საქართველოს დელეგატებათ ცაკმა მიავლინა **მარიამ შიუკაშვილი და ნატალია ჯიბუტი.**

8 მარტის აღსანიშნავად

ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციებს, რომლებმაც იკისრეს 1929 წლის ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის აღსანიშნავად სხვადასხვა ღონისძიებების გატარება დაუყოვნებლივ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი.

კლასიკოსების გამოცემის ირგვლივ

(სახელგამის განმარტება)

ჩვენს პრესაში არა ერთხელ აღძრულა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა საჭირო დღევანდელს პირობებში კლასიკურ მწერლების გამოცემა. უკანასკნელად ამ საკითხს ისევ გამოეხმაურა ჟურნ. „მნათობი“ და გაზ. „კომუნისტი“ № 213.

კლასიკოსების გამოცემის საკითხი სახელგამს იმთავითვე აინტერესებდა.

მაგალითად, 1925 წლის აპრილში (კოლეგიის ოქმი № 5) საგამომცემლო გეგმა კლასიკური მწერლობის გამოცემის ნაწილში ასეთნაირად იყო დამტკიცებული: „ქართული ძველი ლიტერატურის ისტორია“ (მარქსისტული თვალსაზრისით): „ქართული ახალი მწერლობის ისტორია“ (მარქსისტული თვალსაზრისით), ქართველ პროლეტარულ მწერლობის ანთოლოგია; ქართველი თანამგზავრები; აკაკი წერეთელი; ვაჟა-ფშაველა; გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე; რაფ. ერისთავი; ნ. ლომოური; ი. ევდოშვილი; დან. ჭონქაძე, ქ. ლომთათიძე; ს. მგალობლიშვილი; ვ. ბარნოვი; გ. წერეთელი; ლ. არდაზიანი, დ. კლდიაშვილი, ეს ავტორები დამტკიცებული იქნა გამოსაცემად (1-დან 4 ტომამდე) სარედაქციო კოლეგიის მიერ ამხ. მ. ორახელაშვილის თავმჯდომარეობით.

როგორც ვიცით, ამ წიგნებიდან სახელგამმა დიდი უმეტესობა გამოსცა. ამის შემდეგაც მიღებულ იქნა გამოსაცემად კლასიკური მწერლობიდან სხვადასხვა წიგნები, რომელთა ნაწილი გამოიცა და ნაწილი სტამბისათვის მზადდება (ა. ფურცელაძე, ნ. ბარათაშვილი და სხვ.).

ამავე დროს განსახკომის შეკვეთით გამოიცა სკოლებისათვის მთელი სერია კლასიკურ მწერალთა ცალკე ნაწარმოებებისა „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სახით. (60 სახელწოდება 5,000 ცალი თითოეული).

ამრიგად, სახელგამი კლასიკურ ლიტერატურის გამოცემის საქმეში არც ისეთ გულგრილობას იჩენდა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. მხოლოდ უნდა აღვიაროთ, რომ ჯერ - ჯერობით სახელგამმა ვერ შესძლო კლასიკური ლიტერატურის გამოცემის მტკიცე კალენდარული გეგმის შედგენა.

მაგრამ არა ერთხელ, როგორც სარედაქციო კოლეგიის სხდომებზე, ისე სახელგამის გამგეობაშიც დასმულა საკითხი ამ საქმის კარდინალურად მოგვარების შესახებ.

არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ სახელგამიც საკმაოდ ითვალისწინებდა მის მიერ უკვე შესრულებულ გამოცემათა დეფექტებს (კომენტარიები, წინასიტყვაობანი, წიგნის იდეოლოგიური გამართვა და სხვ.) ამიტომ იყო, რომ სახელგამი ერიდებოდა და დღესაც ერიდება კლასიკოსების გამოცემას საქმეში სტიქიურობას, რაიცა, როგორც ყველასათვის ცნობილია, თავიდან ვერ აიცილა ისეთმა ძლიერმა და სათანადო სამეცნიერო ძალებით მდიდარმა რუსეთის სახელგამმაც კი.

კლასიკური ლიტერატურის გამოცემის სათანადო მტკიცე ნიადაგზე დაყენება არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს ზოგიერთს გონია. არ კმარა მარტო ძახილი, რომ საჭიროა კლასიკური ლიტერატურის გამოცემა. საჭიროა გამოსაცემ წიგნთა და ავტორთა დიდი სიფრთხილით შერჩევა, წინასწარ ჩატარება დიდი მეცნიერული კვლევა - ძიებისა, სათანადო კადრის შექმნა და შემოკრება და ხანგრძლივი დამუშავება ამა თუ იმ წიგნის, რომ ესა თუ ის კლასიკოსი ჩვენს გამოცემაში სწორედ „ჩვენი ეპოქის იდეურ მოთხოვნილებებს შეეფერებოდეს“.

ცხადია, რომ სახელგამს ასეთი ორგანიზაციის მოწყობა თავის აპარატში, ან და თავის ირგვლივ არ შეეძლო, როგორც მატერიალური მიზეზების, ისე საკუთარი საგამომცემლო გეგმის გარკვეული ხასიათის გამო: ყოველთვის პირველ რიგში სდგანან ის აქტიური ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა განზრახულია საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით. ამიტომ სათანადო გეგმებში წინ იწევდა მაგ. პოპულიარული ლიტერატურა, პოლიტიკური, სახელმძღვანელოები, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, მომენტისა და სხვ. და კლასიკური ლიტერატურა, ბუნებრივად, ასეთ პირობებში, ვერ ითამაშებდა ჩვენს საგამომცემლო გეგმაში აქტიურ როლს, მიუხედავად მისი საერთო მნიშვნელობისა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკითხი კლასიკოსების გეგმიანად გამოცემის შესახებ სახელგამში დადებითადაა გადაწყვეტილი და მზადდება სია იმ კლასიკური ავტორებისა, რომელთა გამოცემა სახელგამის მონოპოლიას უნდა შეადგენდეს. ახლო მომავალში, განსახკომთან შეთანხმებით, ასეთი სია გამოქვეყნებულ იქნება და მომავალი წლის პირველ იანვრიდან სახელგამისათვის შესაძლებელი გახდება ამ დარგში გეგმიანი მუშაობის წარმოება.

რაიცა შეეხება მარქსისტ-კომუნისტების კადრის შექმნას, უნდა განვაცხადოთ, რომ ამ კადრის შექმნა, რომ ასე ადვილი იყოს, მაშინ, ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთი მწერლები, რომელნიც სახელგამში გამოიცენ არა მარქსისტ „კომენტატორთა“ რედაქციით,—ასეთ ნაირად არ გამოიცემოდენ.

ასეთი კადრის უქონლობის გამო დღესაც არაა დაწერილი კოლეგიის მიერ განზრახული „ქართული ძველი ლიტერატურის ისტორია“, „ქართული ახალი მწერლობის ისტორია“. „ქართული კულტურის ისტორია“ და მთელი რიგი მნიშვნელოვანი წიგნებისა, რომელთა საჭიროებას სახელგამი კარგად გრძნობს, რომელთა დაწერა თავის დროზე ზოგიერთ ავტორებს შეკვეთილიც კი ჰქონდათ და რომელნიც, მიუხედავად ამისა, ვერ მივიღეთ რედაქტორთა და მეცნიერულ ძალთა უყოლობის გამო.

თუ რამდენად რთულია ასეთი ძალების შექმნისა და შემოკრების საკითხი იქიდანაც სჩანს, რომ 1928 წლის დამლევს მოწვეულ კრებაზე რუსეთის სახელგამში, სადაც, სხვათა შორის, პირველად ირჩეოდა საკითხი კლასიკოსების გეგმიანად გამოცემაზე, ამხ. ლუნაჩარსკი აცხადებდა, რომ მარქსისტული კრიტიკოსები არა გვყავს და ეს ძლიერ გვიძნელებს კლასიკოსების გამოცემის საქმეს. ამხ. პიქსანოვმა კი, რომელიც განაგებს კლასიკურ ლიტერატურის დარგს რუსეთის სახელგამში, პირდაპირ სთქვა, რომ „ჩვენ მობილიზაციას ვუშვებით ლიტერატურის მცოდნე მარქსისტულ ძალებს და ჯერ-ჯერობით შევადგინეთ **მხოლოდ 50 კაცის სია**“-ო.

თუ რუსეთში, რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავზე მხოლოდ 50 ლიტერატურის სპეციალისტ-მარქსისტის მეტი არ აღმოჩნდა, რა მდგომარეობა უნდა იქნეს საქართველოში.

სახელგამი კლასიკურ ლიტერატურის გამოცემას არამც თუ არ გაურბის, პირიქით სცდილობს მეტი გეგმიანობა შეიტანოს ამ საქმეში: სახელგამი სცემდა და სცემს, თავის მდგომარეობასთან შეფარდებით, კლასიკურ მწერლობის ნიმუშებს; ამუშავებს და მოკლე ხანში გამოაქვეყნებს იმ მწერალთა სიას, რომელთა გამოცემა სახელგამის მონოპოლიას უნდა შეადგენდეს.

კერძოდ ამ საკითხზე მუშაობს სპეციალური კომისია, რომლის გეგმა და დასკვნები მოკლე ხანში წარედგინება რედ. კოლეგიას განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბ. ბიბინეიშვილი.

ქრონიკა

ბერლინელი პროფ. ნოლლერი ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში

1 ოქტომბერს ცნობილმა გერმანელმა პროფ. ნოლლერმა ინახულა ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი.

დირექტორ პროფ. სპ. ვირსალაძესთან და ინსტიტუტის სხვა მუშაკებთან საუბარში პროფ. ნოლლერმა მოიწონა კლინიკური განყოფილების ახალი შენობა და შეუთანხმდა პროფ. ვირსალაძეს სამეცნიერო პრეპარატების და შრომების გაცვლა-გამოცვლის შესახებ. სხვათა შორის, პროფ. ნოლლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისეთ სუბტროპიკულ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტს აქვს შეუდარებელი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

„მიწა და ფაბრიკა"-ს გადაფრენა

„მიწა და ფაბრიკა"-ს სააგიტაციო გადაფრენას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა. თბილისში მიღებული ცნობით, ამინდის გამოკეთების გამო, „მიწა და ფაბრიკა" გუშინ ქობულეთიდან გადაფრინდებოდა სენაკში, შემდეგ ზუგდიდში და აქედან სოხუმში.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაცია

ა.-კ. სახკომსაბჭომ მოისმინა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენება სოფლად ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ და დაადგინა გაგზავნილ იქნან დიდ მაზრებში პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილებზე რეალიზაციის კამპანიის ფართოდ გაშლას.

ერბო-ყველის ქარხნის აგება დამთავრებულია

29 სექტემბერს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომისიამ შეამოწმა ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის ერბო-ყველის ქარხანა. ქარხნის აშენება დამთავრებულია. ქარხანა ამ დღეებში გადაეცემა თბილისის საოლქო აღმასკომს. შემოწმებამ არავითარი დეფექტები არ აღმოაჩინა. ქარხანა მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით და სეზონის განმავლობაში გადაამუშავებს ათას ტონაზე მეტ რძეს. მუშაობას დაიწყებს გაზაფხულიდან.

ჩრდილოეთ - კავკასიაში მეურნეობის შესასწავლად

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ჩრდილოეთ - კავკასიაში კოლმეურნეობის მშენებლობის შესასწავლად და ამ დარგში მიღწევებთან გასაცნობად, გაგზავნოს თბილისის ოლქიდან 2 რაიონული აგრონომი, 1 აგრორწმუნებული და დაინტერესებულ ორგანიზაციების 2 წარმომადგენელი, სულ 5 კაცი.

92.500 მან. ღარიბი გლეხობის დასახმარებლად

ღარიბი გლეხობისათვის დახმარების გაწევის მიზნით საქ. სას-სამ. ბანკს გადაეცა 92.500 მან.

აღნიშნული თანხა გრძელვადიანი სესხის სახით გაუნაწილდება, კოლმეურნეობებში გაერთიანებულ და ღარიბ გლეხობას.

თბ. აღმასკომში

◆ პრეზიდიუმის დადგენილებით 1-ლი ოქტომბრიდან წყლის ფულის ასაკრეფად შემოღებულია ახალი სისტემა. წყლის ფულს აბონენტებისაგან ბინებზე მიიღებენ ინკასატორები.

განათლების კომისარიატში

◆ მასწავლებელთა გადამზადება. წელს განათლების კომისარიატმა მაზრებში გადაამზადა 331 მასწავლებელი.

სხვადასხვა

— სოფელ გიორგიწმინდის (გარე-კახეთის რაიონი) შრომის სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ ა. წ. 30 სექტემბრის სხდომაზე დაადგინა, რომ თვითეულმა მასწავლებელმა უფასოდ შეასწავლოს წერა-კითხვა 6 უცოდინარ ღარიბ გლეხებს. ამავე მიზნით გიორგიწმინდის მასწავლებლები იწვევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში საგარეჯოს 10 წლედის მასწავლებლებს.

„დროშა" № 18

გამოვიდა ჟურნალი „დროშა" № 18, შინაარსი: ინდუსტრიალიზაციის დღე, ქუთაისის პიონერები, მ.— ინდოეთის მუშათა კლასის გასამართლება, **ნიკოლო მიწიშვილი**— ექვსი ლუბერნატორი, ა. კ—ძე—ამიერ-კავკასიის რკინის გზის ცენტრალური საცდელ-ტექნიკური სადგური, **ს. ერთაწმინდელი**— შემოდგომის სურათები (ლექსი), **სანდრო თბილისელი**—მეოთხე ტირაჟზე, **გ. ქუჩიშვილი**—ინდუსტრიალიზაციისათვის (ლექსი), **მ. დარბინიანი**—წითელ ჯარში (მოთხრობა), **გრი**—ნიკო ავალიშვილი, ვარსკვლავთმრიცხველი, ბორჯომის მინერალური წყლის ქარხანა, **შ. ზ.**—სასპორტო თამაშობათა შემოდგომის სეზონი, **კონსტ. ლორთქიფანიძე**— სალეწაოზე (მოთხრობა) სხვადასხვა ცნობები. ჟურნალში მოთავსებულია ოთხმოცამდე სურათი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტმწერალთა ასოციაციის სრ. საკავშირო გაერთიანების პლენუმი

10 სექტემბერს თბილისში მოწვეულია პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების სრ. საკავშირო გაერთიანების პლენუმი.

პლენუმი შესდგება ხელოვნების სასახლეში, დღის წესრიგი: 1) პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების სრ. საკავშირო გაერთიანების მუშაობა და მორიგი ამოცანები— მომხ. **სუტირინი**; 2) მოხსენება ამიერ-კავკასიის პროლეტმწერალთა ასოციაციის მუშაობის შესახებ, 3) რევოლიუციონურ და პროლეტარულ ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს მოხსენება; 4) თანამედროვე სომხური ლიტერატურა; 5) თანამედროვე თურქული ლიტერატურა; 6) მოხსენება თეატრის რეკონსტრუქტიულ პერიოდის შესახებ: 7) მოხსენება ავადმყოფურ მოვლენების შესახებ პროლეტარულ ლიტერატურაში; 8) საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმი აგრეთვე მოისმენს მოხსენებას ამიერ-კავკასიის 5-წლიანი გეგმის შესახებ.

პლენუმის გახსნაზე მოწვეულნი არიან მუშკორები, სამკორები და ლიტერატურულ წრეების წევრები.

—:—

— **ხუთშაბათს, ოქტომბრის 3-ს, საღამოს** 7 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13), საქ. დრამატურგთა, კომპოზიტორთა და სცენარისტთა საზოგადოება იწვევს თათბირს საკლუბო და სასოფლო რეპერტუარის შესახებ.

◆ **მოსკოვიდან მიღებული ცნობით** საკავშირო ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო გამოსაცემათ ამხ. ს. ამაღლობელის შრომა—„სანახაობითი ხელოვნების სოციოლოგია". ამხ. ამაღლობელი არჩეულია აკადემიის ნამდვილ წევრათ და სწავლულ მდივნათ.

ჩქარი მატარებლის № 18 დამტვრევის მიზეზები

(საუბარი მთავრობის კომისიის თავმჯდომარე, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილესთან ამხ. ხაჩიევთან)

1 ოქტომბერს დილით განჯიდან დაბრუნდა მთავრობის კომისია, რომელიც იკვლევდა სადგ. ალიქენდში მომხდარ კატასტროფის მიზეზებს.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში კომისიის თავმჯდომარემ, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილემ, ამიერ-კავკასიაში ამხ. **ხაჩიევმა** განაცხადა შემდეგი:

27 სექტემბერს სადგურ განჯაში შეადგინეს საბარგო მატ. № 2001. 63 ვაგონის ნაცვლად სადგურის უფროსის პირველმა თანაშემწემ **უსუფოვმა** მატარებელი შეადგინა 76 ვაგონისაგან (რაც მატარებლების ჩვეულებრივ სიგრძეს ძალზე აღემატებოდა), მიუხედავად იმისა, რომ მატარებლის ობერ კონდუქტორი **ზაზაევი** ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა მას.

უსუფოვმა არაფერი აცნობა არც მატარებლების მოძრაობს მომწესრიგებელს (დისპეჩერს) და არც სადგურის მორიგეს იმის შესახებ, რომ მატარებელს მიუმატეს 13 ვაგონი.

სადგურ ალიქენდში მატარებელი მიიღეს მესამე ხაზზე. საბარგო მატარებელი № 2001 იმდენათ გრძელი იყო, რომ აღნიშნულ ხაზზე ვერ დაეტია. იმავე დროს სადგურში უნდა მოსულიყო ჩქარი მატარებელი (მოსკოვი-თბილისი) №№ 18. სადგურის მორიგემ **ფაშაბეკოვმა** ჩქარი მატარებლის № 18-ის მოსვლამდე განიზრახა საბარგო მატარებლის წინა ნაწილის ჩიხში გადაყენება, მაგრამ ძლივს გასცილდა ისრებს საბარგო მატარებლის ორი ორთქლმავალი და რამდენიმე ვაგონით, რომ მოუსწრო მატ. № 18-მა და მოხდა დაჯახება.

იმ მასალების მიხედვით, რომელიც ამჟამად ხელთ აქვს კომისიას, შეიძლება ითქვას შემდეგი: სადგურ ალიქენდის მორიგემ ფაშაბეკოვმა ვერ გაითვალისწინა ჩქარი მატ. № 18 მოსვლის დრო და იგი დამნაშავეა იმაში, რომ დაარღვია ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, ე. ი. არ შესწყვიტა მანევრები მატარებლის შემოსვლამდე 15 წუთით ადრე.

მემანქანე **ყაზარიანი** შემოიჭრა სადგურში იმ დროს, როდესაც სემაფორი დაკეტილი იყო.

სადგურ განჯის უფროსის პირველი თანაშემწე უსუფოვი დამნაშავეა იმაში, რომ არავის აცნობა საბარგო მატარებლის № 2001 შემადგენლობის გადიდების შესახებ.

საბარგო მატარებლის პირველი ორთქლმავლის მემანქანემ **კიკნაძემ** დროზე ვერ შენიშნა მატ. № 18 მოახლოვება და ვერ მიიღო საჭირო გამაფრთხილებელი ზომები.

საბარგო მატარებლის ობერ-კონდუქტორმა **ზაზაევმა** გაიარა რამდენიმე სადგური და არავის აცნობა, რომ მისი მატარებლის შემადგენლობაში მომატებულია 13 ვაგონი.

კვლევა ძიება დასრულდა. **დამნაშავეები დაპატიმრებული არიან.**

დასასრულ, ამხ. ხაჩიევმა აღნიშნა: ეს შემთხვევა და სხვა ასეთი შემთხვევები გამოწვეულია იმით, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე (განსაკუთრებით განჯის უბანზე) ძალზე მოისუსტებს შრომის დისციპლინა და რკინის გზის ზოგიერთ აგენტების ტექნიკური ცოდნა მეტად დაბალ დონეზეა შეჩერებული.

დამატებით მასალებთან გასაცნობათ გუშინ ღამით ამხ. **ხაჩიევი** გაემგზავრა განჯაში.

შემთხვევები

დაჯახება

1 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე ჭიათურა-დარკვეთს შუა ორთქლმავალი № 9102 დაეჯახა გზის პირად მომუშავე ესკავატორს.

ორთქლმავალი მნიშვნელოვნად დაზიანდა. მძიმედ დაშავდნენ: მემანქანის თანაშემწე **ცხადაძე**, მატარებლის შემდგენელი—**ქავთარაძე**, ვაგონების გადამბმელი **თურმანიძე** და მეისრე **ღიბრაძე**, რომლებიც გადაგზავნეს ჭიათურის ქალაქის საავადმყოფოში.

გაუპატიურება

ხობის (ზუგდ. მაზრა), თემაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ **ტარიელ აბრამიამ** გააუპატიურა დარია შეროზია; შეროზიას ქალმა თავი ჩამოიხრჩო. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია. ხალხი მოითხოვს მის სასტიკად დასჯას.

ჭერის ჩამონგრევა

გუშინწინ, ღამით, ჩამოინგრა რაბადის ქუჩაზე მდებარე სახლის ჭერი. მძიმედ დაშავდა ელისაბედ თათეოზის ასული ვაროსიანცი, რომელიც გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ჯიბგირობა

2 ოქტომბერს ლიუბა ნიკოლოზის ასულს კანდელაკს ვიღაც უცნობმა პირმა ტრამვაის ვაგონში ხელიდან გამოსტაცა 3 ნახ. მეტრი კრეპდეშინი და მიიმალა.

ქურდობა

გაქურდეს გრიგოლ ავტასოვის ბინა (ტრამვაის მუშათა სახლი), — წაიღეს 200 მანეთის ნივთები; — გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია № 115 (საბჭოთა ქ. № 109).

რა ხდება ადგილებზე

1907 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევა

ოზურგეთი, 1 ოქტომბერი. გამწვევი კომისიის ცნობით, გამოცხადდა გაწვეულთა 100 პროცენტი. არ ყოფილა დეზერტირობის არც ერთი შემთხვევა. გაწვეულთა საერთო რიცხვიდან სოციალურად უცხო ელემენტი აღმოჩნდა 2 პროცენტი, რომელიც არ იქნა ჩარიცხული არმიაში. (ადს).

თელავის რაიონის პარტიული კონფერენცია

თელავი, 1 ოქტომბერი. 30 სექტემბერს სახალხო თეატრში შესდგა რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნა საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ბაქრაძის მოხსენება საქართველოს კპ. (ბ) მე-6 ყრილობის შედეგების შესახებ. მოხსენების შემდეგ აირჩიეს ახალი კომიტეტი, რომელშიაც 25 კაცი შევიდა.

კომიტეტმა გამოჰყო 7 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. რაიონის კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ქრისტეფორე კობტაშვილი, (ადს).

ხვნა დაიწყო

გურჯაანი, 1 ოქტომბერი. ოლქის სხვადასხვა რაიონში უკვე დაიწყო ხვნა შემოდგომის თესვისათვის. წვიმამ ნიადაგი დაალბო და შესაძლებელი გახადა მიწის მასიური ხვნის დაწყება. (ადს).

სატრაქტორო კოლონების მოწყობა

გურჯაანი, 1 ოქტომბერი. აფენის რაიონის კოლექტიურმა მეურნეობებმა გადასწყვიტეს—შეერთდნენ და მოაწყონ სატრაქტორო რაზმი. მათ დასახმარებლად გაეგზავნა აგრონომი და ინსტრუქტორი. სათემო კრებაზე 24 სოფლის წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს ერთად დაამუშაონ მიწები და მოსპონ საზღვრები. რაზმი უკვე შეუდგა მუშაობას (ადს).

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა მოისუსტებს

გურჯაანი, 1 ოქტომბერი. როგორც აგიტ-კოლონები იუწყებიან, თითქმის, ყველა სოფელში, რომელსაც კოლონა ეწვია, მოჯამაგირეთა შორის მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, რადგან არ არსებობს ხელმძღვანელობა. ძველ გავაზში მოჯამაგირეები სჩივიან, რომ მათ სურდათ კოლექტივის მოწყობა, მაგრამ დახმარება ვერავისგან მიიღეს. კავშირი ნაკლებად იცავს მოჯამაგირეთა ინტერესებს. რადგან მოჯამაგირეთა შორის არ სწარმოებს განმარტებითი მუშაობა, ხშირად ისინი კულაკების იდეოლოგიური გავლენის ქვეშ ექცევიან და იცავენ მათ ინტერესებს (ადს).

რთველი

გურჯაანი, 1 ოქტომბერი. რთველი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. შილდის, ყვარელის, ველისციხის და კარდანახის რაიონებში მოსავალი დამაკმაყოფილებელია (ადს).

თელავის აგიტ-კოლონა

გურჯაანი, 1 ოქტომბერი. თელავის აგიტკოლონამ, რომელიც 24 კაცისგან შესდგებოდა, დღეს უკვე დაამთავრა მგზავრობა. მან შემოიარა ალაზნის გაღმა მდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტები, რომლებიც ყოფილ თელავის მაზრაში შედიოდნენ. აგიტ-კოლონის მონაწილეებმა გააკეთეს 22 მოხსენება და გამართეს ასზე მეტი საუბარი სხვადასხვა თემაზე. აგრონომებმა და სხვა სპეციალისტებმა მიწის მუშებს მისცეს დარიგება. მემინდვრეობის, მევენახეობის, მებაღეობის, მესაქონლეობის, კოლექტივიზაციის და სხვ. შესახებ.

ადგილობრივ უდიდესი აქტივობა გამოიჩინეს მუშკორებმა და გლეხკორებმა. კოლონის მუშაობის შედეგად ბევრ ადგილას ამუშავებდნენ მანამდე მოცდარი ტრაქტორები, ამოქმედებდნენ ტრიერები და სხვ. გაცხოველდა პურის ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებზე და სხვ. მუშათა ბრიგადებმა შეაკეთეს ასზე მეტი მანქანა და იარაღი, დაშალეს და გამართეს ნაფარეულის კოლექტივის ტრაქტორი.

გლეხობა მეტად კმაყოფილია კოლონების მუშაობით. აგიტ-კოლონას კავშირის გაბმის საქმეში დიდი სამსახური გაუწიეს კავ. № პოლკის წითელ არმიელებმა. აგიტ-კოლონაში მონაწილე ქალებმა დარაზმეს ადგილობრივ მცხოვრებ ქალთა აქტივი მიმდინარე კამპანიის ირგვლივ. ბევრმა ქალმა ინდივიდუალურად გამოიწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი (ადს).

სოციალისტური შეჯიბრება

ბორჯომი, 1 ოქტომბერი. ბორჯომის თემის აღმასკომმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია: წაღვერის თემის აღმასკომი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გავრცელებაში და ზანავრის აღმასკომი შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებაში, მაგრამ არც ერთ ხსენებულ აღმასკომს ბორჯომის გამოწვევაზე პასუხი არ გაუცია. (ადს).

მეცნიერების მუშაკთა სექცია

ცხინვალი, 1 ოქტომბერი. სამხრეთ-ოსეთის განათლების მუშაკთა კავშირთან მოეწყო მეცნიერების მუშაკთა სექცია. სექციის რწმუნებულად არჩეულ იქნა თიბილოვი. (ადს).

ღონისძიებები ა.კ. სახალხო მეურნეობის უზრუნველსაყოფად სპეციალისტებით

სახალხო მეურნეობის თავის დროზე უზრუნველსაყოფად საინჟინერო-ტექნიკური ძალებით, ა. კ. სახკომსაბჭომ, საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებების მიღება.

ა. კ. ს. მ. უ. საბჭომ 1930 წლის 1 იანვრისათვის უნდა წარმოადგინოს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების, ინდუსტრიალურ ფაკულტეტების, უმაღლეს სასწავლებლების განყოფილებების სათანადო წარმოებებზე მიმაგრების საბოლოოდ დამუშავებული გეგმა. ა.კ. ს.ფ.ს.რ. სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებები გამოყენებულ იქნას სასწავლო მიზნით. გაძლიერდეს მუშათა და მუშათა შვილების მოსამზადებელი კურსების გაშლა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ამ ღონისძიების განსახორციელებელი გეგმა წარედგინოს ა. კ. საგეგმო კომისიას ა. წ. 1 დეკემბრისათვის. 1930 წ. 1 აპრილისათვის დამთავრდეს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების, ინდუსტრიალურ ფაკულტეტების და უმაღლეს სასწავლებლების პროგრამის განხილვა, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ დაინტერესებულმა უწყებებმა. გაფართოვდეს პრაქტიკანტების გადასამზადებელი და ინჟენერთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მუშაობა იმ ანგარიშით, რომ 1929—30 წლის განმავლობაში ეს კურსები გაიაროს ინჟენერის თანამდებობის მქონე პრაქტიკანტების 25 პროც. და იმ ინჟენერთა 10 პროც., რომლებიც საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას. ფართოდ მოეწყოს აგრეთვე სპეციალისტების დაუსწრებელი სწავლა.

აღნიშნავს რა სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად წარმოებულ მუშაობის სისუსტეს, ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო საჭიროდ სცნობს ახალგაზრდა სპეციალისტების მეტი რიცხვის მივლინებას საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

წინადადება ეძლევა ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. ს., შრომის კომისარიატს, ვაჭრობის კომისარიატს და ა. კ. სოფლის კავშირს უზრუნველჰყონ 1929—30 წელში უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების მოწაფეთა განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის გატარება და მიიღონ ზომები ამ ღონისძიების წარმატებით შესრულებისათვის.

1929—30 წელში უნდა გადიდდეს იმ ასპირანტების კონტინგენტი, რომლებიც აპირებენ მუშაობას უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ინდუსტრიალურ ტექნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებლების განყოფილებებში.

ვინაიდან ბევრ დაწესებულება-წარმოებებში ინჟენერ-სპეციალისტები მუშაობენ არა თავის სპეციალობის მიხედვით, ა. კ. ს. მ. უ. ს. წინადადება მიეცა ამიერ-კავკასიის მუშგლეხინთან შეთანხმებით ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომსაბჭოს განსახილველად წარედგინოს სათანადო მოხსენება ინჟენერთა და სპეციალისტთა კადრების გადაჯგუფების შესახებ.

მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

საქართველოს პროფსაბჭომ შეიმუშავა პრაქტიკული წინადადებანი პროფკავშირების წევრ ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის გასაძლიერებლად.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მიღებულ დადგენილებაში აღნიშნავს, რომ კავშირების ცენტრ. გამგეობები საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ კულტურულ - განმანათლებელ მუშაობას პროფკავშირების წევრ ეროვნულ უმცირესობათა შორის მათ მშობლიურ ენაზე. ეროვნულ უმცირესობათა აქტივი არ ყოფილა აღრიცხული, სუსტად სწარმოებდა მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა ინტელიგენციაში, არ იყო შედგენილი ლექტორთა და მომხსენებელთა კადრი ეროვნულ უმცირესობათა შორის სამუშაოდ, არ მოიპოვება აგრეთვე სათანადო ლიტერატურა, სუსტად სწარმოებდა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაცია ეროვნულ უმცირესობათა შორის.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია ეროვნულ უმცირესობათათვის კულტურულ ყოფა-ცხოვრებითი სამსახურის გაწევის გაძლიერება, რისთვისაც წინადადებას აძლევს პროფესიონალურ კავშირებს ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

კავშირების ც. გამგეობებმა უნდა ჩაატარონ ეროვნულ უმცირესობათა აქტივის აღრიცხვა იმ მიზნით, რომ აქტივი გამოყენებული იქნეს საპროფკავშირო და კულტურულ - განმანათლებელ სამუშაოზე, მეტადრე ეროვნულ უმცირესობათა შორის. რისთვისაც ეროვნულ უმცირესობათა მუშები გაგზავნილი უნდა იქნეს სკოლებში და უმაღლეს სასწავლებელში (მუშათა უნივერსიტეტში, პროფმოძრაობის უმაღლეს სკოლაში და სხვ.).

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას დაევალა შეადგინოს ლექტორებისა და მომხსენებლების კადრი კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე ეროვნულ უმცირესობათა შორის (ოსები, ქურთები, პოლონელები, ბერძნები, თურქები, და სხვ.) სამუშაოდ.

გაძლიერებული უნდა იქნეს მუშაობა პროფკავშირების წევრ ეროვნულ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის, პროფესიონალური და პოლიტიკური უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, რისთვისაც კავშირებმა ც.გ. უნდა ჩაატარონ ეროვნულ უმცირესობათა მუშების კულტურული მომზადების აღრიცხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა შიექცეს ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურით უზრუნველყოფას მშობლიურ ენაზე საპროფკავშირო ბიბლიოთეკების მეშვეობით, და ბიბლიოთეკების შევსებას მეზობელ რესპუბლიკებიდან გამოწერილ ლიტერატურით. „შრომის" საგამომცემლო გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს სათანადო ლიტერატურის გამოცემა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა შიექცეს ეროვნულ უმცირესობათა ინტელიგენციაში მუშაობას, უმცირესობათა ინტელიგენცია ჩაბმული უნდა იქნეს მასიურ საზოგადოებრივ მუშაობაში და უნდა გაძლიერდეს მათში პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა.

პოლიტგანის მთავარ მართველობას და თბილისის პოლიტგანს დაევალა დამდეგ სამოსწავლო წლიდან გახსნას ეროვნულ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები და წრეები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც პედაგოგიური პერსონალით, ისე სასწავლო წიგნებით ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

თბილისის პოლიტგანს წინადადება მიეცა მომავალ სამოსწავლო წლიდან გახსნას მაღალი ტიპის სკოლებში თურქული სექტორი თურქ მუშებისათვის.

საქ. პროფსაბჭოში

განუწყვეტელის საწარმოო კვირა

ვინაიდან ა.-წ. 1 ოქტომბრიდან პროფკავშირებში შემოღებულია განუწყვეტელი საწარმოო კვირა, პროფსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო გაუქმებული იქნეს საღამოობით მუშაობა და მაცადინეობა სწარმოებდეს დილის 9 საათიდან საღამოს 3.5 საათამდე. ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილი იქნან იმ დაწესებულება - წარმოებათა ადგილკომები, სადაც უკვე შემოღებულია განუწყვეტელი საწარმოო კვირა, ხოლო შტატის გადიდების თავიდან ასაცილებლად ადგილკომების მუშაობაში ჩაბმული იქნან მუშაობიდან განთავისუფლებული ადგილკომის წევრები.

პროლეტ. სტუდენტთა პროფორგანოების გადარჩევა

საქართველოს პროლეტარულ სტუდენტთა პროფორგანიზაციების გადარჩევა ჩატარებული იქნება იანვარში.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი

დღეს რადიო გადაცემა არ შესდგება.

პარასკევი, 4 ოქტომბერი

საღამოს 6 საათიდან თბილისის რადიოცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერისა და მოსწავლის საათი, სომხურ ენაზე; საუბარი მიწადმოქმედების სახ. კომისარიატიდან: „ღონისძიებები მოსავლიანობის გასადიდებლად", ქართულ ენაზე; რადიო - გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზ. „ენი კენდ"-ი რადიოთი, თურქულ ენაზე; გაზ. „კრასნი ვოინ"-ი რადიოთი (წითელარმიელთა გაზეთია), რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტექნიკური კონსულტაცია); კონცერტი; უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინისგზელთა სექციიდან: კანკორდი შუშანია, ელენე ისრაელაშვილი, თამარა კოზმინსკაია, ბარბალე პავლოვა, ივანე პუშკარიოვი;

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: სერგო მზარეულოვი; თამარა ღარიბოვა, სუსანა ბეკერტიანი, მარგალიტა კურიანი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: სულეიმან მჭედლიძე, პეტროს პეტროსიანც, რუბენ არუთინოვი, რუბენ ტორულაშვილი. გიორგი ნარუაშვილი, აკოფ არუთინოვი, მიკირტიჩ არუთინოვი, ლეონ ბახჩინოვი, გიორგი ბუზალაძე, ნაჯირ აკოფოვი, კონსტანტინე ბეგთაბეგოვი, გრიგოლ აივაზოვი, თედორე ჩიხლაძე, ნიკოლოზ ჯონგვაძე, ბაგრატ თანდილოვი, დორა პაპუჩიანცი, ალექსანდრე შაბანოვა, მარია პიჩკოვა, მარია დანიელოვა, გერბერტ ზელინი, დომენტი ენუქიძე, გიორგი ფოჯანაძე, ივანე თათარაშვილი, უნან მანუკოვი, გრიგოლ ოსიპოვი, ვიქტორ საფაროვი, ვასილ მამასახლისოვი, გრიგოლ ბარქაია, ბარბალე გიუნაშვილი, გიორგი არუთინოვი, ვლადიმერ გულიევი, თხილაძე — ქართველიშვილი, სტეფანე ბანდალაშვილი, ნიკოლოზ ისრაევი, მამიკონ ტრადიანი, ნინა ხუბაშვილი, პავლე გოგლიძე, დეკანოზიშვილი, მიხეილ ამნიაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: ალექსი მარგიშვილი, ანასტასია გალაჩოვა, ივანე საგინაშვილი, იპოლიტე კვინიკაძე, ზაქარია ვასიშვილი, კონსტანტინე პერონიძე, ვლადიმერ ცეიკო, ანტონ პროკოპენკო, ივანე აპავიან, ზაქარია ხასტუხჩინი, ლიუსია ჩაჩხიანი, სიმონ ისაკ-ოღლი, ივანე ბოკუჩავა, აბრამ კლეცეხინი, სერგო ბეშინაშვილი, ივანე მილიუკოვი, მარგალიტ ბუბუშინ, ერასტი ჯიმშერაძე;

შავ მუშათა სექციიდან: არუსიაკ სიმონიანცი, ლიუბა მურაშკინა, ანა ჭკუასელი, ოსვან ადამიანი, მარია პაშაევა, თებრონე დონაძე, შალვა ჭავჭანიძე, ვახტანგ თხუაშვილი, იაგორ პარაკიანი, ბაგრატ თანდილოვი, სოლიკო პაპუკაშვილი, პეტრე მინასოვი, გიორგი ბუჯიაშვილი, აკაკი ცინცაძე, სიმონ ტერ-სიმონიანცი, ივანე ზოდროვი, ანასტასია გროდნიკოვა, ლეონ ბაბაჯანოვი, მარია ფერცოვა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

8 ოქტომბერს ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში ამხ. ჟუჟიკაშვილის კაბინეტში მოწვეულია თათბირი. ქვემო აღნიშნულ ამხ. ამხ. დასწრება სავალდებულოა: თოდრია, ქურულორია (ცაკი), კანდელაკი, ჩხარტიშვილი, კაჭარავა (მიწსახკომი), გვარამია (სოფ. კავშირი).

—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საარიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. კირილე სამსონის ძე გოგუას შემოიაროს ცეკაში ოთახი (№ 22).

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საარიცხვო განმანაწილებელი განყოფილება იწვევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ამხ. ავეტისოვთან (ოთახი № 66) ა-წ. ოქტომბერს დღის 12 საათზე: აკიმოვი სტეფანე, აკპეროვი სალგარ, ამირბეკოვი ავეტიკ, ანანინი კონსტანტინე, არაქელიანი ოგანეზ, აფანასიევი სიმონ, ფალიაშვილი ივანე, ბართაია იასონ, ბაირამოვი გასუმ, ბაირამოვი ალი, ბაგასიანი ალექსანდრე, ბოფორია ივანე, ბაღათურია კალისტრატე, ბახტაძე გიორგი, ბერიშვილი ვალერიანე, ბენიაშვილი, ბირიუკოვი ივანე, ბერბიჭაშვილი გრიგოლ, ვართანიანი მესროპ, ვაგნერი, ვარდია ბაგრატ, გოროგბიანი ალექსანდრე, გოზალაშვილი სერგო, ღოღობერიძე ვლადიმერ, გომარნიცკი ნიკოლოზ, გრიგორიანი ვაგინაკ, გულითაშვილი არჩილ, გაბუნია გიორგი, გეორგობიანი შავარშ, გონჩაროვი გრიგოლ, გოშაძე ილია, გოგია ბიქტორ, გოჩოლაშვილი მიხეილ, დათუაშვილი ივანე, დონინი იაკობ, ჯობიანი მარტიროს, ჯორბენაძე დიმიტრი, ჯამიაშვილი ალექსი, ელბაქიძე პეტრე, ისკანდაროვი ხაჩიკ, იზმაილოვი ალექსანდრე, კალანდარია ლავრენტი, კახიძე დომენტი, კრასინსკი ლიუდვიგ, კალანდაძე მელქისედეკ, ქევხიევი ალექსანდრე, ქოროშელიძე ალექსანდრე, ყორანაშვილი ალექსანდრე, ქორაშვილი ივანე, კოპალეიშვილი იასონ, ლორთქიფანიძე ბენედიქტე, მირ. გუსეინოვი, ნაზარეტიანი კარო, ნარიმანოვი ალი მირზა, დავითაშვილი, ოგანოვი გიორგი, ფაფახჩიანი მაცაკ, ბოზოვი სერგო, ბახიტაშვილი ალექსანდრე, აროიანი მათევოს, ანშილევიჩი, ასათიანი ანტონ, ბუაჩიძე ანდრო, ბახტაძე სერგო, ბეტუკაძე ალექსი, ბერბერაშვილი ივანე, ბედია მაკარი, ვეზიროვი ჯამინ, ვარდანიანი ალასი, ყუბანეიშვილი გაბრიელ, კორინთელი ნესტორ, ქორიძე სერგო, მიროტაძე ლევან, მიმინაშვილი გრიგოლ, მამულაშვილი ევგრაფი, მელიქიანი მინას, მგალობლიშვილი გრიგოლ მესხი ვასილ, მეიშვილი ნიკოლოზ, მამალაძე ვლადიმერ, მასხულია სევერიან, ნაფეტვარიძე გერმან, ნადარეიშვილი ვარლამ, აკოფოვი მიკიჩ, ბარბაქაძე კარპეზ, ბეჟანოვი თადეოს, ბოჭორიშვილი სერგო, ბურჯანაძე, ვაჭარაძე ნიკოლოზ, გაბისონია გრიგოლ, გოზალოვი ზაქარია, დევდარიანი ალექსანდრე, ჯვარეიშვილი ალექსანდრე, დუდუჩავა ეპიფანე, კონჩაკი იან, ორჯონიკიძე შალვა.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედ. ფაკულტ. მეოთხე უჯრედის (მესამე და მეოთხე კურსის) კრება შესდგება დღეს 7 საათზე, ხოლო ბიუროს სხდომა კრების წინ 6 საათზე. დასწრება სავალდებულოა უჯრედთა და ბიუროს წევრ-კანდიდატთა.

—:—

ხვალ, 4 ოქტომბერს, სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყება პარტიის წმენდა. გამწმენდი კომისიის წევრები ს. თოდრია, ნაფეტვარიძე და ხორხელი.

—

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტ. ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს 3 ოქტომბერს, დღის 1 საათზე მოწვეულია პარტ - ბიურო - კოლექტივის სხდომა.

წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—

სახ. უნივ. სამკ. ფაკ. კომუჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 3 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, წითელი ჯვრის შენობაში (კრილოვის ქუჩა № 15); ბიუროს წევრების დასწრება აუცილებელია.

—

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ.-ის ბიურო - კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, 3 ოქტომბერს დღის სრულ 12 საათზე გამოცხადდენ ბიურო - კოლექტივის ოთახში: მთვრალაშვილი ა., ე. გოგორელიანი, დ. ეძგვერაძე, პ. არევაძე, ვ. კაკაბაძე, დ. სუპაჭაშვილი, შ. ცინცაძე, ა. გიგაური, კანდელაკი, ა. მაღლაკელიძე, ა. კოხრეიძე, მ. მოსეშვილი, ი. აბესალაშვილი.

განათლების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა სახ. უნივერსიტეტის

პროფ. ა. რაზმაძე

თბილისის უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გამგეობის წევრის

პროფ. ანდრია მიხეილის ძე რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურაში და პარასკევს 4 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე უნივერსიტეტის შენობაში. გამოსვენება უნივერსიტეტის შენობიდან შაბათს 5 ოქტომბერს დღის 2 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პროფ. ა. რაზმაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანატი და საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას

პროფ. ანდრია მიხეილის ძის რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურაში და პარასკევს 4 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე უნივერსიტეტის შენობაში. გამოსვენება უნივერსიტეტის შენობიდან შაბათს 2 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სექციის წევრის

პროფ. ანდრია მიხეილის ძე რაზმაძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურაში და პარასკევს 4 ოქტომბერს უნივერსიტეტის შენობაში. გამოსვენება უნივერსიტეტის შენობიდან შაბათს დღის 2 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასრულებელი ბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება

პროფ. ანდრია მიხეილის ძე რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურაში და პარასკევს 4 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე უნივერსიტეტის შენობაში. გამოსვენება უნივერსიტეტის შენობიდან შაბათს 5 ოქტომბერს დღის 2 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის აღმასბიურო მწუხარებით იუწყება

პროფ. ანდრია მიხელის ძის რაზმაძის

გარდაცვალებას. (ნის.)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა, შვილები: ვახტანგი, თამარა, იური; დედა კალენიკა, მამა იასონი, ძმა ვსევოლოდი დები: ევლოგია და გალინა, რძალი ანნა, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ქალ. სოხუმში გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი სოხუმის ქართულ პედტექნიკუმის დირექტორი და ათ წლედის გამგე

თეოდოტი იასონის ძე კაპანაძე

დაკრძალვა სოფ. ბოსლევში შაბათს 5 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე. (შ)

გაუბედურებულნი, სამუდამოდ გულმოკლულნი დედა ნინა, მამა ვლადიმერი, დები: ვარია, თამარი და ცუცა, ძმები შურა და ირაკლი, სიძეები: ლევან ნათაძე და პავლე მენაბდე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 29 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ტრაღიკულად დაიღუპა უსაყვარლესი, მარად დაუვიწყარი მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლის მე-10 ჯგ. მოწაფე

მიშიკო ცქიტიშვილი

გამოსვენება დღეს, 3 ოქტომბერს, დღის 4 საათზე ბინიდან, გოგოლის ქ. № 49, ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

ელ. ჩარაშვილი, ვ. ჯორჯიშვილი, ნ. ქორფაშვილი, ან. დულარიძე, თ. ყაჯრიშვილი, ან. ოგანეზოვი, ან. პერტენავა, ნ. ქიარიმოვა, ლ. კალანდაძე, ი. სეფერთელაძე, ლ. მელიქაძე, ჟ. ცქიტიშვილი, მ. როგავა, რ. ხაჩატუროვი, მიშ. ჯორჯიშვილი, არ. ბაქრაძე, გ. წამალაშვილი, ი. ზუბიევი, თ. კაიშაური, ც. ლომიძე, მ. სეილანოვი, კ. კ. ბალიშვილი და მ. აბაზაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძვირფას და დაუვიწყარ მეგობრის

მიშა (მიშიკო) ცქიტიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. (შ)

რკ. გზის მე-XI სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის მასწავლებლის თამარ მენაბდის ძმის

მიშიკო ცქიტიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. 331

მე-3 საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის მე-10 ჯგუფის მოწაფეები მწუხარებით იუწყებიან მათი ძვირფას ამხანაგის

მიშა (მიშიკო) ცქიტიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან გოგოლის ქ. № 49, დღეს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3324

მესამე საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო და მშობელთა დამხმარე საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მე-10 ჯგ. მოწ.

მიხეილ ცქიტიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 3337

თავზარდაცემულნი მეუღლე ისაკი შვილებით: ელენე, ნინო, თამარი, დათიკო, ვალიკო, ბორისი, რძალი ნადია კალანდარიშვილები, ბიძაშვილი მიხეილი ივანეს-ძე და ძმისშვილები: კონსტანტინე ირაკლის-ძე კალანდარიშვილი ცოლშვილით, ნატალია ირაკლის ასული კალანდარიშვილი, ალექსანდრა ირაკლის ასული აბაშიძისა და თამარა ირაკლის ასული მიქელაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ძვირფასი, დაუვიწყარი

ეკატერინე (კატო) გიტოს ასული კალანდარიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე 4 საათზე. გამოსვენება მოსკოვის ქ. № 30. 3299 2—1

გულდამწვარნი და უნუგეშო დედა დოვნა, და—რისიმე, ძმები: თევდორე, ნიკოლოზ და ილიკო, რძლები: ეკატერინე, ბარბალე, ივლიტა და ნადია ქარცივაძეები თავისი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე (კატო) გიტოს ასული კალანდარიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება მოსკოვის ქ. № 30. 3298 2—1

გულმოკლული დედა წისა, მამა არქიპო, და თამარა, ძმა შურა, ბებიები ეშა და კეკელა, ბიძები სერგო და დათიკო, დეიდები გლაფირა და ოლია ჯოლოგუები და ნინო ხოფერიასი იუწყებიან, რომ ბათომის 9 წლ. მოწაფის დაუვიწყარ

მაგდალინა (მოზოჩკა) ლომაიას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, პარასკევს, 4 ოქტომბერს, 12 საათზე ჩაქვში. (შ)

ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს

ცირკის გახსნის მესამე დღე

თბილისისათვის ყველაფერი ახალია

მონაწილეობენ **საბჭ. კავშირის სახ. ცირკების მსახიობები.** 27 გაწვრთნილი ცხენის და 3 აქლემის პირველხარისხოვანი საჯინიბო.

ცხენები გაწვრთნილია **ცნობილ მწვრთნელის** და სახ. ცირკის მსახიობის **ა. ვ. ლაპიადოს** მიერ. დაწვრილებით აფიშებში.

გაყიდული აბონემენტები ძალაშია 15 ოქტომბრიდან. გრძელდება აბონემენტების გაყიდვა.

დირექტორი **ს. ნ. ქუთათელაძე.** დირექტორის მოადგილე **ქ. მაქს-ხოდჯკო.**

აპოლო (საზამთრო)	დუგლას ფერბენქსი სურათში **ზეროს ვაჟი**
პალასი	დრამა ცირკის ცხოვრებიდან **სასიკვდილო ნომერი** სურათში მონაწილეობს შნეიდერის ასი ლომი
სოლეი	ბესტერ კეიტონი კომედიაში **გენერალი**
არფასტო	**ვიდოკი** 3 და 4 სერია
მინიონი	პრემიერა **კაცი პორთფელით** ა. ფაიკოს პიესა
საზაფხულო აპოლო	უცხოეთის მხატვრული სურათი **ცეცხლის კაცი**

მალე უცხო ქალი.

0—2

ერთი ოთახი

ყოველგვარი მოწყობილობით, ზომით 38 კვ. მეტრი

= **ბათომში,** =

მსურს **გადავცვალო**

ერთ დიდ ან ორ პატარა ოთახზე

თბილისის I, II ან III

რაიონის მიდამოებში.

ცნობა „კომუნისტი"-ს კანტორაში (რუსთაველის პრ. 34) თ. გ.

3331 2—1

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე.

13—1

განათლების სახალხო კომისარიატი

სახელმწიფო კურსები

სტენოგრაფიის, საქმის წარმოების და მემანქანეობის

(ყოფ. „ტრენმაშ") ქართულ და რუსულ ენებზე, ყოველგვარი ცნობების მიღება და ჩაწერა სწარმოებს რუსთაველის პრ. № 34. 3315

ამიერ-კავკასიის რკ. გზები

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ცხრილი

1929 წლის 1 ოქტომბრიდან

მატარებლები გადის

სწრაფი მატ. № 1 ლენინგრადისკენ 11.00	კვირაობით
სწრაფი მატ. № 1 მოსკოვისაკენ 11.00	ოთხშაბათობით
ჩქარი მატ. № 17 მოსკოვისაკენ 18.30	ყოველდღე 1-ლ ნოემბ.-დე. 1-ლ ნოემბრიდან ხუთჯერ კვირაში ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით.
საფოსტო მატ. № 43 ბაქოსკენ 23.00	ყოველდღე
სამგზ. მატ. № 69 ბაქოსკენ 15.10	„
საფოსტო № 44 ბათომისაკენ 6.00	„
სამგზ. № 64 ბათომისაკენ 20.30	ყოველდღე 1-ლ ნოემბრამდე
სამგზ. № 66 ბათომისაკენ 18.00	ყოველდღე
სამგზ. № 68 ფოთისაკენ 19.15	„
საფოსტო № 45 ჯულფისაკენ 14.50	„
სამგზ. № 71 ერევნისაკენ 21.30	„
საფოსტო № 47 თელავისაკენ 8.30	„
სამგზ. № 73 თელავისაკენ 22.30	„
სამგზ. № 106 ბორჯომისაკენ 14.45	„
სამგზ. № 112 ხაშურისაკენ 13.45	შაბათობით და უქმეების წინა დღეებში

მატარებლები გადის მოსკოვის დროით (მეორე ზოლის), რომელიც ადგილობრივ დროზე (მე-3 ზოლი) უკან არის ერთი საათით. 6. 3285

დაიწყო მიღება

ექ. მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნ. კაბინეტი

იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82. 25—1

ზესტაფონი

ექიმი

პ. ს. ანანოვი

სიფილისი (შეშხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებ. მიღება: 1—2 დღით, საღმოს 6—8 ს. 25 თებერვლის ქ. 130.

ექიმი

პ. ტყეშელაშვილი

განაახლა ავადმყოფების მიღება. **სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი.**

ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით—8-9, საღმოთი 6-8.

სახ. უნივერსიტეტის სტუდ. აღმასბიურო

აცხადებს, რომ ა. წ. 1 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე სწარმოებს

კავშირის წევრ სტუდენტების რეგისტრაცია

პროფკომებში. რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინონ საბუთები სოც. მდგომარეობის შესახებ.

ის სტუდენტები, რომლებიც აღნიშნულ ვადებში არ გატარდებიან, დარჩებიან კავშირის გარეთ. სტუდენტებმა, რომლებიც თბილისში არ იმყოფებიან, წერილობით უნდა აცნობონ აღნიშნულ ვადაში პროფკომს.

3314 3—2. **სტუდ. აღმასბიურო.**

საქართველოს ჭრა-კერვის სააქციო საზოგადოება

„მკერავმა"

შეისყიდა ქ. თბილისში (ნიკოლაძის ქ. № 6 სარდაფი) **წარმოება „კოლხიდა".**

ვისაც რაიმე პრეტენზია აქვთ „კოლხიდა"-ს ყოფილ მეპატრონეებთან, უნდა განუცხადონ „მკერავს", ნინოშვილის ქ. 8, დღეის რიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ არავითარი განცხადება აღარ მიიღება.

6. 3284 „მკერავი".

მათემატიკის

მასწავლებელი

ივ. მაჩაიძე

ამზადებს რუსულსა და მათემატიკაში

(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტექნიკ. ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.). შესავალი პლეხანოვის პროსპ. № 25 ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.

6—5 3311

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა და ღებულობს ქალთა ავადმყოფებს დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოოლას). 3219 13—1

კბილის ექიმი

ი. გ. ხარებავა-ბაქრაძე

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები.

სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117.

3335 25—1

დაიკარგა მოწმობა, მოცემული მმაჩის ბიუროს მიერ ჩემი ქმრის ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ნაცვლიშვილის გარდაცვალების შესახებ, ჩ. გ. 3320

დაიკარგა პირადი მოწმობა № 8 26, მოცემული რკ. გზ. მეორე შეიარაღებულ დამცველ რაზმიდან ნიკოლოზ ბაკიძეს სახელზე, ჩ. გ. 3325

დაიკარგა სამხედრო ბეგარის მოწმობა ფორმა № 4 მანუილ გიორგის-ძე გოგოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3330

დაიკარგა პასპორტი და ლომბარდის ქვითარი № 064411 იოსებ მიმისთვალოვის სახელზე ჩ. გ. 3326

დაიკარგა სადგურ გურჯაანის სადგურის ბუფეტის საიჯ. როდ აღების შესახებ გაცემული ქვითარი № 18181 ნიკოლოზ ყიფიანის სახელზე, ჩ. გ. 3334

დაიკარგა აღრიცხვის წიგნაკი თადეოზ დავითის-ძე მელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3336

დაიკარგა პურის წიგნაკი ილია ჩიქოვანის სახელზე ჩ. გ. 3339

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ვერა გულიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3338

დაიკარგა პურის წიგნაკი მიხეილ დავითის-ძე ნიკურაძეს სახელზე, ჩ. გ. 3332

დაიკარგა: პურის წიგნაკი ნიკოლოზ დავითის-ძე ნიკურაძეს სახელზე, ჩ. გ. 3333

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ემმა ლევანის ასული შადურის სახელზე, ჩ. გ. 3296

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 103 გიორგი ილიას-ძე დავითნიძეს სახელზე ჩ. გ. 3323

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 809 და მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 61095 ვლადიმერ თოფურიას სახელზე ჩ. გ. 3228

დაიკარგა პურის წიგნაკი ვასო ხუნძაკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3318

დაიკარგა წვევამდელის წიგნაკი ფორმა № 4 იესე კონსტანტინეს-ძე გიორგიძეს სახელზე ჩ. გ. 3327

ტირაჟი—42.388

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.